საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემია

ივ. ჯავახიშვილის სახ. ისტორიის, არქეოლოგიისა და ეთნოგრაფიის ინსტიტუტი

ნანა ავალიანი

«დასავლეთის ცივილიზაციის» გურჭუაჭიული კონცეფციების კრიტიკა

გამომცემლობა „მეცნიერება“
თბილისი
1982

37 I
71(4+7)
008(104)
ა 297

ავტორი განიხილავს „დასავლეთის ცივილიზაციის ცნებას, მის ისტორიულ-გეოგრაფიულ, სოციალურ-პოლიტიკურ და იდეოლოგიურ არსს ბურჟუაზიულ მეცნიერთა ნაშრომებში.

მარქსისტულ-ლენინური პოზიციებიდან გაკრიტიკებულია ძირითადად ამერიკული სკოლის წარმომადგენელთა კონცეფციები. მოცემულია „დასავლეთის ცივილიზაციის" ცნების თანამედროვე მოდიფიკაციებისა და მომავლის მოდელების კრიტიკა. გამოაშკარავებულია ამ ცნების პოლიტიკური, რეაქციული არსი.

სკკპ XXVI ყრილობის გადაწყვეტილებათა შუქზე „დასავლეთის ცივილიზაცია" დაპირისპირებულია სოციალისტურ სამყაროსთან.

რედაქტორები: ედ. მ ე ნ ა ბ დ ე, ი. ტ ა ბ ა ღ უ ა.

10506
ა M 607 (06)—82 152—82

© გამომცემლობა „მეცნიერება", 1982

„დასავლეთის ცივილიზაციის“ ცნების არსი

ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ყველა დარგი, განსაკუთრებით ისტორიული მეცნიერება, ყოველთვის წარმოადგენდა მძაფრი იდეოლოგიური ბრძოლის საგანს. ისტორიული ფაქტებისა და პროცესების შესწავლა ოდითგანვე აინტერესებდათ ისტორიკოსებსა და ფილოსოფოსებს. ყოველი ეპოქა იძლეოდა ისტორიულ მოვლენათა თავისებურ ახსნას. ეს თავისებურება განისაზღვრებოდა გაბატონებული კლასის მსოფლმხედველობითა და დაგროვილი ცოდნით.

დასავლეთის მეცნიერები საზოგადოების განვითარების ისტორიული პროცესის შესწავლას, მის პერიოდიზაციას ძალზე სკეპტიკურად უდგებიან. ერთნი ამტკიცებენ, რომ ადამიანის ბუნება ძირითადად არ იცვლება, ამდენად მომდევნო თაობები არ შეიძლება ურთიერთისაგან განირჩეოდნენ რაიმე ძირითადი ნიშნით. მეორენი კი პირუკუ — ადამიანის ბუნება იცვლება განუწყვეტლივ და იმდენად ინდივიდუალურად, რომ ამ სხვაობათა ერთიან ჯგუფში გაერთიანება არ ხერხდება, ამდენად ისტორიული პროცესების ორგანიზაცია, მისი პერიოდიზაცია შეუძლებელია.

ისტორიის უწყვეტი ნაკადის გარკვეულ სისტემაში მოყვანა, მისი გააზრება და გაანალიზება აუცილებელია, რათა უკეთ გავერკვეთ დღევანდელობაში და, რაც მთავარია, მომავლის პერსპექტივაში.

ეს აუცილებლობა ბურჟუაზიულ მეცნიერთათვის განსაკუთრებით გაძლიერდა XX ს-ში, როდესაც მსოფლიოში წარმოიშვა ადამიანთა საზოგადოების ახალი ტიპი — სოციალისტური საზოგადოება, ხოლო მოგვიანებით — რიგი სოციალისტური ქვეყნებისა. ამ თითქოსდა, როგორც ბურჟუაზიული მეცნიერები აღნიშნავენ, „გადახვევამ“ ისტორიულ პროცესში კაპიტალისტური სამყარო დააყენა ყოფნა-არყოფნის პრობლემის წინაშე. როგორც აღნიშნავს ლ. ი. ბრეჟნევი: შესამჩნევად გამწვავდა იდეოლოგიური ბრძოლა. და-

საელეთისათვის ეს იდეების ბრძოლით როდი ამოიწურება. იგი იყენებს საშუალებათა მთელ სისტემას, რომელთა მიზანია ძირი გამოუთხაროს სოციალისტურ სამყაროს, დაასუსტოს იგი.

იმპერიალისტები და მათი ხელშემწყობნი სისტემატურად ახორციელებენ მტრულ კამპანიებს სოციალისტური ქვეყნების წინააღმდეგ. ისინი ჩირქს სცხებენ და ამახინჯებენ ყველაფერს, რაც ამ ქვეყნებში ხდება. მათთვის ყველაზე მთავარია ჩამოაშორონ ადამიანები სოციალიზმს"[1].

კაცობრიობის განვითარების ისტორიული პროცესის მრავალ ინტერპრეტაციას ვხვდებით ბურჟუაზიულ მეცნიერთა ნაშრომებში. ეს ინტერპრეტაციები შეიძლება გავაერთიანოთ სამ ძირითად ჯგუფში:

1. პირველ რიგში უნდა აღვნიშნოთ „ციკლური თეორია", რომელიც ფაქტობრივად უარყოფს პროგრესს. ამ თეორიის მიხედვით, ისტორია ციკლური ხასიათისაა, ე. ი. პროგრესი ხორციელდება, მაგრამ მის რეალიზაციას არ მოსდევს სიახლე. ამ სკოლის უდიდესი წარმომადგენელი იყო ო. შპენგლერი[2], რომელიც სარგებლობდა შეუბღალავი ავტორიტეტით 1927 წლამდე. ამ პერიოდში გამოჩნდა ინგლისელი ისტორიკოსი ა. ტოინბი[3]. მან მოახერხა ციკლური და პროგრესისტული შეხედულებების კომბინირება, რაც უთუოდ წინ გადადგმული ნაბიჯი იყო.

2. თეოლოგიური ინტერპრეტაცია, რომლის დამაარსებელია ავგუსტინე. ამ მიმდინარეობის მიხედვით, ისტორიის მამოძრავებელი ძალა არის რელიგია, რომელიც ისტორიულ პროცესს წარმართავს სულიერი მიზნისაკენ. ამ უკანასკნელის არსი ადამიანის სრულყოფა — მისი „შინაგანი განწმენდაა". თეოლოგიური სკოლის უდიდეს თანამედროვე წარმომადგენლად შეგვიძლია მივიჩნიოთ ფრანგი ფილოსოფოსი ჟაკ მარიტენი[4].

3. პროგრესისტული ინტერპრეტაცია, რომელმაც წარმოშვა მრავალი ახალი მიმართულება: ერთნი განიხილავენ პროგრესს რო-

---

[1] ლ. ი. ბ რ ე ჟ ნ ე ვ ი. სკკპ ცენტრალური კომიტეტის საანგარიშო მოხსენება საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XXVI ყრილობას და პარტიის შორიგი ამოცანები საშინაო და საგარეო პოლიტიკის დარგში. გამომცემლობა „საბჭოთა საქართველო". თბ., 1981, გვ. 13—14.

[2] იხ. O. Ш п е н г л е р. Закат Европы, М., 1923.

[3] იხ. A. T o y n b e e, A Study of History, London, v. I—XIV.

[4] იხ. J a c q u e M a r i t a i n, On the Philosophy of History, N. Y., 1973.

გორც პროცესს, რომელიც შეიძლება დასრულდეს რეალიზაციით; მეორენი პროგრესს განიხილავენ როგორც უსასრულოს, სხვები პროგრესის უსასრულობას ხედავენ ისტორიის მუდმივობაში და ა. შ. ამ სკოლის მიმდევრები იყვნენ ო. კონტი, ჰ. სპენსერი, ჰეგელი[5] და სხვ.

საზოგადოების ისტორიულ განვითარებაზე ასეთ ზოგად მსჯელობას მარქსისტები უპირისპირებენ საზოგადოებრივ-ეკონომიკური ფორმაციების თეორიას.

ფორმაციის ცნების შემუშავებისას, როგორც აღნიშნავს ვ. ი. ლენინი, კ. მარქსმა „საზოგადოებრივი ცხოვრების სხვადასხვა დარგიდან გამოჰყო ეკონომიური დარგი, ყველა საზოგადოებრივი ურთიერთობიდან გამოჰყო წარმოებითი ურთიერთობანი, როგორც ძირითადი, პირველადელი, ყველა დანარჩენი ურთიერთობის განმსაზღვრელი"[6].

„მანამდე სოციოლოგებს უჭირდათ საზოგადოებრივ მოვლენათა რთულ ქსელში მნიშვნელოვანი და არამნიშვნელოვანი მოვლენების გარჩევა (ესაა სუბიექტივიზმის საფუძველი სოციოლოგიაში), მათ არ იცოდნენ, როგორ ეპოვათ ობიექტური კრიტერიუმი ასეთი განსაზღვრისათვის. მატერიალიზმმა მოგვცა სრულიად ობიექტური კრიტერიუმი იმით, რომ გამოჰყო „წარმოებითი ურთიერთობანი", როგორც საზოგადოების სტრუქტურა, და შესაძლებელი გახადა ამ ურთიერთობათა მიმართ გამოყენებული ყოფილიყო ის ზოგადმეცნიერული კრიტერიუმი განმეორებითობისა, რომლის გამოყენების შესაძლებლობას სოციოლოგიაში სუბიექტივისტები უარჰყოფდნენ"[7].

ჩვენი გამოკვლევის საგნად აღებული გვაქვს ცნება „დასავლეთის ცივილიზაცია". სანამ გადავიდოდეთ ნაშრომის ძირითადი ამოცანების შესწავლაზე, საჭიროა მოკლედ დავახასიათოთ თვით სიტყვა „ცივილიზაცია", რომელიც ხშირად განიხილება როგორც ისტორიის პერიოდიზაციის ერთეული. ეს სიტყვა ლათინური წარმოშობისაა (civitas — საზოგადოება, civis — მოქალაქე, civilis—სამოქალაქო, საზოგადოებრივი). იგი ფართო მასშტაბის ტერმინია, რომლის გამოყენებასაც საკმაოდ პირობითი ხასიათი აქვს. ცნობილია,

---

[5] იხ. H. Spencer, System der Synthetischen Philosophy. Stuttgart, 1827; G. W. F. Hegel, Phänomehologie des Geistes. Jena, 1971; G. W. F. Hegel, Philosophy of History, Translated by Sibree, M. A.. N. Y., 1901.

[6] ვ. ი. ლენინი, თხზ., ტ. 1, გვ. 147.

[7] ვ. ი. ლენინი, თხზ., ტ. 1, გვ. 150.

რომ ცივილიზაციები ჩაისახა იქ, სადაც საფუძველი ჩაეყარა ქალაქებს, (civitas). ინგლისურ ენაში, მაგალითად, civilisation-ის წარმოშობამდე იხმარებოდა ცნება civility, რაც მიუთითებს იმ ფაქტზე, რომ ცივილიზაცია ქალაქური მოსახლეობისათვის დამახასიათებელი ნიშანი იყო. ენციკლოპედია ბრიტანიკაში ვკითხულობთ: „...სიტყვა ცივილიზაცია უთუოდ დიდი ხნისაა. ბოსველი წერს, რომ 1772 წელს იგი სთხოვდა დოქტორ ჯონსონს, შეეტანა ეს ცნება ლექსიკონში, მაგრამ მან უარი განაცხადა. მისთვის უფრო მისაღები იყო სიტყვა „civility"[8]. თანამედროვე ანთროპოლოგიამ შეიტანა მნიშვნელოვანი ცვლილებები ამ საკითხისადმი დამოკიდებულებაში. აღიარა რა ჩრდილოეთ ამერიკის ინდიელთა სოციალური ორგანიზაციები მაღალი ცივილიზაციის მქონე საზოგადოებებად, ამით უარყო თვით ცნება „ცივილიზაციის" ეტიმოლოგიური შინაარსი, რაც გულისხმობდა ქალაქურ ცხოვრებას.

ცივილიზაციათა გატოლებას მიწათმოქმედებასა და იარაღთან— ვხვდებით ელინურ ლიტერატურაში ვერგილიუსთან, ორიგენესთან, XVIII ს. ფრანგ ფილოსოფოსთან ვოლნეისთან. ისინი ცივილიზაციების წარმოშობას არ უკავშირებენ ქალაქურ ცხოვრებას, მათი აზრით, ცივილიზაციას საძირკველი ჩაეყარა მას აქეთ, რაც ადამიანმა ხელი მიჰყო მიწათმოქმედებას.

ლ. მორგანი ნაშრომში „ძველი საზოგადოება" ცივილიზაციას მიიჩნევს ეპოქად, რომელიც კაცობრიობის ისტორიას გამოყოფს ველურობისა და ბარბაროსობის ხანიდან. ამგვარად, პირველყოფილი საზოგადოებები არ მიიჩნევიან ცივილიზებულად. იმავე აზრს ვხვდებით ფ. ენგელსთან. ცივილიზაციის ეპოქის ძირითად ეკონომიკურ მახასიათებლებად იგი თვლის: 1. ლითონის ფულის შემოღებას; 2. ვაჭართა კლასის წარმოშობას; 3. მიწაზე კერძო საკუთრების დამკვიდრებას და 4. მონური შრომის გაჩენას. ჩამოთვლილი ოთხივე პირობის არსებობისათვის ფ. ენგელსი აუცილებელ ფაქტორად ასახელებს სახელმწიფოს არსებობასა და ოჯახის ფორმას—მონოგამიას[9].

საბჭოთა მეცნიერი პ. კაპიცა ცივილიზაციის პროცესს შემდეგნაირად განმარტავს: „ადამიანი ცხოველისაგან ძირითადად იმით განსხვავდება, რომ თავის ევოლუციურ განვითარებაში ის სახეს

---

[8] Encyclopædia Britannica, London, copyright, 1969, v. 5, p. 824.

[9] იხ. კ. მ ა რ ქ ს ი, ფ. ე ნ გ ე ლ ს ი რჩეული ნაწერები ორ ტომად. თბ., 1950, ტ. II, გვ. 391.

უცვლის გარემო ბუნებას, უმორჩილებს რა მას თავის ინტერესებს, მაშინ როდესაც ცხოველთა სამყაროს ევოლუცია დამყარებულია მის შეგუებაზე ბუნებასთან.

ბუნების უფრო ეფექტური გარდაქმნის მიზნით ადამიანები ამოქმედდნენ უფრო ორგანიზებულად, კოლექტიურად და ამგვარად წარმოიშვა საზოგადოებრივი სტრუქტურა, რომელიც ახლა აღწევს სახელმწიფოებრივ მასშტაბს, ხოლო ეკონომიკური ინტეგრაციის პროცესში სცილდება კიდეც სახელმწიფოს ფარგლებს. ამ პროცესს ჩვენ ვუწოდებთ ცივილიზაციას"[10].

სწორედ ადამიანის მისწრაფებამ, გაბატონებულიყო ბუნებაზე, შექმნა ის რთული საზოგადოებრივი სტრუქტურა, რომელიც იწოდება ცივილიზაციად.

რა თქმა უნდა, ცნება „ცივილიზაცია" განიცდის ევოლუციას. ადრე იგი იხმარებოდა სხვა მნიშვნელობით — კაცობრიობის ისტორიას გამოყოფდა ველურობისა და ბარბაროსობის ხანიდან. არ შეგვიძლია იგივე ვთქვათ თანამედროვე ცივილიზაციის დახასიათებისას. დღეისათვის ძნელია მოვაქციოთ ერთი და იმავე ცნების „ცივილიზაციის" ქვეშ თანამედროვე ეპოქა მთელი თავისი რთული მექანიზმით და, ვთქვათ, მონათმფლობელური წყობის ხანა.

გამიჯვნა — „ცივილიზებული-არაცივილიზებული", — არ იქნება მართებული არც ერთი ეპოქისათვის. ყოველი პროგრესი, რაც მიღწეულ იქნა ადამიანის განვითარების ადრეულ საფეხურზე — ველურობის ეტაპზე, თუნდაც მოსამზადებელი ეტაპი ახალ ეპოქაში გადასასვლელად, არ შეიძლება დავტოვოთ „ცივილიზაციის" ფართო ცნების გარეთ. ლიტერატურაში ვხვდებით ისეთ გამოთქმას, როგორიცაა „პრიმიტიული ცივილიზაცია". ეს უკანასკნელი უფრო მისაღებად უნდა ჩაითვალოს, რამდენადაც იგი მიუთითებს ცივილიზაციის განვითარების დონეზე.

ინგლისელი მეცნიერი ა. ტოინბი პრიმიტიულ ცივილიზაციას შემდეგნაირად აფასებს: „პრეისტორიული ადამიანის მუტაცია, რომელიც დასრულდა პრიმიტიული საზოგადოების ეპოქაში და რომლის შესახებაც ჩვენ არ მოგვეპოვება ცნობები, უფრო დიდი ცვლილება იყო, უფრო დიდი ნაბიჯი ზრდაში, ვიდრე ცივილიზაციის ეპოქაში ადამიანის მიერ მიღწეული ნებისმიერი პროგრესი"[11].

---

[10] Журн. «Вопросы философии», № 1, 1977, с. 46.

[11] A. Toynbee, op. cit., v. I, p. 193.

„მუდმივი და მყარი განმასხვავებელი ნიშნის პოვნა პრიმიტიულ და ცივილიზებულ საზოგადოებებს შორის არ მოხერხდა. მაგრამ დადგინდა ცივილიზაციის გენეზისის ბუნება, რაც მდგომარეობს სტატიკური პირობიდან დინამიკურ აქტივობაზე გადასვლაში"[12], — განაგრძობს იგი.

ცივილიზაციების შესწავლისას დასავლეთის მეცნიერები ხშირ შემთხვევაში ეყრდნობიან ბიოლოგიურ და ზოოლოგიურ მეთოდოლოგიურ პრინციპებს. ფრანგი მეცნიერი ტეიარი წერს: „...ცივილიზაცია ეს არის ადამიანთა ზოოლოგიურ ჯგუფში ზოოლოგიური კლასიფიკაციის შემდგომი გაღრმავება... რომელშიც რაღაც განსაკუთრებულ ფაქტორს (ფსიქიკა), რომელსაც სისტემატიკა აქამდე არ იღებდა მხედველობაში, უეცრად გადამწყვეტი როლი ენიჭება". სხვა შეხედულებას ავითარებს იგი ნაშრომში „ადამიანის ფენომენი" და აღნიშნავს, რომ ადამიანის ევოლუციას აქვს „სოციალურ-კულტურული და სოციალურ-ფსიქოლოგიური ხასიათი, რაც განპირობებულია ცხოვრების არა იმდენად ბიოლოგიური, რამდენადაც სოციალური მხარით"[13].

უნდა აღინიშნოს, რომ საზოგადოებაში, რომელიც დაყოფილია ანტაგონისტურ კლასებად, იდეოლოგიაც კლასობრივია. იგი ხშირად კონფლიქტშია ობიექტურ სინამდვილესთან. სხვადასხვა სოციალურ ფენათა ინტერესების არაერთგვაროვნება განაპირობებს ბურჟუაზიული იდეოლოგიის სიჭრელეს. ბურჟუაზიული მეცნიერები ცდილობენ მდგომარეობის მიხედვით შეცვალონ თავიანთი თეორიები ახალ პირობებთან უფრო შეგუებული იდეებით. ასე შეიცვალა, მაგალითად, „ცხოვრების ფილოსოფია" ეგზისტენციალიზმით, ეგზისტენციალიზმი — ნეოთომიზმით, რომელიც კათოლიციზმის ახალ ფორმას წარმოადგენს. კათოლიციზმის ტრადიციული სოციალური დოქტრინა, რომელიც ემსახურება საზოგადოების ექსპლუატატორულ ფენებს, ახალ სიტუაციაში, როდესაც საერთაშორისო არენაზე გამარჯვებული გამოვიდა სოციალიზმი, შეიცვალა. იგი ახალი ლოზუნგით მოგვევლინა — „ქრისტიანები სოციალიზმის მომხრენი არიან".

აღსანიშნავია ბურჟუაზიულ მეცნიერთა განსაკუთრებული დამოკიდებულება „ცივილიზაციის" ცნების საკითხისადმი. ამ ცნებას

---

[12] Ibid., p. 195.

[13] იხ. Журн. «Новые книги за рубежом по общественным наукам», 10 октября, 1979, с. 81—82.

ვხვდებით სხვადასხვა კონტექსტში, მაგალითად, „ტექნიკური ცივილიზაცია“, „აგრარული ცივილიზაცია“ და ა. შ. არ შეიძლება ცივილიზაციათა ასეთი ცალმხრივი დიფერენციაცია. ცივილიზაცია უნდა განვიხილოთ როგორც პოლიტიკურ, სოციალურ, რელიგიურ და ინტელექტურ ტრადიციათა ერთობა. ცივილიზაციის ტერმინის ასეთი ფართო განმარტება, ერთი შეხედვით, ქმნის შთაბეჭდილებას თითქოს ცივილიზაცია და საზოგადოებრივ-ეკონომიკური ფორმაცია იდენტური ცნებები არიან. ამ მხრივ საინტერესოა საბჭოთა მეცნიერის მ. მჩედლოვის მოსაზრება: „ცნება ცივილიზაცია — თავისი მრავალმნიშვნელოვანი გამოყენების მიუხედავად — განუხრელად ამახვილებს ყურადღებას იმ მიღწევებზე, რომლებიც ხორციელდება მოცემული საზოგადოების სოციალურ სფეროში, კულტურულ მოღვაწეობაში, ამ მიღწევების თანმიმდევრულ ზრდასა და გამდიდრებაზე, ფართო მასებში მათი გავრცელების დონეზე, ისევე როგორც მასების მონაწილეობის გაქანებასა და აქტივობაზე ისტორიულ შემოქმედებაში...

გარდა იმისა, რომ საზოგადოებრივ-ეკონომიკური ფორმაციისა და ცივილიზაციის ცნებებს გააჩნიათ სხვადასხვა ფუნქციები, უნდა აღინიშნოს მათი მოცულობის არაერთგვაროვნება. გარკვეული გაგებით ფორმაციის ცნება უფრო ფართოა, ვიდრე ცივილიზაციისა (მხედველობაში გვაქვს ურთიერთობა სწორედ მოცემული საზოგადოებრივ-ეკონომიკური ფორმაციისა და მასზედ დაფუძნებული ცივილიზაციის ისტორიული ტიპი); საზოგადოებრივ-ეკონომიკური ფორმაციის ჩარჩოებში სახეზეა და გამოხატულებას პოულობს ცივილიზაციის ყველა ფაქტორი და გამოვლინება, თუმცა ყველა მოვლენა, რომელიც განიხილება ფორმაციის თეორიის მიხედვით, არ შედის ცივილიზაციის ცნებაში...“[14]

ხშირად დასავლეთის მეცნიერები ახდენენ „ცივილიზაციისა“ და „კულტურის“ ცნებების რადიკალურ გამიჯვნას. კულტურის ცნებაში ისინი აქცევენ მხოლოდ „გრძნობათა“ გარკვეულ სისტემას. „კულტურისა“ და „ცივილიზაციის“ ცნებათა გამიჯვნით შეუძლებელი ხდება მათი სწორი კვალიფიკაცია. გერმანიაში კულტურა და ცივილიზაცია სხვადასხვა მნიშვნელობის მქონე ცნებებად არიან მიჩნეული. გერმანელი სოციალოგი ალფრედ ვებერი (1868—1958) ახდენდა არა მარტო კულტურისა და ცივილიზაციის ცნებების გამიჯვნას, არამედ ისტორიას ყოფდა სოციალურ, ცივილიზაციურ და

---

[14] იხ. Журн. «Вопросы философии», № 7, 1978, с. 164.

კულტურულ პროცესებად. ცივილიზაციის ცნებაში გულისხმობდა ძირითადად ტექნიკის განვითარებას, რის საფუძველზეც უნდა მომხდარიყო ცივილიზაციათა უნიფიკაცია. ამ თეორიის ნაირსახეობანი შემდგომში მრავლად გავრცელდა (ინდუსტრიული საზოგადოება, პოსტინდუსტრიული საზოგადოება და ა. შ.). ბევრი დასავლეთელი კულტუროლოგის აზრით, ცივილიზაცია ხრწნის კულტურას და წარმოადგენს მის უკანასკნელ სტადიას. ამ მიმართულების ფუძემდებელია ო. შპენგლერი. საწინააღმდეგო მოვლენასთან გვაქვს საქმე ინგლისურ ისტორიულ მეცნიერებაში, სადაც ცნება „ცივილიზაცია" გულისხმობს კულტურულ ტრადიციებს.

ფრანგი მეცხიერი რ. არონი თითქმის იდენტურ ცნებებად წარმოგვიდგეის „კულტურულ ერთობასა" და „პოლიტიკურ ერთეულს". მისი აზრით, ეს ცნებები თეორიულად ძნელი გასამიჯნავია ურთიერთისაგან. მათ შორის ზუსტი ზღვარი იშვიათ შემთხვევაში გაივლება. ურთიერთდამოკიდებულება „კულტურულ წყობასა" და „სამხედრო წყობას" შორის მუდმივად მერყეობს. „კულტურული წყობა ახლო კავშირშია როგორც ერთ, ისე მეორე ფორმასთან, მას არ გააჩნია პოლიტიკური ავტონომია და მუდმივ კონკურენციას უწევს ამ უკანასკნელს, მათ შორის ომებსაც, რომლებიც პოლიტიკის გამოხატულებას წარმოადგენენ. „სამხედრო წყობა" მოიცავს სხვადასხვა კულტურას და განაპირობებს „კულტურის წყობას"[15].

როგორც ვხედავთ, ცივილიზაციის ცნებას არ გააჩნია გარკვეული ერთიანი განმარტება. სხვადასხვა მეცნიერი მის სხვადასხვა ინტერპრეტაციას იძლევა.

ცნება „ცივილიზაცია", უთუოდ, მოითხოვს ფართო გაგებას. იგი მოიცავს ადამიანის აქტივობის ყოველ მხარეს; ყველაფერ იმას, რაც ცხოვრებას უფრო მდიდარსა და სრულყოფილს ქმნის, ყოველივე იმას, რასაც ვგულისხმობთ „პროგრესის" ცნებაში.

რაც შეეხება ცივილიზაციათა კლასიფიკაციის საკითხს, იგი ისევე გაურკვეველია დასავლეთის მეცნიერთა ნაშრომებში, როგორც თავად „ცივილიზაციის" ცნება. ამ საკითხთან დაკავშირებით შევჩერდებით ედ. ტანენბაუმის რედაქტორობით ამერიკელ ისტორიკოსთა ჯგუფის მიერ შედგენილ წიგნზე: „მსოფლიო ცივილიზაციათა ისტორია"[16].

---

[15] R. Aron, Paix et Guerre entre les Nations, Paris, 1975, pp.295—296.

[16] Guilford A. Dudley, John E. Fagg, C. Warren Hollister, Carter Jeferson, Thomas R. Metcalf,

ცივილიზაციის არსებობისათვის ედ. ტანენბაუმი აუცილებლად მიიჩხევს სამ ფაქტორს: 1. დამწერლობა, 2. ქალაქური ცხოვრება და 3. ზედმეტი პროდუქციის დაგროვება. მისი აზრით, ყველა ადრეული ცივილიზაცია იღუპებოდა იმის გამო, რომ ამ მესამე ფაქტორს იყენებდნენ არაპროდუქტიული მიზნებისათვის (სასახლეების, მონუმენტების მშენებლობა, იმპერიალისტური ომების წარმოება და ა. შ.)[17]. ედ. ტანენბაუმის მიერ ცივილიზაციათა კლასიფიკაცია ემყარება ქრონოლოგიურ თანმიმდევრობას: ანტიკური, ევრაზიული — 500—1500 წწ., ევროპული — 1500—1815 წწ., ევროპული 1815—1914 წწ., ბოლოს, პირველი მსოფლიო ომის შემდგომი პერიოდი.

ა. ტოინბი ცივილიზაციის ევოლუციაში გამოყოფს შემდეგ ეტაპებს: 1. ცივილიზაციის პირველი ტალღა განხორციელდა 30 ათასი წლის წინ, პალეოლითის ხანაში, რაც დაკავშირებული იყო შრომის იარაღების მკვეთრ გაუმჯობესებასთან: 2. ცივილიზაციის მეორე ტალღა განხორციელდა 8—10 ათასი წლის წინ, ნეოლითის ხანაში, როდესაც შრომის იარაღების შემდგომ გაუმჯობესებას მოჰყვა სოფლის მეურნეობის განვითარება, ძაღლის მოშინაურება და ა. შ.: 3. ცივილიზაციის მესამე ტალღა დაკავშირებულია მეტალურგიის განვითარებასთან დაახლოებით 5 ათასი წლის წინათ და 4. მეოთხე ტალღა — ინდუსტრიული რევოლუცია, რომელიც დაიწყო დაახლოებით 200 წლის წინ და დღემდე უწყვეტ ნაკადად ვითარდება[18].

ამასთანავე ა. ტოინბი უარყოფს ცივილიზაციათა სწორხაზოვან კლასიფიკაციას ანტიკურ და თანამედროვე ცივილიზაციებად. მას დასავლეთის ისტორია გატოლებული აქვს მთელ თანამედროვე პერიოდთან, ხოლო შუა საუკუნეები — დასავლეთის ისტორიის ერთიერთ თავთან. მისი აზრით, ისტორიის პერიოდიზაცია: ანტიკური ხანა—შუა საუკუნეები — თანამედროვეობა, არა მარტო არაადეკვატურია, არამედ მცდარიც. იგი გვთავაზობს ასეთ პირიოდიზაციას: ელინური ეპოქა — დასავლეთი (შუა საუკუნეები+თანამედროვეობა). საბოლოოდ ეს ფორმულაც არასრულყოფილად მიაჩნია, ვინაი-

---

Edward R. Tannenbaum, Robert L. Tignor, Irwin Unger and Frederic Wakeman. A History of Word Civilization. Ed. by Ed. Tannenbaum. N. Y., 1973.

[17] Ibid, pp. 1—3.

[18] იხ. A. Toynbee, Experiences. London,1969, p. 290.

დაი, მისი აზრით, დასავლეთის ისტორია მოითხოვს უფრო ზუსტ პერიოდიზაციას — არა შუა საუკუნეები + თანამედროვეობა, არამედ დასავლეთი I (675—1075) + დასავლეთი II (1075—1475) + დასავლეთი III (1475—1875) + დასავლეთი IV (1875 —)[19].

ფ. ენგელსი ცივილიზაციის ეპოქას ჰყოფს სამ ეტაპად ექსპლუატაციის 3 ფორმის მიხედვით: 1. მონობა — ექსპლუატაციის პირველი ფორმა, დამახასიათებელი ანტიკური სამყაროსათვის; 2. ბატონყმობა — შუა საუკუნეები; 3. დაქირავებული შრომა — თანამედროვე ეტაპი[20].

ბურჟუაზიულ ისტორიის ფილოსოფიაში გავრცელებულია აზრი, რომ ისტორია ისტორიულ დროში მოცემული თვისებრივად განსხვავებული ცივილიზაციების ურთიერთობაა, რომ ყოველ ცივილიზაციას აქვს შინაგანი სიმყარე, ევოლუციის საკუთარი სპეციფიკა, ხოლო ცივილიზაციათა ურთიერთქმედებას მხოლოდ ზედაპირული, ხშირად შემთხვევითი ხასიათი აქვს. ამასთანავე უარყოფილია ცივილიზაციათა ეკვივალენტობა.

ამ „არაეკვივალენტურ" ცივილიზაციათა შორის განსაკუთრებული ადგილი უჭირავს დასავლეთის ცივილიზაციას. დასავლეთის ისტორიკოს-თეორეტიკოსთათვის დამახასიათებელია ევროპის ცივილიზაციის განდიდება. ამ უკანასკნელს ისინი გამოყოფენ როგორც საზოგადოების ორგანიზაციის უმაღლეს ფორმას, რომელიც ფუნქციონირებს როგორც მოდელი, ეტალონი სხვა თანამედროვე ცივილიზაციებთან მიმართებით („რუსული ორთოდოქსალური", მუსლიმანური, ინდური, ჩინური, იაპონური).

დასავლეთის პრესა ინტენსიურად იყენებს დღეისათვის ძალზე მოდურ და ამასთანავე აბსტრაქტულ „ცივილიზაციის" ცნებას, მაგრამ უმთავრესად არა როგორც ფილოსოფიურ კატეგორიას, არამედ როგორც პროპაგანდის საშუალებას, რომლის მიზანია დასავლეთის სამყაროს უპირატესობის აგიტაცია.

ცნება „დასავლეთი" და „დასავლური" ევროპის ქვეყნების მიმართ იხმარებოდა უძველესი დროიდან. ტერმინების — „დასავლეთი" და „აღმოსავლეთი" — შემოღებას რეალური გეოგრაფიული საფუძველი აქვს და არ საჭიროებს ახსნას. რაც შეეხება „ევროპასა" და „აზიას", ისინი წარმოიშვნენ როგორც ორი ურთიერთსაპირისპი-

---

[19] იხ. A. Toynbee, A Study of History, v. I, p. 164.

[20] იხ. კ. მარქსი, ფ. ენგელსი. რჩეული ნაწერები ორ ტომად, ტ. II, გვ. 391.

რო (ატლანტიკისა და წყნარი ოკეანის) ნაპირების სახელწოდებანი. დროთა განმავლობაში ამ სახელწოდებებმა შეიძინეს პოლიტიკური და კულტურული მნიშვნელობა. დასავლეთ ევროპის სახელმწიფოები გაერთიანდნენ დასავლეთის ცივილიზაციის სახელწოდებით.

ამერიკელი მეცნიერი ე. ბარელი დასავლეთის ცივილიზაციის ცნებას შემდეგნაირად განმარტავს: „ეს არის პოლიტიკურ, სოციალურ, რელიგიურ და ინტელექტუალურ ტრადიციათა ერთობლიობა, რომელიც 5000 წლის წინათ შეიქმნა ხმელთაშუა ზღვის აუზში მცხოვრები ხალხის მიერ. ეს პროცესი ვითარდება მას აქეთ, რაც ადამიანმა დაიწყო თავისი წარსულისა და მომავლის აღქმა. თავდაპირველად ეს კულტურული რეგიონი მოიცავდა ახლო აღმოსავლეთს, ჩრ. აფრიკას და ევროპის კონტინენტს, მაგრამ მოგვიანებით მან იწყო გაფართოება და თავის ჩარჩოებში მოაქცია აღმოსავლეთ ნახევარსფეროს ისეთი ნაწილები, როგორიცაა: ავსტრალია, ახალი ზელანდია და სამხ. აფრიკა, უფრო მეტიც, დასავლეთის ცივილიზაცია ისეთი ანტიკური ცივილიზაციების შთამომავალია, როგორიცაა: ეგვიპტის, მესოპოტამიის, ებრაული, ბერძნული და რომის ცივილიზაციები, ყველაზე მეტად მასზე გავლენა იქონია იუდაიზმმა და ქრისტიანობამ, დროისა და სივრცის გარკვეულ მონაკვეთზე ისლამმაც[21].

ვნახოთ რა უდევს საფუძვლად დასავლეთ ევროპის სახელმწიფოების გაერთიანებას „დასავლეთის ცივილიზაციის“ ცნებაში. იმისათვის, რომ მოვახდინოთ კლასიფიკაცია და გამოვყოთ რაიმე ერთეული — სტრუქტურა, პირველ რიგში უნდა გამოვნახოთ საერთო საფუძველი, საერთო მეთოდოლოგიური პრინციპი, რომელზედაც დაყრდნობით განვახორციელებთ ამ გაერთიანებას. თუ ვიმსჯელებთ გარეგნული ფაქტორების მიხედვით, მაშინ ასეთ საფუძვლად უნდა აღვნიშნოთ ფიზიკურ-გეოგრაფიული ნიშნები — რელიეფი, კლიმატი, ფაუნა და ფლორა და ა. შ. ამ ნიშნის მიხედვით გამოიყოფა ისეთი მსხვილი ერთეულები, როგორიცაა: ევრაზია, აფრიკა, ჩრდილო და სამხრეთ ამერიკა, ავსტრალია, ოკეანისა და ანტარქტიკული სარტყელი. რა თქმა უნდა, შეგვიძლია მოვახდინოთ ამ მსხვილ ერთეულთა შემდგომი უფრო დეტალური დიფერენციაცია. შესაბამისად, სახელმწიფოები, რომლებიც განლაგებული არიან ევროპაში, იქნებიან ევროპის სახელმწიფოები, ამერიკაში — ამერიკის და ა. შ.

---

[21] Sidney A. Burrell, A Handbook of Western Civilization. v. 1—2. N. Y., 1972, pp. 5—6.

თუ პირველ შემთხვევაში სისტემური შესწავლის კრიტერიუმად ავიღებთ ფიზიკურ-გეოგრაფიულ ნიშნებს, მეორე შემთხვევაში ასეთ კრიტერიუმად შეგვიძლია გამოვიყენოთ ეკონომიკა. ამ ნიშნის მიხედვით სახელმწიფოების კლასიფიკაცია შეგვიძლია მოვახდინოთ შემდეგნაირად: განვითარებული ქვეყნები, განვითარებადი ქვეყნები და კოლონიები.

პოლიტიკური ნიშნის მიხედვით სახელმწიფოებს ვყოფთ დამოუკიდებლად და დამოკიდებულად.

შეგვიძლია ასევე მოვახდინოთ კლასიფიკაცია რელიგიური, კულტურული (ცალკე ჯგუფად ენის ნიშნის მიხედვით), ნაციონალური ნიშნის მიხედვით, საზოგადოებრივ-ეკონომიკური ფორმაციის ძირითადი ნიშნის — წარმოების წესის პრინციპის მიხედვით. თანამედროვე ეტაპზე წარმოების წესის ნიშნის მიხედვით სახელმწიფოები იყოფა ორ ჯგუფად: კაპიტალისტური და სოციალისტური სახელმწიფოები.

ჩვენ მიერ მოყვანილი — ფიზიკურ-გეოგრაფიული, ეკონომიკური და პოლიტიკური ნიშნები იძლევა რეალურ საფუძველს იმისა, რომ დასავლეთი ევროპის ქვეყნები პირობითად გაერთიანდნენ დასავლეთის ცივილიზაციის ცნების ქვეშ.

წინამორბედი ცივილიზაციებისაგან განსხვავებით, რომლებიც გამოირჩეოდნენ პოლიტიკური მთლიანობით, ექვემდებარებოდნენ ცენტრალიზებულ მმართველობას, ახლა საქმე გვაქვს ევროპის ცივილიზაციასთან, უფრო სწორად, დასავლეთი ევროპის ცივილიზაციასთან, რომელიც შედგება დამოუკიდებელი პოლიტიკური ერთეულებისაგან.

თანამედროვე დასავლეთის ცივილიზაციის ძირითადი მახასიათებელია მოდერნიზაცია. ეპოქებს შორის დემარკაციულ ხაზს დასავლეთის მეცნიერები ავლებენ არა საზოგადოებრივ-ეკონომიკურ ფორმაციათა მიჯნებზე, არამედ, ეგრეთ წოდებული „მოდერნიზაციის“ სათავეებთან, რომელიც მოიცავს 4 ეტაპს: 1. მეცნიერული ცოდნის დაგროვება, 2. ახალი ლიდერების გამოჩენა, რომლებიც მზად არიან გადაახალისონ სამყარო, 3. ეკონომიკური და სოციალური ტრანსფორმაცია და 4. ინდივიდების, სოციალური ჯგუფების და გეოგრაფიული რეგიონების ეროვნულ სახელმწიფოებად ინტეგრაცია[22].

---

[22] იხ. Ed. Tannenbaum, op. cit., p. 2.

ჰ. კანი კაცობრიობის ისტორიის პერიოდიზაციას ახდენს ისეთი ცნებებით, როგორიცაა „აგრარული რევოლუცია“ და „მოდერნიზაცია“, რის საფუძველზეც ისტორია იყოფა სამ პერიოდად.

დ. ეპტერი ნაშრომში „მოდერნიზაციის“ პოლიტიკა“ მოდერნიზაციას ახასიათებს როგორც თანამედროვე ეპოქის მთავარ მამოძრავებელ ძალას. აქ ვხვდებით კარგად ცნობილ აზრს იმის შესახებ, რომ მოდერნიზაციას საფუძველი ჩაეყარა დასავლეთში, ხოლო მისმა შემდგომმა გავრცელებამ გამოიწვია ის შედეგი, რომ დასავლეთის ცივილიზაცია იქცა ეტალონად მთელი მსოფლიოსათვის[23].

როგორც კარტერ ჯეფერსონი აღნიშნავს: „სოციალური კაპიტალის“ — ეფექტური მთავრობის, განათლების შედარებით მოწინავე სისტემის და ტრადიციული კულტურის ექსტენსიური ნგრევის გარეშე — მოდერნიზაციის შესაძლებლობანი ძალზედ უმნიშვნელო იყო“[24].

როგორც ვხედავთ, ამერიკელ მეცნიერთა აზრით, საზოგადოების განვითარება დამოკიდებულია არა საწარმოო ძალთა განვითარების დონეზე და საწარმოო ურთიერთობის ხასიათზე, არამედ „სოციალურ კაპიტალზე“, რაც გულისხმობს ეფექტურ მთავრობას, განათლების შედარებით მოწინავე სისტემას და ტრადიციული კულტურის ნგრევას.

ძნელი გასაგები არაა, თუ რატომ ირჩევენ ისინი საზოგადოებრივი განვითარების ასეთ „არაპრეტენზიულ“ გზას. სოციალური სისტემის პლურალიზმი ყოველთვის იძლევა შესაძლებლობას ერთი მთავრობა შეიცვალოს მეორეთი, სოციალური ორგანიზაციის არსი კი დარჩეს უცვლელი და ამ უკანასკნელის პროგრესი განხორციელდეს ევოლუციის გზით, ყოველგვარი სოციალური ძვრების გარეშე. არ არის საჭირო დაირღვეს ისტორიის „ნორმალური“ მსვლელობა. კულტურისა და ცივილიზაციის ნაკადი ხომ ყოველთვის დასავლეთიდან აღმოსავლეთისაკენ მიედინებოდა და არა პირუკუ. ამიტომაც გასაკვირი არაა, ცნებები „მოდერნიზაცია“ და „ვესტერნიზაცია“ გაიგივებული არიან. ისინი თითქმის იდენტურ ცნებებად გვევლინებიან.

ვხვდებით ისეთ შეხედულებასაც, რომელიც ცივილიზაციის

---

[23] იხ. D. Apter, The Politics of Modernization, Chicago, 1966, p. VII, I.

[24] Ed. Tannenbaum, op. cit., p. 436.

განვითარებაში გადამწყვეტ როლს ანიჭებს აღმოსავლეთს და არა დასავლეთს[25].

რ. სტრომბერგი, მაგალითად, ირჩევს მესამე გზას — სინკრეტიზაციას და ფიქრობს, რომ აღმოსავლეთისა და დასავლეთის ცივილიზაციების სინკრეტიზაციით წარმოიშვებიან ახალი ცივილიზაციები, ისევე როგორც დასავლეთის ცივილიზაცია წარმოიშვა ანტიკური ცივილიზაციების ნანგრევებზე[26].

მოდერნიზაციის თეორიიდან ბურჟუაზიული მეცნიერები გადადიან ევროპოცენტრიზმზე. ცივილიზაციათა ფართო „ველში" დასავლეთის ცივილიზაციას უკავია ცენტრალური ადგილი, წარმოადგენს ბირთვს, ხოლო ყველა დანარჩენი — „პერიფერიებს", რომლებიც მოქცეულნი არიან დასავლეთის ცივილიზაციის „რადიაციის" ქვეშ.

მოდერნიზაციის კონცეფცია, რომელიც იძლევა დასავლეთი ევროპის კაპიტალისტური ევოლუციის მზა მოდელს, დღევანდელი მსოფლიოსათვის, განსაკუთრებით, „მესამე სამყაროდ" წოდებული ქვეყნებისათვის არაადეკვატურია. ასეთი მზა მოდელის იმიტაცია, ნაციონალურ-ეთნიკური ფაქტორის გათვალისწინების გარეშე მარცხით მთავრდება. ამის დასადასტურებლად შეგვიძლია მოვიტანოთ ირანის მაგალითი.

დასავლეთის სოციოლოგთა სულ უფრო მეტი რაოდენობა მიდის იმ დასკვნამდე, რომ ცალკეულმა სახელმწიფოებმა მათ წინაშე მდგარი პრობლემები უნდა გადაჭრან თავიანთი სპეციფიკური პირობების გათვალისწინებით და არა დასავლეთის ცივილიზაციის მოდელის მიხედვით.

ჩარლზ ტილი ერთ-ერთი იმათთაგანია, რომელსაც დასავლეთი ევროპა მიაჩნია მთელი მსოფლიოს ნიმუშად, რასაც იგი შემდეგნაირად ასაბუთებს: 1. ევროპის გამოცდილების ძირითადი ნაწილი ჯერ კიდევ გამოსადეგია დღევანდელობისათვის; 2. ევროპის ისტორიული გამოცდილება კარგად არის დოკუმენტირებული, რის გამოც იგი ადვილად ხელმისაწვდომია მთელი მსოფლიოსათვის; 3. და პირიქით, თანამედროვე სამყაროს დამახასიათებელი ზოგადი ფორმუ-

---

[25] იხ. Журн. «Народы Азии и Африки». №5, 1978, с. 228.

[26] იხ. R. Stromberg, European Intellectual History since 1789, USA, 1975.

ლირებანი შეიძლება შემოწმებულ იქნეს ევროპის გამოცდილების კარგად დოკუმენტირებულ მასალაზე[27].

ევროცენტრისტული თეორიებიდან გამომდინარე ბურჟუაზიული მეცნიერება თავისებურად განიხილავს დასავლეთის ცივილიზაციის განვითარებას XIX ს-ის მეორე ნახევრიდან. მიჩნეულია, რომ 1848—1871 წლებში მსოფლიო შევიდა განვითარების შედარებით სტაბილურ ხანაში, რომელიც გრძელდებოდა ბოლო 43 წლის განმავლობაში, 1914 წლამდე. ამერიკელი მეცნიერი ე. ბარელი ახასიათებს რა დასავლეთის სამყაროს, წერს: „ამ პერიოდში დასავლეთი ევროპა, უფრო მეტად ვიდრე ოდესმე, იქცა მსოფლიო ცივილიზაციის ცენტრად. ევროპის მოსახლეობის უდიდეს ნაწილს ჰქონდა უფრო მაღალი ცხოვრების დონე და უზრუნველყოფილი ეკონომიკა, ვიდრე რომელიმე სხვა სახელმწიფოს ოდესმე. ეჭვგარეშეა, რომ ამ უპირატესობებმა ასევე შექმნეს გარკვეული სიძნელეები. ერთ-ერთი მნიშვნელოვანი შედეგი იყო მოსახლეობის ზრდა, რომელიც ძირითადად ქალაქებში იყრიდა თავს და ამით კარგავდა იმ უსაფრთხოებას, რაც გააჩნდა სასოფლო-სამეურნეო საზოგადოებებს. ურბანიზაციის ზრდამ ასევე გამოიწვია ხალხის უფრო მეტი დაქვემდებარება საერთაშორისო ეკონომიკურ სისტემაზე: ამგვარად, მსოფლიოს შორეულ წარსულში მომხდარ მოვლენებს შეეძლო გაუთვალისწინებელი გავლენა ექონია მათზე. უფრო მეტიც, მუდმივად მზარდმა ცხოვრების დონემ გამოიწვია ადამიანთა ექსპექტაციის ზრდა, ამ უკანაკნელმა კი — ეკონომიკური კრიზისების ხანაში — პოლიტიკური უკმაყოფილება, რის მიმართაც სახელმწიფო არ შეიძლებოდა დარჩენილიყო გულგრილი. და ბოლოს ევროპამ თავისი ინდუსტრიული და სამხედრო ძალის უპირატესობით შეძლო გავლენა მოეხდინა მილიონობით არაევროპელ ადამიანებზე, რომლებიც მოექცნენ ევროპის სისტემის ორბიტაში და აღმოჩნდნენ ევროპის ცივილიზაციის გავლენის ქვეშ, შეუძლებელი იყო, რომ იმავე გავლენის ქვეშ მყოფ კოლონიებს არ განეცადა ცვლილებები და ამასთანავე იზრდებოდა სიძულვილი ევროპის ცივილიზაციის მიმართ.

ამგვარად, საზოგადოება, რომლის სიმდიდრეც სულ უფრო

---

[27] იხ. Ch. Tilly, The Formation of National States In Western Europe, USA, 1975, p. 13.

იზრდებოდა, 1914 წლისათვის რთული პრობლემების წინაშე აღმოჩნდა"[28].

როგორც ცნობილია, XIX საუკუნეში ევროპის გავლენის სფერო ამერიკიდან ინაცვლებს აზიასა და აფრიკაში .ამ ახალმა კონტაქტებმა წარმოშვა ახალი თეორიები. გაძლიერდა დიქოტომია დასავლეთი-აღმოსავლეთი. „ტრადიციულ საზოგადოებრივ ორგანიზაციებზე დასავლეთის გავლენა დრამატული და გამანადგურებელი იყო, — წერს ედ. ტანენბაუმი, — არც ერთ საზოგადოებას არ შეეძლო ამ გავლენის იგნორირება, ისეთი მაგალითები, როგორიცაა სიპაების აჯანყება ინდოეთში 1857 წ., ტაიპინელთა აჯანყება ჩინეთში, ნათლად მეტყველებენ იმ დიდ ცვლილებებზე, რომელსაც ადგილი ჰქონდა აღმოსავლეთში დასავლეთის გავლენით. ასეთი მძლავრი პროტესტის გამომხატველი მოძრაობანი წარმოადგენენ მომავალი რევოლუციური ნაციონალიზმის აჩრდილებს"[29].

XX ს. პირველ მეოთხედში ვ. ი. ლენინი დაპირისპირებას ევროპასა და აზიას შორის შემდეგნაირად განმარტავდა: ჩამორჩენილი ევროპა და მოწინავე აზია, „ამ სიტყვების დაპირისპირება პარადოქსსა ჰგავს. ვინ არ იცის, რომ ევროპა მოწინავეა, აზია კი ჩამორჩა? მაგრამ ამ სტატიის სათაურად აღებულ სიტყვებში მწარე სიმართლეა.

ცივილიზებულ და მოწინავე ევროპაში, მისი ბრწყინვალედ განვითარებული ტექნიკით, მისი მდიდარი, ყოველმხრივი კულტურითა და კონსტიტუციით, დადგა ისეთი ისტორიული მომენტი, როდესაც მბრძანებელი ბურჟუაზია მხარს უჭერს ყველაფერს ჩამორჩენილს, მომაკვდავს, შუასაუკუნებრივს, რადგან შიში აქვს პროლეტარიატისა, რომელიც იზრდება და მტკიცდება. მომაკვდავი ბურჟუაზია უერთდება ყველა დრომოჭმულ და მომაკვდავ ძალას, რათა შეინარჩუნოს დაქირავებულთა შრომეული მონობა.

მოწინავე ევროპაში მბრძანებლობს ყოველივე ჩამორჩენილის მხარისდამჭერი ბურჟუაზია. ჩვენს დროში ევროპა მოწინავეა არა ბურჟუაზიის მეოხებით, არამედ მის მიუხედავად, რადგან მხოლოდ პროლეტარიატი ზრდის განუწყვეტლივ უკეთესი მომავლისათვის მებრძოლთა მილიონიან ლაშქარს, მხოლოდ მარტო ის ინარჩუნებს და. ავრცელებს ულმობელ მტრობას ჩამორჩენილობისა, ველურობი-

---

[28] Sidney A. Burrell, op. cit., p. 93.
[29] Ed. Tannenbaum, op. cit., p. 19.

სა, პრივილეგიებისა, მონობისა და ადამიანის მიერ ადამიანის დამ-ცირებისადმი.

„მოწინავე“ ევროპაში მ ო წ ი ნ ა ვ ე კლასი მ ხ ო ლ ო დ პროლეტარიატია. ცოცხალი ბურჟუაზია კი დასაღუპავად განწირული კაპიტალისტური მონობის გადასარჩენად მზად არის ჩაიდინოს ყოველგვარი ველურობა, მხეცობა და დანაშაული“[30].

„სამაგიეროდ მთელ ახალგაზრდა აზიას, — განაგრძობს ვ. ი. ლენინი, — ესე იგი აზიის ასეული მილიონობით მშრომელებს საიმედო მოკავშირე ჰყავთ ყველა ცივილიზებული ქვეყნის პროლეტარიატის სახით. ვერავითარი ძალა ამ ქვეყნად ვერ შეაჩერებს მის გამარჯვებას, და ეს გამარჯვება გაათავისუფლებს როგორც ევროპის, ისე აზიის ხალხებს“[31].

გასაკვირი არაფერია იმაში, რომ ბურჟუაზიული მეცნიერება გამოდის ბურჟუაზიის დამცველად. ა. ტოინბი ვრცლად განიხილავს დასავლეთის ცივილიზაციის ისტორიას, ამ უკანასკნელის მიმართებებს სხვა ცივილიზაციებთან — რუსეთთან, ინდოეთთან, ისლამის სამყაროსთან, ებრაულ სამყაროსთან, შორეულ აღმოსავლეთსა და ამერიკის ადგილობრივ ცივილიზაციებთან, საბოლოო ეტაპზე კი განიხილავს დასავლეთის ურთიერთობას მის თანამედროვეებთან და მიდის იმ დასკვნამდე, რომ დასავლეთის ცივილიზაციის შემქმნელი და მამოძრავებელი ძალა იყო შემოქმედი უმცირესობა, ე. წ. ელიტა, რომელსაც განიხილავს განყენებულად, ხალხთა მასებიდან იზოლირებულად. „თანამედროვე დასავლეთის ცივილიზაცია ესაა საშუალო კლასის ცივილიზაცია! — წერს იგი, — იმ არადასავლურმა საზოგადოებებმა, რომლებმაც შექმნეს საშუალო კლასი, გადაიღეს თანამედროვე დასავლური ეთოსი. იმ არადასავლური ცივილიზაციების მმართველ წრეებს, რომლებსაც სურდათ განეხორციელებინათ „ვესტერნიზაცია“ და არ გააჩნდათ ჭეშმარიტი საშუალო კლასი, თავისი მიზნის განსახორციელებლად ინტელიგენციის სახით უნდა შეექმნათ ხელოვნური საშუალო კლასი. სწორედ ამ ინტელიგენციამ შეაქცია ზურგი თავის მასწავლებლებს“[32].

დასავლეთის მეცნიერთა მტკიცება, რომ დასავლეთმა თავის ხალხს მისცა ცხოვრების უფრო მაღალი დონე, ვიდრე მსოფლიოს

---

[30] ვ. ი. ლ ე ნ ი ნ ი, თხზ., ტ. 19, გვ. 96—97.

[31] იქვე, გვ. 98.

[32] A. T o y n b e e, A Study of History. Abridgement of v. I—X by D. C. Somervell, p. 386.

ნებისმიერმა სხვა საზოგადოებამ თუ რეგიონმა, არ იყო სიმართლეს მოკლებული, მაგრამ დღეისათვის მტკიცება, რომ პლურალური ეთნიკური, პოლიტიკური და რელიგიური სტრუქტურების მქონე „ლიბერალური“ დასავლეთის საზოგადოებანი უფრო მაღლა დგანან, ვიდრე „სოციალისტური დემოკრატიები“ მსოფლიოს სხვა ნაწილებში, მცდარია. ერთი მხრივ, ახალი სოციალისტური სახელმწიფოს და მთელი სოციალისტური სისტემის შექმნამ, მეორე მხრივ კოლონიალიზმის დამსხვრევამ და მსოფლიო არენაზე ახალი დამოუკიდებელი სახელმწიფოების გამოჩენამ წარმოშვა ახალი ტენდენცია — ევროპოცენტრიზმს დაუპირისპირდა „ვოსტოკოცენტრიზმი“.

ვ. ი. ლენინი აღნიშნავდა, რომ ჭეშმარიტ კომუნიზმს შეიძლება წარმატება ჰქონდეს დასავლეთში. მაგრამ ვინაიდან დასავლეთი ცხოვრობს აღმოსავლეთის ხარჯზე და მდიდრდება ძირითადად აღმოსავლეთის კოლონიებში, ამდენად ევროპის იმპერიალისტური სახელმწიფოები აიარაღებენ და ასწავლიან თავიანთ კოლონიებს როგორ იბრძოლონ, და ამით დასავლეთი თვითონ ითხრის ორმოს აღმოსავლეთშიო[33].

ცივილიზაციათა შორის ზღვარის გავლება სუბკულტურათა სხვადასხვა დონის გამო არ გვაძლევს იმის უფლებას, რომ ამ ზღვარს ტრანსისტორიული საფუძველი დავუდოთ. ბურჟუაზიული იდეოლოგების აზრით, ეს ზღვარი — უთანაბრობა წარმოიშვა ცივილიზაციათა წარმოშობასთან ერთად.

კაცობრიობის პროგრესის ერთ-ერთი გამოხატულებაა ადამიანის შემეცნებითი შესაძლებლობების ზრდა. ეს პროცესი ნელი ტემპით ვითარდება და მჭიდრო კავშირშია ცივილიზაციასთან. შეუძლებელია, რომ კაცობრიობამ ერთი ტემპით განახორციელოს ეს ევოლუცია. მაშინ, როდესაც ეს ხდება მსოფლიოს ერთ ნაწილში, მეორე — შეიძლება საესებით იმუნური დარჩეს მის მიმართ. თუმცა, დროთა განმავლობაში დამწერლობისა და წიგნის ბეჭდვის შემოღებამ, ტრანსპორტისა და კომუნიკაციების განვითარებამ ხელი შეუწყო ინფორმაციის არნახულ დონემდე გაზრდას, ადამიანს შესაძლებლობა მიეცა გაევრცელებინა თავისი გამოცდილება სივრცესა და დროში.

• სავაჭრო ურთიერთობის დამკვიდრება და განვითარება, ხალხთა ფართო მასების მუდმივი გადაადგილება ხელს უწყობდა მსოფლიოს მრავალმხრივ განვითარებას. ამ მრავალმხრივმა განვითარებამ და

---

[33] ob. В. И. Ленин. ПСС, т. 41, с. 133.

ფართო კონტაქტებმა წარმოშვა მრავალი თეორია ცივილიზაციების „სრულყოფილობისა“ და „არასრულყოფილობის“ შესახებ.

„XV საუკუნის დამდეგამდე ახლო აღმოსავლეთის, ინდოეთის და ჩინეთის ცივილიზაციები ისეთივე განვითარებული იყვნენ, როგორც ევროპისა; ზოგიერთ რეგიონში კულტურის ზოგიერთ ასპექტში ისინი დასავლეთზე მაღლა იდგნენ. თუმცა გვიანდელ შუა საუკუნეებში, დასავლეთმა ევროპამ დაიწყო საოცარი აღმავლობა — „ხელახლა დაბადება“, რაც აისახა ძლიერი ეროვნული სახელმწიფოების ჩამოყალიბებაში; სიმდიდრისა და ვაჭრობის ზრდაში, ბურჟუაზიის მნიშვნელობის ზრდაში, ჰუმანიტარული სკოლის წარმომადგენელთა და ხელოვანთა ინტელექტუალურ და მხატვრულ მიღწევებში. ენერგიულ დასავლეთთან შედარებით ინდოეთის და ჩინეთის იმპერიები როგორც კულტურულად, ასევე პოლიტიკურად ნაკლებად დინამიკური იყვნენ. იაპონიაში მთავარი იყო იზოლაცია. ამდენად XV ს-ში, როდესაც აღმოსავლეთსა და დასავლეთს შორის კონტაქტი განახლდა, ეს არ იყო თანატოლთა შეხვედრა. პოლიტიკური ორგანიზაციების, დისციპლინებული არმიების, ენერგიისა და ამბიციების შეუსაბამობა ხელს უშლიდა აღმოსავლეთ-დასავლეთის კონტაქტების განახლებას იმავე საფუძველზე, როგორიც არსებობდა ათასი წლის წინ.

იგივე შეიძლება ითქვას ამერიკასა და აფრიკაზე. ისეთი ცივილიზაციები, როგორიც იყო ინკების, აცტეკების და მაიას ცივილიზაციები შეიარაღებულ ევროპელებთან შეუსაბამობას წარმოადგენდნენ. აფრიკის შესაძლებლობები შეზღუდა იზოლაციამ და მკაცრმა გარემო ძალებმა, ასე რომ, ადგილობრივი მოსახლეობა ადვილად ხდებოდა ევროპელთა მსხვერპლი. აფრიკის ქვემო საჰარის პროგრესი ალბათ მონებით ვაჭრობამ შეაჩერა.

ევროპის ურთიერთობას სხვა კონტინენტებთან მოჰყვა ჩვეულებრივი შედეგი — ძლიერმა დაჩაგრა სუსტი; მსოფლიო გახდა ევროპის მოახლე, ევროპის ექსპანსია და მის მიერ მსოფლიოს უმეტესი ნაწილის დამორჩილება იწოდება იმპერიალიზმად. თანამედროვე მსოფლიო პოლიტიკის ბევრი კონფლიქტი და დაძაბულობა თავის საწყის პოულობს დასავლეთის მიერ დაარსებულ იმპერიალისტურ სისტემაში“[34], — წერენ ამერიკელი მეცნიერები.

---

[34] T. Walter Wallbank, Alastair M. Taylor, Nels M. Bail Key, Western Civilization: People and Progress, USA, copyright, 1976, pp. 259—260.

ამ საკითხთან დაკავშირებით საინტერესოა ტოინბის შეხედულება. მისი აზრით, დასავლეთმა, მართალია, შთანთქა ეკონომიკურად და პოლიტიკურად სხვა საზოგადოებები, მაგრამ არ მოხერხდა მათი კულტურის წაშლა. დასავლეთი არასოდეს არ გახდება მსოფლიოს თანატოლი სოციალური ცხოვრების ყველა პლანში და ვერ შთანთქავს მის გვერდით მყოფ სხვა ცივილიზაციებს. არ შეიძლება ცივილიზაციათა გაერთიანება იმის გამო, რომ დასავლეთის ბაზაზე მოხდა მსოფლიოს ეკონომიკური და პოლიტიკური უნიფიკაცია. ტოინბი უარყოფს „უნიფიკაციისა" და „ერთიანობის" ცნებების გატოლების შესაძლებლობას, იგი თვლის, რომ არ შეიძლება კულტურული პლანის იგნორირება. მიუხედავად იმისა, რომ მსოფლიომ განიცადა ვესტერნიზაცია, მისი კულტურული რუკა დარჩა იგივე, რაც იყო ამ პროცესის დაწყებამდე. ცივილიზაციათა ერთიანობის მცდარ კონცეფციას იგი ხსნის 3 მიზეზით: 1. ეგოცენტრისტული ილუზია, 2. ლოზუნგი — უცვლელი აღმოსავლეთი და 3. მცდარი შეხედულება განვითარებაზე როგორც სწორხაზოვან მოძრაობაზე.

ეგოცენტრისტული ილუზია ყოველთვის და ყველგან თან სდევს ადამიანის აზროვნებას. ლოზუნგი უცვლელი აღმოსავლეთი გულისხმობს მუსულმანურ, ინდუსთა და შორეული აღმოსავლეთის ცივილიზაციების ერთობლიობას. ამ უკანასკნელს ეპითეტურად უწოდებენ „ორიენტალურს", რაც იმის მაჩვენებელია, რომ იგი ოპოზიციაშია „ვესტერნთან" (მისგან განსხვავდება). სინამდვილეში კი მუსულმანურ ცივილიზაციას უფრო ნაკლები საერთო აქვს ინდუსთა და შორეული აღმოსავლეთის საზოგადოებებთან, ვიდრე დასავლეთთან, რაც შეეხება ინდუსთა და შორეული აღმოსავლეთის ცივილიზაციებს, მათ შორის განსხვავება უფრო დიდია, ვიდრე მათსა და დასავლეთის ცივილიზაციას შორის. ა. ტოინბი „აღმოსავლური-დასავლური" ლოზუნგის წარმოშობას ხსნის შემდეგი ორი მიზეზით: დასავლეთის საზოგადოება ძირითადად პოლიტიკურ პლანს ეყრდნობა და პოლიტიკითაა დაინტერესებული და, რომ ეს უკანასკნელი ისტორიაში მეტწილად სტატიკურადაა წარმოდგენილი[35].

არა გვაქვს არც ინტელექტუალური და არც მორალური უფლება იმისა, რომ რაიმე უპირატესობა მივანიჭოთ რომელიმე ცივილიზაციას. ისე როგორც არ შეგვიძლია ადამიანთა ჯგუფში გამოვყოთ რომელიმე ადამიანი და სხვებთან ურთიერთობაში მას მივანიჭოთ

---

[35] იხ. A. Toynbee, A Study of History, v. I, p. 164.

ყოველმხრივი უპირატესობა. ჩვენ ამის განხორციელება შეგვიძლია იმ შემთხვევაში, თუ შეფასების კრიტერიუმად ავიღებთ ადამიანის არა საერთო პოტენციას, არამედ მის რომელიმე მხარეს, რომელიც უფრო მეტადაა ერთ ადამიანში, ვიდრე მეორეში. მაგრამ ეს პოტენცია თავისი კომპონენტებით სხვადასხვა ხარისხითაა მოცემული ყველა ადამიანში. თუ მხედველობაში არ მივიღებთ ამა თუ იმ პათოლოგიას, ის, რაც მოცემულია ერთ ადამიანში, მოცემულია ყველაში, ერთი განსხვავებით, რომ პოტენციის ესა თუ ის კომპონენტი ერთ ადამიანში მეტადაა განვითარებული და გამოვლენილი, მეორეში კი ნაკლებად, რაც განპირობებულია ძირითადად ობიექტური მიზეზებით. იგივე შეიძლება ითქვას ამა თუ იმ ცივილიზაციის უპირატესობაზე.

მსოფლიო ეს არის ერთი, მთლიანი, დიდი ერთეული. მისი მთლიანობა, სისტემურობა — რეალობას წარმოადგენს. აქედან გამომდინარე არ შეიძლება ზოგადსაკაცობრიო მნიშვნელობის მქონე მოვლენა, რომელსაც ადგილი ჰქონდა სივრცისა და დროის გარკვეულ მონაკვეთში, იმავე წერტილში მოისპოს. იგი გავრცელდება და გახდება მთელი მსოფლიოს მონაპოვარი.

როდესაც ვსაუბრობთ ცივილიზაციათა სრულყოფასა და არასრულყოფაზე, არ უნდა დავივიწყოთ ყოველი ცივილიზაციის როლი ზოგადსაკაცობრიო პროცესის განვითარებაში და, რომ ამა თუ იმ ცივილიზაციის ეს მეტნაკლები ავტორიტეტულობა შეფარდებითია, რამდენადაც იგი განისაზღვრება დროში.

რამდენადაც პარადოქსულად უნდა მოგვეჩვენოს, თვით დასავლეთის მეცნიერთა მსჯელობიდან ვასკვნით, რომ დაპირისპირება — აღმოსავლეთი versus[36], დასავლეთი — პირობითია.

დასავლეთის ბურჟუაზიულ იდეოლოგიაში მყარადაა დამკვიდრებული აზრი, რომ ცივილიზაციის ნაკადი მუდმივად ვრცელდებოდა დასავლეთიდან აღმოსავლეთისაკენ და არა პირუკუ. მაგალითად, ედ. ტანენბაუმის ზემოთ ხსენებულ წიგნში ვკითხულობთ: „1870 წლისათვის ევროპამ სახე იცვალა... მოდერნიზაციამ გავრცელება იწყო დასავლეთიდან აღმოსავლეთისაკენ“[37].

გასაკვირი არაფერია ამ მტკიცებაში, ვინაიდან ცალკეულ კულტურულ ელემენტთა ურთიერთგავლენა და ურთიერთშეღწევა-

---

[36] „წინააღმდეგ“.

[37] Ed. Tannenbaum, op. cit., p. 451.

დობა ყოველთვის წარმოადგენდა და წარმოადგენს ბუნებრივ ისტორიულ პროცესს.

ინგლისელი ანთროპოლოგის ვ. პერის აზრით, „მსოფლიო მასშტაბის ცივილიზაცია" ეს არის ევროპის ცივილიზაციის შედეგი, რომელიც მსოფლიო განვითარების პროცესში ფუნქციონირებს როგორც მამოძრავებელი ძალა. „ნებისმიერი ქვეყნის ცივილიზაცია, — წერს იგი, — ეს არის მსოფლიო მასშტაბის მქონე ცივილიზაციის ნაირსახეობა... ის ნათელი ფაქტი, რომ მსოფლიოს უმეტეს ნაწილში, როგორც წესი, ვხვდებით კულტურის დეგრადაციას და არა პროგრესს, სულ უფრო მეტად გვარწმუნებს იმ ფაქტში, რომ ცივილიზაცია წარმოიშვა ერთ ადგილას"[38].

ო. შპენგლერი ახდენს სრულყოფილი და არასრულყოფილი ცივილიზაციების მკვეთრ გამიჯვნას. მას მიაჩნია, რომ ისეთი ინსტიტუტების წარმოშობამ, როგორებიცაა თანასწორობა, დემოკრატია და ა. შ., დააჩქარა დასავლეთის ცივილიზაციის დეკადანსის პროცესი; რომ თეთრი და ფერადი რასების აღრევა იწვევს დასავლეთის ცივილიზაციის ლპობას; რომ ამ უკანასკნელმა თავისი „კეთილდღეობის" გავრცელებით დაკარგა თავისი სიძლიერის საიდუმლოება.

ცივილიზაციების გენეზისის შესწავლა ევროპოცენტრისტული პოზიციებიდან ითვალისწინებს ევროპის ცივილიზაციის ბაზაზე ასიმილაციის გზით სხვა ცივილიზაციების გენეზისს. ამასთანავე მხედველობაში არ მიიღება მთელი რიგი ფაქტორები. ჯერ ერთი, არ არის აუცილებელი, რომ ტექნიკის, სოციალური ინსტიტუტების და იდეების მსგავსება ასიმილაციის შედეგი იყოს. ინფორმაციის სხვადასხვა არხი ერთნაირი სიჩქარით და ერთნაირი წარმატებით არ მოქმედებდა მსოფლიოს სხვადასხვა რეგიონებში. ამასთანავე კარგადაა ცნობილი, რომ ასიმილაცია დიფუზიის შედეგია, ეს უკანასკნელი კი ორმხრივი პროცესია. მეორე, ყოველი დიფუზიის შედეგი არ შეიძლება ჩაითვალოს ცივილიზაციის კომპონენტად. არ შეიძლება ასიმილაციას ასეთი გადამწყვეტი როლი მივანიჭოთ, მით უმეტეს, რომ ხშირად იგი შემთხვევითი ხასიათისაა.

ცივილიზაციის გენეზისის პროცესში ასიმილაციის როლის გადაჭარბებით შეფასებას ვხვდებით სხვა ავტორებთანაც, მაგალითად, ედ. ტანენბაუმთან. ახდენს რა ცივილიზაციების პოლარიზაციას — ერთი მხრივ, ანტიკური, მეორე მხრივ, ევროპული — იგი ავითარებს

---

[38] W. J. Perry, The Growth of Civilization, Harmondsworth. Middlesex England, 1973, p. 143.

აზრს, რომ შუა საუკუნეების ცივილიზაციათაგან ევროპის ცივილიზაცია ერთადერთია, რომელმაც გაუძლო ისტორიას, რისი განხორციელებაც მან მოახერხა ისეთი თვისების წყალობით, როგორიცაა ასიმილაცია. გამოიჩინა რა დიდი მიდრეკილება ამ უკანასკნელისადმი, ევროპის ცივილიზაციამ შთანთქა ყველა მოწინავე ხალხების კულტურული მიღწევები. ამასთანავე ევროპის ცივილიზაციის ტრანსფორმაცია შუასაუკუნეობრივი ფორმებიდან თანამედროვე ფორმებზე ხორციელდებოდა ნელ-ნელა — ორი საუკუნის განმავლობაში.

ასიმილაციის გარდა ევროპის ცივილიზაციის ფორმირებაში უმნიშვნელოვანეს ფაქტორად ედ. ტანენბაუმი მიიჩნევს გეოგრაფიულ და ეკონომიკურ ექსპანსიას.

იმავე აზრს ვხვდებით სხვა ავტორებთანაც: „1450—1750 წლებში ევროპის გეოგრაფიული, პოლიტიკური და კომერციული ექსპანსია იმდენად დიდი იყო, რომ მან შეცვალა კაცობრიობის არსებობის ძირითადი სტრუქტურა. აქედან იწყება თანამედროვე პერიოდი. მომდევნო სამი საუკუნის განმავლობაში დასავლეთი ევროპის ცივილიზაცია — სტიმულირებული ახალი და დინამიკური ძალებით — გაბატონდა მსოფლიო კულტურაზე"[39].

„არა მარტო ევროპას, — წერს ედ. ტანენბაუმი — არამედ სხვა ადრეულ ცივილიზაციებსაც ჰქონდათ კულტურული და რელიგიური აღორძინების ეტაპები, ქმნიდნენ რთულ და მძლავრ პოლიტიკურ ინსტიტუტებს, ხელს უწყობდნენ დიპლომატიისა და ომების ხელოვნების განვითარებას, მაგრამ საბოლოო ჯამში განიცდიდნენ დეზინტეგრაციას და ინგრეოდნენ, ან კი ხდებოდნენ ბარბაროსთა მსხვერპლნი. დასაშვები იყო, რომ თანამედროვე ეპოქის ადრეულ ეტაპზე ევროპის ცივილიზაციას ფეხი წასხლტომოდა ახალ ნიადაგზე და ძირს დანარცხებულიყო, ისე როგორც სხვა ცივილიზაციები, თავად რომ არ დაემსხვრია თავისი გეოგრაფიული და ეკონომიკური ბორკილები"[40].

ამგვარად, ედ. ტანენბაუმის თეორიის მიხედვით, ცივილიზაციის განვითარება, მისი სიცოცხლისუნარიანობა დამოკიდებულია შესაძლებლობებზე, თუ რამდენად მოახერხებს იგი სხვა კულტურულ კერათა მიღწევების შთანთქმას და გეოგრაფიული და ეკონომიკური ექსპანსის განხორციელებას. ედ. ტანენბაუმისათვის საწარმოო ძალ-

---

[39] T. Walter Wallbank, Alastair M. Taylor, Nels M. Bailkey, op. cit., p. 272.

[40] Ed. Tannenbaum, op. cit., p. 315.

·თა განვითარება და მასთან დაკავშირებული წარმოებითი ურთიერთობანი არ ასრულებენ გადამწყვეტ როლს კაცობრიობის პროგრესში. ედ. ტანენბაუმი, რა თქმა უნდა, არ აღიარებს არც საზოგადოებრივ-ეკონომიკური ფორმაციების არსებობას და არც მათ კანონზომიერ მონაცვლეობას.

ცივილიზაციის განვითარების პროცესის შესწავლაში გვეხმარება და მეთოდოლოგიურ საფუძველს გვაძლევს დიალექტიკური მატერიალიზმი. ცივილიზაციის ევოლუცია — ეს არის ურთიერთდაკავშირებული, ურთიერთგანპირობებული პროცესი. ყოველი ცალკეული ეთნოკულტურის განვითარება ხორციელდება მსოფლიო-ისტორიულ პროცესთან მიმართებით საზოგადოებრივი პროგრესის კანონების საფუძველზე. ცივილიზაციათა ეს ურთიერთდამოკიდებულება და ურთიერთგანპირობებულობა განსაკუთრებით იგრძნობა თანამედროვე სამყაროში, სადაც არსებობს ინფორმაციის გაცვლა-გამოცვლის რთული მაქანიზმი, რაც ერთ-ერთი პირობაა საზოგადოების განვითარებისა. ერთი საზოგადოების მიღწევები ხელშისაწვდომი ხდება სხვა საზოგადოებებისათვის, ეს კი ხელს უწყობს საზოგადოების გლობალურ პროგრესს.

„მთელი ჩვენთვის მისაწვდომი ბუნება ერთგვარ სისტემას. სხეულთა ერთგვარ ერთობლივ კავშირს შეადგენს, ამასთან სხეულად ჩვენ აქ გვესმის ყველა მატერიალური არსებობანი, ვარსკვლავით დაწყებული ატომამდე, თვით ეთერის ნაწილაკამდეც კი, რამდენადაც ამ უკანასკნელის არსებობას აღიარებენ. ის გარემოება, რომ ეს სხეულები ურთიერთკავშირში იმყოფებიან, იმასაც ნიშნავს, რომ ისინი ერთმანეთზე მოქმედებენ, და ეს მათი ურთიერთზემოქმედება არის სწორედ მოძრაობა“[41], — წერდა ფ. ენგელსი.

გასულ საუკუნეებში დასავლეთის ისტორიული მეცნიერება მიიჩნევდა, რომ ისტორიას დასაბამი მისცეს ბერძნებმა, მაგრამ უკანასკნელ წლებში იზრდება რა ჩვენი ცოდნა ანტიკური ხანის ახლო აღმოსავლეთზე, იცვლება ჩვენი შეხედულება ამ რეგიონის ცივილიზაციებზეც. თუ გავითვალისწინებთ წარსულს—ფარაონთა გამარჯვებებს, რომლებიც ეგვიპტელებმა ქვაზე აღბეჭდეს, ებრაელთა დამწერლობას, ბაბილონელთა რთულ მათემატიკურ სისტემას და მათ წვლილს ასტრონომიის განვითარების საქმეში — მაშინ მივალთ იმ დასკვნამდე, რომ მტკიცება ბერძენთა უპირატესობის შესახებ გა-

---

[41] ფ. ენგელსი. ბუნების დიალექტიკა, თბ., 1954, გვ. 61.

ზვიადებულია. რომ მესოპოტამიასა და ეგვიპტეში მიღწეულ იქნა ცივილიზაციის მაღალი დონე. ყოველივე ზევით აღნიშნულის მიუხედავად, ანტიკური ხანის ახლო აღმოსავლეთის ცივილიზაციებს არ შეუმუშავებიათ ფილოსოფიური აზროვნება. ამ ხაზით წარმატებას მიაღწიეს ბერძნებმა, რის გამოც მიიჩნევენ, რომ ბერძნებმა მისცეს ისტორიას დასაბამი. თუმცა უნდა აღინიშნოს, რომ ცივილიზაციები, რომლებიც ძირითადად ეფუძნებოდნენ მითს, ხშირად აღწევდნენ აზროვნების მაღალ დონეს.

საზოგადოებრივი ორგანიზაციის ყველა ფორმას, ვუწოდებთ მას მაღალგანვითარებულ ცივილიზაციას თუ პრიმიტიულს, აქვს ერთი საერთო საფუძველი და რამდენადაც განსხვავებული არ უნდა იყოს ეს ფორმები ურთიერთისაგან (დროში თუ სივრცეში), მათ აერთიანებთ ამ ორგანიზაციათა მთავარი არსი — ადამიანი და მისი ზრუნვა — დაიმორჩილოს და მისდა საკეთილდღეოდ გამოიყენოს ბუნება.

თუ დროს განვიხილავთ როგორც კონტინუუმს, მაშინ აღმოჩნდება, რომ წარსული წარმოადგენს დღევანდელი დღის პროლოგს, ხოლო დღევანდელი დღე — ხვალინდელი დღის პროლოგს. როგორც არ შეიძლება გაითიშოს დღევანდელი დღე გუშინდელისაგან, ასევე არ შეიძლება ხვალინდელი დღე არ დავაკავშიროთ დღევანდელთან.

ცივილიზაციები, მართლაც, იბადებოდნენ და კვდებოდნენ. მეცნიერები მიიჩნევენ, რომ ზოგიერთი მათგანი ტოვებდა თავისი არსებობის გარკვეულ კვალს, ზოგიერთი — უკვალოდ წაიშალა ისტორიიდან. ეს უკანასკნელი აზრი გაზვიადებულად შეგვიძლია მივიჩნიოთ, ვინაიდან ის, რაც არსებობდა, შეუძლებელია უკვალოდ წაშლილიყო, სიცოცხლე უწყვეტი პროცესია და ყოველი ახალი თაობა ცხოვრებას იწყებს არა თავიდან, არამედ აგრძელებს წარსულს.

თუ ჩვენ განვიხილავთ დასავლეთის ცივილიზაციას დიაქრონულ პლანში, დავადგენთ, რომ დასავლეთის ცივილიზაცია ჩაისახა მესოპოტამიასა და ეგვიპტეში, ტერიტორიაზე, რომელიც მიეკუთვნება აზიასა და აფრიკას. შესაბამისად, უზუსტობა იქნებოდა გვემსჯელა დასავლეთის ცივილიზაციის წმინდა ევროპულ წარმოშობაზე.

გენეზისის მიხედვით, ა. ტოინბი ცივილიზაციებს ყოფს სამ ძირითად ჯგუფად — იმისდა მიხედვით, თუ რომელ ცივილიზაციაში ჩაისახა იგი. დასავლეთის ცივილიზაცია, მაგალითად, მიაკუთვნა მე-

სამე ჯგუფს, ვინაიდან იგი წარმოიშვა ელინისტური ცივილიზაციიდან, ეს უკანასკნელი კი კრეტის ცივილიზაციიდან.

რამდენადაც ცნობილია, ბუნებისა და საზოგადოების არც ერთი მოვლენა არ შეიძლება ერთდროულად არსებობდეს და ფუნქციონირებდეს სამ სხვადასხვა ქრონოლოგიურ პლანში — წარსულში, აწმყოსა და მომავალში. ამასთანავე, ერთი პლანის, მაგალითად, წარსულის მოვლენები სახეზეა აწმყოში, შეცვლილი ან გამეორებული სახით. სხვადასხვა ქრონოლოგიური შრეების სიახლოვე შესაძლებელს ხდის სოციალური მოვლენების შესწავლისას გამოყენებულ იქნეს შედარებითი ისტორიული მეთოდი.

ცივილიზაციების შესწავლისას სხვადასხვა ქრონოლოგიური სივრცეების უწყვეტობას, მათ კავშირს, უწოდებენ მემკვიდრეობითობას. სწორედ ცივილიზაციების ეს მემკვიდრეობითობა საშუალებას აძლევს მეცნიერებს შეისწავლონ ცივილიზაციები შედარებითი მეთოდის გამოყენებით. ასეთ მაგალითს ვხვდებით ა. ტოინბის მრავალტომიან ნაშრომში „ისტორიის შესწავლა". ცდილობს რა გაერკვეს დასავლეთის ცივილიზაციის დღევანდელ დღეში, იგი მიმართავს ისტორიულ რეტროსპექციას. განიხილავს ანტიკურ ცივილიზაციებს და დასავლეთის ცივილიზაციის სტატუსს უტოლებს უნივერსალურ იმპერიებს.

თუ რამდენად მოახერხა ა. ტოინბიმ დასავლეთის ცივილიზაციის შესწავლა შედარებითი ისტორიული მეთოდის გამოყენებით, ამას მოწმობს თავად ბურჟუაზიული სკოლის სხვა წარმომადგენელთა კომენტარები: „ა. ტოინბის შედევრი, რომელიც დასტირის დასავლეთის ცივილიზაციის ავადმყოფობას, უფრო პროზაული პოემაა, ვიდრე მეცნიერული ანალიზი, — წერს რ. სტრომბერგი. — ეს იმას არ ნიშნავს, რომ ნაშრომმა სარგებლობა არ მოუტანა მკითხველს; პირიქით, მისმა რიტორიკულმა ხასიათმა გავლენა იქონია მილიონობით მკითხველზე. ჩვენ დროში ასეთი მოცულობის არცერთი ნაწარმოები არ წაკითხულა ასე ფართოდ. ისტორიას შეუძლია არა მარტო გვანუგეშოს, არამედ აღგვაფრთოვანოს კიდეც"[42].

ატლანტიკის ზონის ტოინბისეულ გაერთიანებას „დასავლეთის ცივილიზაციის" სისტემაში და ამ უკანასკნელის გატოლებას უნივერსალურ იმპერიებთან რ. არონი ასე ახასიათებს: „ეს გაერთიანება ერთი „ცივილიზაციის" სისტემაში ახასიათებს, ე. წ. მეორე

---

[42] R. Stromberg, op. cit., p. 307.
[43] R. Aron, op. cit., pp. 368—369.

მსოფლიო ომის დასაწყისის პერიოდს. მაგრამ ჩვენი დრო უნდა მოეთავსოთ არა „ნაციონალურ“ პერსპექტივაში ან „ცივილიზაციის“ პერსპექტივაში, არამედ „კაცობრიობის“ პერსპექტივაში“[43].

ისტორიულ-შედარებითი მეთოდის გამოყენებისას მემკვიდრეობითობა, რომელსაც ეყრდნობიან დასავლეთის მეცნიერები (შპენგლერი, ტოინბი და სხვ.), იმაში გამოიხატება, რომ ანტიკური სამყაროს გაანალიზების შედეგად მიღებული დასკვნები მათ მექანიკურად გადმოაქვთ თანამედროვეობაზე, რაც იძლევა ამ უკანასკნელის დამახინჯებულ სურათს.

დასავლეთის მეცნიერთა შორის გავრცელებულია აზრი, რომ ევროპის ფორმირება და მისი ერთიანი განვითარება დაიწყო ეროვნული სახელმწიფოების ჩამოყალიბების შედეგად. ეროვნული სახელმწიფოების წარმოშობას — ამ თავისთავად დიდ პოლიტიკურ აქტს — თან ახლდა ღრმა სოციალური და ეკონომიკური ცვლილებები. ამ პერიოდიდან მოყოლებული ევროპის ეკონომიკას ეწოდება „ევროპის მსოფლიო ეკონომიკა“. ასეთ მაგალითს ვხვდებით ცნობილი ამერიკელი მეცნიერის ჩარლზ ტილის წიგნში „ეროვნული სახელმწიფოების ჩამოყალიბება დასავლეთ ევროპაში“. ავტორი დიდ ყურადღებას უთმობს აღნიშნულ საკითხზე ი. ვალერშტეინის შეხედულების განხილვას. ამ უკანასკნელს მიაჩნია, რომ შრომის ფართო დანაწილება თავდაპირველად განხორციელდა ევროპაში, ხოლო შემდგომ გავრცელდა მის ფარგლებს გარეთ ამერიკასა და მსოფლიოს სხვა რეგიონებში. ეკონომიკურ პროცესში ევროპამ დაიკავა წამყვანი მდგომარეობა. „... ევროპის მსოფლიო ეკონომიკის შექმნა იშვიათი მოვლენა იყო, — წერს ი. ვალერშტეინი — ალბათ უნიკალური, რამდენადაც მას არ მოჰყოლია ერთიანი იმპერიის შექმნა, იმ ტიპის იმპერიისა, რომელიც ბატონობდა რომის, ბიზანტიისა და ჩინეთის ვრცელ ტერიტორიებზე. მის ნაცვლად წარმოიშვა ერთმანეთისაგან ნაწილობრივ დამოუკიდებელი სახელმწიფოები“[44].

ამგვარად თუკი ადრეული ცივილიზაციები იქმნებოდა პოლიტიკური ერთიანობის საფუძველზე და ექვემდებარებოდა ცენტრალიზებულ მმართველობას, ახლა საქმე გვაქვს ევროპის ცივილიზაციასთან, რომელიც შედგება ცალკეული პოლიტიკური ერთეულებისაგან და აქვს ერთიანი ეკონომიკური სტრუქტურა.

ისმება კითხვა — რატომ შეიქმნა ხელსაყრელი პირობები

---

[44] იხ. Ch. Tilly, op. cit. p. 45.

ეროვნული სახელმწიფოების ჩამოსაყალიბებლად სწორედ ევროპის ნიადაგზე?

ჩ. ტილი გვთავაზობს რამდენიმე ზოგად პირობას, რამაც უზრუნველყო ევროპის გადარჩენა და მისი შემდგომი განვითარება — ეროვნული სახელმწიფოების წარმოშობა: 1. წიაღისეული სიმდიდრის არსებობა; 2. შედარებით დაცული პოზიცია დროსა და სივრცეში; 3. პოლიტიკურ მოღვაწეთა უწყვეტი ნაკადი; 4. წარმატება ომში; 5. ადგილობრივი მოსახლეობის ეთნიკური ჰომოგენურობა (და ჰომოგენიზაცია); 6. მძლავრი კოალიციები, რომლებიც იქმნებოდნენ ცენტრალური ხელისუფლების მიერ მემამულეთა ელიტასთან კავშირში[45].

ეროვნული სახელმწიფოების წარმოშობისა და განვითარების ფონზე ევროპა განიხილება როგორც დამოუკიდებელი ერთეული, როგორც ერთი მთელი. ამ ერთობლიობის ზოგად საფუძველს ქმნის დაახლოებით ერთგვაროვანი ცხოვრების დონე. ჩ. ტილი ამ ზოგად საფუძველში გამოყოფს შემდგომ კომპონენტებს: 1. კულტურის ჰომოგენურობა; 2. გლეხური საფუძველი; 3. დეცენტრალიზებული პოლიტიკური სტრუქტურა. განვიხილოთ თითოეული მათგანი ცალ-ცალკე.

ძველ სამყაროში კულტურის ჰომოგენურობას ხელი შეუწყო იმპერატორ ავგუსტუსის პოლიტიკამ, რამაც განაპირობა კოსმოპოლიტური სამყაროს შექმნა, სადაც მოხდა სხვადასხვა ეროვნებათა და კულტურათა აღრევა. ჩვ. წ. I საუკუნეში რომის იმპერია მოიცავდა ფართო ტერიტორიას ბრიტანეთის კუნძულებიდან ევფრატამდე და ჩრ. ზღვიდან საჰარამდე, დაახლოებით 100 მლნ. მოსახლეობით. იმპერიის სათავეში მდგომი იმპერატორი წარმოადგენდა ამ კოსმოპოლიტური იმპერიის ერთობის სიმბოლოს. სწორედ ეს ერთგვაროვნება, რომელიც შენარჩუნებულ იქნა საუკუნეების მანძილზე, მემკვიდრეობით მიიღო ევროპამ.

„რომის იმპერიის ადრეულმა უნიფიკაციამ — წერს ჩ. ტილი — გამოიწვია ენის, კანონების, რელიგიის, ადმინისტრაციული პრაქტიკის, სოფლის მეურნეობის, მიწათმფლობელობის და, ალბათ, ნათესაურ ურთიერთობათა დაახლოება. 1500 წელს კელტები და ბასკები ცხოვრობდნენ ჩრდილოეთით და დასავლეთით, მადიარები და მონგოლები — აღმოსავლეთით, თურქები და სხვ. მუსულმანე-

[45] Ibid., p. 40.

ბი — სამხრეთით; მაგრამ იმ ხალხებს, რომლებიც ცხოვრობდნენ მათ შუა, ჰქონდათ საერთო კულტურა და ფართო კონტაქტები, რომელიც მყარდებოდა აქტიური ვაჭრობით, ხალხთა მუდმივი გადაადგილებით და გაბატონებულთა ოჯახების მჭიდრო კავშირით. ერთადერთი, შედარებით ცენტრალიზებული ეკლესია წარმართავდა კონტინენტის რელიგიურ ცხოვრებას, დასუსტებული იმპერია გადაჭიმული იყო კონტინენტის ცენტრალურ რაიონებში და ცდილობდა გაეხანგრძლივებინა ტრადიციული პოლიტიკური ნაშთების სიცოცხლისუნარიანობა"[46].

ყოველივე ზემოთ აღნიშნულიდან მივდივართ იმ დასკვნამდე, რომ დასავლეთი რომის იმპერიამ, რომელიც დაიშალა V საუკუნეში, დატოვა მონოლითური კულტურის მყარი ნიადაგი. შუა საუკუნეების დასასრულიდან ამ ნიადაგზე ევროპაში აღმოცენება დაიწყო ეროვნულმა სახელმწიფოებმა.

მეორე პირობა, რამაც ხელი შეუწყო ეროვნულ სახელმწიფოთა წარმოშობას — ესაა ურბანიზაციის პროცესი. 1500 წელს ევროპის მოსახლეობის ძირითადი მასა იყო გლეხობა. ამ გლეხურ საფუძველზე სწრაფად მიმდინარეობდა ურბანიზაცია. როგორც უკვე აღვნიშნეთ, ქალაქური ცხოვრების განვითარებას თავიდანვე უტოლებდნენ ცივილიზაციის წარმოშობასა და განვითარებას. ცივილიზაციის ძირითად ნიშნად მიიჩნევდნენ ქალაქს, როგორც ანტიკურ სამყაროში — მესოპოტამიაში, ეგვიპტეში, ინდოეთში. საბერძნეთში, რომში, ბიზანტიაში, ასევე შუა საუკუნეების ევროპაში. სწორედ ქალაქებში ინერგებოდა მიღწევები ცხოვრების ყველა სფეროში — კულტურაში, პოლიტიკასა და ეკონომიკაში. ურბანიზაციამ ხელი შეუწყო ქალაქებს შორის ახალი იდეებისა და მიღწევების გავრცელებასა და გაცვლა-გამოცვლას. ქალაქური ცხოვრების განვითარებას მოჰყვა ცხოვრების უფრო მაღალი საფეხური. ამასთანავე ქალაქური ცხოვრების ახალმა ერამ გააფართოვა საზოგადოების ჩარჩოები — უკანა პლანზე გადავიდა იზოლაციონიზმი, ერთგვაროვნება.

ამერიკელი მეცნიერის ედ. ბარელის აზრით, ქალაქი არა მარტო ცივილიზაციის სათავეა, არამედ საშუალებაც, რომლითაც ცივილიზაცია ვრცელდება მთელ მსოფლიოში.

მესამე ფაქტორი, რომელმაც ხელი შეუწყო ეროვნულ სახელ-

---

[46] Ibid., p. 18.

შწიფოთა წარმოშობას, ესაა დეცენტრალიზებული პოლიტიკური სტრუქტურა. როგორც ცნობილია, VI საუკუნეში რომის იმპერიის ძველ ადგილსამყოფელზე წარმოიშვა ვესტგოთური ესპანეთი, ანგლოსაქსური ინგლისი, ფრანკული გალია და დანაწევრებული იტალია, რომელსაც განაგებდნენ: ლომბარდიის ჰერცოგები, დასავლეთის იმპერატორი და პაპი.

დამუშავებული მიწების ფართო მასივები მიტოვებულ იქნა, დაქვეითდა კომუნიკაციები. სამუშაო ძალა ქალაქიდან სოფლისაკენ მიედინებოდა, რამაც გამოიწვია ეკონომიკის ნგრევა და დეცენტრალიზაცია. რომის იმპერია ძირითადად ქალაქური იყო, ხოლო შუა საუკუნეებისა — სოფლური. რამდენადაც ურბანიზაცია ხელს უწყობდა ცივილიზაციის განვითარებას, მისმა დაქვეითებამ განაპირობა ცივილიზაციის დონის დაცემა.

VI საუკუნეში ნათლად გამოიკვეთა სამი კომპონენტი, რამაც მოგვიანებით ხელი შეუწყო დასავლეთის ცივილიზაციის ჩამოყალიბებას, ესენია: ბერძნულ-რომაული კულტურა, ქრისტიანული ეკლესია და გერმანელები თავიანთი ინსტიტუტებით.

ათასწლიან ინტერვალს რომის იმპერიის დაცემასა და რენესანსის ეპოქას შორის ეწოდება „შუა საუკუნეები". რენესანსის ეპოქის ჰუმანისტები თავიანთ „თანამედროვე" სამყაროს უკავშირებენ ანტიკური რომისა და საბერძნეთის სამყაროს, ხოლო შუა საუკუნეებს განიხილავდნენ როგორც რეგრესის, დაცემის პერიოდს. თუმცა თანამედროვე მეცნიერები, რომელთაც შეინარჩუნეს ტერმინი „შუა საუკუნეები", ამ უკანასკნელის არსს განიხილავენ სრულიად განსხვავებულად. მათი აზრით, შუა საუკუნეებში ცივილიზაციის განვითარების პროცესი კი არ შენელდა, არამედ პირიქით — სწორედ ამ პერიოდში მისმა დინამიკურმა განვითარებამ საფუძველი ჩაუყარა ახალ, ევროპულ ცივილიზაციას. შუა საუკუნეებში — 10 საუკუნის განმავლობაში ხდებოდა ადამიანის და მისი მსოფლმხედველობის მეტამორფოზა.

საფრანგეთის რევოლუციის დასაწყისისათვის ევროპის დიდ ნაწილში ეროვნულ სახელმწიფოთა ჩამოყალიბების პროცესი დასრულდა. ეს იყო უდიდესი პოლიტიკური მოვლენა, რომელიც შეიცავდა როგორც პროგრესის, ასევე რეგრესის ელემენტებს. ერთი მხრივ, დასავლეთის ცივილიზაცია გახდა უფრო მრავალფეროვანი, პლურალისტური და თითქოს დაკარგა თავისი მთლიანობა — მოხდა ევროპის მოსახლეობის ატომიზაცია, მაგრამ, მეორე მხრივ, ეროვნულ საფუძველზე აგებულმა სახელმწიფოებმა განვლეს ევოლუ-

ციის სწრაფი გზა და თითოეულმა მათგანმა თავისი წელილი შეიტანა დასავლეთის ცივილიზაციის ფორმირებაში, რომელსაც ერთიანი კულტურულ-ისტორიული და სოციალურ-პოლიტიკური საფუძვლები ჰქონდა.

მსხვილ ეროვნულ სახელმწიფოთა წარმოშობის შესახებ ფ. ენგელსი აღნიშნავდა, რომ შუა საუკუნეების დასასრულიდან ევროპაში იწყება მსხვილი ეროვნული სახელმწიფოების ჩამოყალიბება. „გაბატონებული ევროპული ბურჟუაზიისათვის მხოლოდ ასეთი სახელმწიფოები წარმოადგენენ ნორმალურ პოლიტიკურ ორგანიზაციას და ამასთანავე ქმნიან აუცილებელ პირობას ხალხთა შორის ჰარმონიული, ინტერნაციონალური თანამშრომლობის დასამყარებლად, ურომლისოდაც წარმოუდგენელია პროლეტარიატის ბატონობა. საერთაშორისო მშვიდობის უზრუნველსაყოფად უპირველესად საჭიროა ავიცილოთ ყოველგვარი შესაძლო ეროვნული უკმაყოფილება, ყველა ხალხს უნდა ჰქონდეს დამოუკიდებლობა და უფლება ბატონ-პატრონი იყოს თავისი საკუთარი მიწა-წყლისა. და, მართლაც, ვაჭრობის, მიწათმოქმედების, მრეწველობის და ამასთანავე ბურჟუაზიის სოციალური ძლიერების ზრდასთან ერთად იზრდებოდა ჩაგრული ერების მოთხოვნა გაერთიანებისა და დამოუკიდებლობისაკენ.[47].

როგორც ვხედავთ, ეროვნული სახელმწიფოების წარმოშობა და ეროვნული გრძნობის გაღვივება პროგრესულ მოვლენად არის მიჩნეული ისტორიაში.

1914 წელს გერმანელმა ისტორიკოსმა ფრიდრიხ მეინეკემ სახელმწიფო თავისი სიძლიერით შეადარა ცივილიზაციას: „სახელმწიფო უფრო ძლიერია, ვიდრე ცივილიზაცია“[48]. — წერდა იგი.

სახელმწიფოს სიძლიერეს რ. არონი ადასტურებს იმით, რომ როგორც კი წარმოიშვა სახელმწიფო, მას გაუჩნდა თავისი მოსახლეობა პატრიოტული გრძნობით, რისი თქმაც არ შეიძლება დასავლეთის ცივილიზაციის შესახებ. ევროპელთა გულში ატლანტიკური კავშირის მიმართ არავითარი პატრიოტიზმი არ არსებობს[49].

ეროვნული სახელმწიფოების წარმოშობამ გამოიწვია ნაციონალიზმის აღმავლობა და „ხალხთა შორის შუღლის აღმოცენება“. ამ იდეას ვხვდებით, მაგალითად, ა. ტოინბისთან.

---

[47] იხ. К. Маркс и Ф. Энгельс. Соч., т. 21, с. 421—422

[48] იხ. Historians at Work, N. Y., copyright 1972, v. IV, p. 36.

[49] იხ. R. Aron, op. cit., pp. 324—325.

„ინდუსტრიალიზმი და დემოკრატიზმი, — წერს იგი — ეს არის ორი ძალა, რომელიც გაბატონებულია დასავლეთის სამყაროში. უფრო სწორი იქნებოდა გვეთქვა ინდუსტრიალიზმი და ნაციონალიზმი, ვინაიდან იდეალური დემოკრატიის ნაცვლად, რომელიც საყოველთაო და ჰუმანური უნდა ყოფილიყო და ექადაგა ხალხთა შორის მეგობრობა, აღმოცენდა ტრიბალური დემოკრატია, შუღლის დამოკრატია! ნაციონალური სული ეს არის პოლიტიკური ძალის გამოვლინების ფსიქიკური პროდუქტი. ინდუსტრიალურმა რევოლუციამ და ნაციონალიზმის წარმოშობამ დასავლეთში გამოიწვია მძლავრი სახელმწიფოების შექმნა, რომელთაგანაც თითოეული თავის თავს თვლიდა სამყაროდ.

რა თქმა უნდა, ეს პრეტენზიები ყალბი იყო. მართალია ცალ-ცალკე ამ სახელმწიფოებმა გავლენა მოახდინეს საზოგადოების ცხოვრებაზე, მაგრამ უკვე ის ფაქტი, რომ არსებობდა არა ერთი, არამედ რამდენიმე სახელმწიფო, მიუთითებს იმაზე, რომ რომელიმე მათგანის უნივერსალურად ჩათვლა გამორიცხულია“[50].

„სოციალიზმი და სინდიკალიზმი, — წერს კ. ჯეფერსონი, — ყველაზე მეტად აშინებდა ევროპის მმართველ წრეებს, მაგრამ ეს იდეოლოგიური მიმართულებანი თითქმის იხშობოდნენ XIX საუკუნის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი მისწრაფებით — ნაციონალიზმით“[51].

ნაციონალიზმი არ არის ერთადერთი ინსტიტუტი, რომელზეც გამახვილებულია დასავლეთის მეცნიერთა ყურადღება. „ახალი ინსტიტუტების“ სიაშია მოქცეული ინდუსტრიალიზაცია და დემოკრატია. თუმცა განსაკუთრებით გამოყოფილია ნაციონალიზმის გადამწყვეტი როლი მოდერნიზაციის პროცესში. ბურჟუაზიული მეცნიერება ნაციონალიზმს განიხილავს როგორც ისტორიული პროცესის მთავარ მამოძრავებელ ძალას. ამასთან, საერთო ნაციონალური ინტერესები დაიყვანება იმ კლასის ინტერესებამდე, რომელიც მოცემულ კონკრეტულ-ისტორიულ პირობებში ნაციონალური იდეოლოგიისა და პოლიტიკის მატარებელია. ბურჟუაზიული მეცნიერება ცდილობს დაამტკიცოს ნაციონალურ ურთიერთობათა „მუდმივობა“, რომ ნაციონალურ ნიადაგზე აღმოცენებული კონფლიქტები მუდმივი და გადაუჭრელია, რომ ნაციონალური ინსტინ-

---

[50] A. Toynbee, A Study of History, v. I, p. 9.
[51] Ed. Tannenbaum, op. cit., pp. 457—458.

ქტები უნდა ვეძიოთ თვით ადამიანების ბუნებაში, მათ მისწრაფებაში გაბატონებული მდგომარეობა მოიპოვონ სხვა ხალხზე.

„სპეციალურმა გამოკვლევებმა უარყვეს ეს შეხედულება, დაამტკიცეს რა, რომ მტრული დამოკიდებულება უცხოელებისადმი საერთოდ (ксенофобия), ასევე ცრურწმენები რომელიმე კონკრეტული ხალხის მიმართ არ არის საყოველთაო. ისინი წარმოიშვებიან შესაბამისი აღზრდის საფუძველზე და აქვთ გარკვეული სოციალურ-კლასობრივი ფესვები. ამა თუ იმ ეთნიკური ჯგუფის სტერეოტიპული სახე, რომელიც მასების გაბრაზებულ აზროვნებაშია, ყოველთვის გამოხატავს ამ ჯგუფთან ურთიერთობის ხასიათს. ამასთანავე განსაკუთრებულ მტრულ დამოკიდებულებას იწვევს ის ხალხები, რომლებიც ობიექტური ისტორიული მდგომარეობის გამო ადრე მტრულ ურთიერთობაში იყვნენ, რის გამოც ახლაც ერთმანეთს პოტენციურად საშიშად მიიჩნევენ და მიაწერენ უარყოფით თვისებებს. ამგვარად, ხალხების მტრობა ყოველთვის დაკავშირებულია თანამედროვე თუ ადრეულ ისტორიაში არსებულ სოციალურ-კლასობრივ ანტაგონიზმებთან“[52].

ე. ტოინბის აზრით, 1969 წლისათვის კაცობრიობის 90 პროცენტის რელიგია ნაციონალიზმია. „ეს არის მძლავრი რელიგია, — წერს იგი — ნაწილობრივ იმიტომ, რომ მისი არსებობა კაცობრიობის არსებობის ხანგრძლივობას ემთხვევა და, ნაწილობრივ იმიტომ, რომ ქრისტიანობის შემდგომი პერიოდის დასავლეთის სამყაროში ფანატიზმი, რომელიც ქრისტიანობამ მემკვიდრეობით მიიღო იუდაიზმიდან, შემორჩა ნაციონალიზმში“[53].

ამასთანავე ბურჟუაზიული იდეოლოგები ივიწყებენ, რომ ნაციონალიზმის გნოსეოლოგიური საფუძველი ნაციონალური მომენტის აბსოლუტიზაციაა, რომელიც განსაკუთრებულად ძლიერდება ექსპლუატატორული ურთიერთობების პირობებში. ნაციონალიზმის, ინდუსტრიალიზაციისა და დემოკრატიის ინსტიტუტებისათვის ასეთი გადამწყვეტი მნიშვნელობის მინიჭებას აქვს ერთი გარკვეული მიზანი — გადაიჭრას სოციალური პრობლემები არსებული სოციალური სტრუქტურების ჩარჩოებში, რაც ითვალისწინებს რევოლუციური გარდაქმნების თავიდან აცილებას.

აღიარებენ რა ნაციონალიზმს საზოგადოების „საერთო ცოდვად“, მას მიაწერენ ყველა იმ სოციალურ ბოროტებას, რაც წარ-

---

[52] Социальная Психология. М., 1975, с. 149.

[53] A. Toynbee, Experiences, p. 263.

მოშვა იმპერიალიზმმა: „... ენთუზიაზმისა და სიამაყის გარეშე, რაც ნაციონალიზმის გამოვლინებაა, სხვა ფაქტორები არ იქნებოდა საკმარისი იმპერიალისტური დაპყრობების განსახორციელებლად"[54]. როგორც ვხედავთ, მეოცე საუკუნის ისეთი საშინელებები, როგორიცაა პირველი და მეორე მსოფლიო ომები, გამართლებას პოულობს — ყველაფრის თავიდათავია ნაციონალიზმი.

„იმპერიალიზმი არ შეიძლება ჩაითვალოს პირველი მსოფლიო ომის უშუალო მიზეზად. ომის დაწყებისთანავე ყოველი მონაწილე გამოდიოდა გრანდიოზული კოლონიური მოთხოვნებით, მაშინ როდესაც ომის დაწყებამდე ისინი არ გამოხატავდნენ ბრძოლის სურვილს კოლონიური საკუთრების გამო. ომი დაიწყო ნაციონალიზმის შედეგად"[55].

იმავე აზრს ვხვდებით ტოინბისთან და ზოგიერთ სხვა ავტორებთან: „პირველი მსოფლიო ომი, — წერს ა. ტოინბი — არ წარმოებდა ლიმიტირებული — ტერიტორიული თუ კომერციული — მიზნებისათვის; ეს იყო დასავლეთის ნაციონალიზმის პირველი ომი: სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, ეს იყო ომი ინსპირირებული იდეოლოგიით, ხოლო იდეოლოგიური ომები თავისი შინაარსით მკაცრი არიან. ომის ხასიათი კიდევ უფრო გაამწვავა რელიგიური სულისკვეთების შეცვლამ ნაციონალიზმით"[56].

კ. ჯეფერსონის აზრით, შერისხვის ღირსია „ყველა, ან არც ერთი ერი, რამდენადაც ომის უშუალო მიზეზი იყო ადვილად აალებადი ემოცია, ე. წ. ნაციონალიზმი და ევროპის ყველა სახელმწიფო თანაბრად ინაწილებდა მას"[57].

ამგვარად, ზოგი ბურჟუაზიული მეცნიერის აზრით, თანამედროვე ომების და სხვა სოციალური კატაკლიზმების ახსნა უნდა ვეძიოთ არა კაპიტალიზმისა და იმპერიალიზმის ბუნებაში, არამედ სხვადასხვა ეროვნებათა ინტერესების კონფლიქტში.

დასავლეთის ცივილიზაციის ჩარჩოებში ნაციონალიზმი, მოვლენა უფრო მეტად ემოციური, ვიდრე სოციალური ან რაციონალური, ხშირად ღებულობს იდეოლოგიისა და მორალის უმახინჯეს ფორმებს: შოვინიზმი, რასიზმი, ფაშიზმი. თუმცა, რასიზმი თავისი

---

[54] Ed. Tannenbaum, op. cit., pp. 457—458.
[55] Ibid., pp. 472—474.
[56] A. Toynbee, Experiences, p. 203.
[57] Ed. Tannenbaum, op. cit., pp. 472—476.

გენეზისით ჩვენ ეპოქას არ მიეკუთვნება. მას შორეული წარსული აქვს. მთელ მსოფლიოში დასავლეთის საზოგადოების ტერიტორიულმა გავრცელებამ, მისმა უშუალო კონტაქტებმა სხვა ფიზიკური და კულტურული მონაცემების ხალხებთან გამოიწვია სხვადასხვა რასობრივი თეორიების წარმოშობა, რაც დღემდე ბურჟუაზიული იდეოლოგიის შემადგენელ ნაწილად რჩება.

თანამედროვე დასავლეთის აზრისათვის დამახასიათებელია სხვადასხვა სოციალურ მოვლენათა რასობრივი ინტერპრეტაცია, თუმცა ეს უკანასკნელი ძირითადად გვევლინება როგორც მეცნიერული აზრის დამახინჯება. იგი არ ითვალისწინებს ჩვენი საუკუნის მიღწევებს რასობრივი საკითხების შესწავლაში. დასავლეთის რასობრივი თეორია — ეს არის მეცნიერული აზრის დამახინჯება და „დასავლეთის ცივილიზაციის" წარმომადგენელთა რასობრივი უპირატესობის გრძნობის ფსევდოინტელექტუალური ასახვა, რომელიც წარმოიშვა და ვითარდებოდა იმ გაბატონებულ მდგომარეობასთან ერთად, რომლითაც სარგებლობდა თეთრი რასა უკანასკნელი საუკუნეების მანძილზე.

რა თქმა უნდა, თანამედროვე რასიზმი განსხვავდება ნიცშეს, დე გობინოსა და ჰიუსტონ ს. ჩემბერლენის რასობრივი თეორიებისაგან. დღეისათვის არავინ (ფაშისტური დაჯგუფებების გარდა) არ ამაყობს თავისი ჩრდილოური წარმოშობით, არავინ არ განადიდებს Nordic Man-ს[58]. ჩვენი დროის რასიზმი მნიშვნელოვნად მოდიფიცირებულია და გამოხატულებას პოულობს არა „ჩრდილოური რასის" უხეში ბატონობის გავრცელებაში, არამედ მისწრაფებაში გაავრცელოს დასავლეთის ცივილიზაციის „სიკეთე" მთელ მსოფლიოში.

რასობრივი თეორიის მქადაგებლები მიუთითებენ, რომ შავმა რასამ მსოფლიო კულტურის ფორმირებაში შედარებით ნაკლები წვლილი შეიტანა, თუმცა სოციალურ და კულტურულ სფეროში ჩამორჩენა უნდა აეხსნათ არა რასობრივი განსაკუთრებულობით, არამედ კოლონიალიზმით.

იმ თეორიათა სიყალბე, რომლებიც ახდენენ რასების დიფერენციაციას მათი „სრულყოფილობისა" და „არასრულყოფილობის" მიხედვით, განსაკუთრებით მკაფიოდ ჩანს ისტორიული განვითარების თანამედროვე ეტაპზე, როდესაც „შავი აფრიკა" მნიშვნე-

---

58 „ჩრდილოეთის ადამიანი".

ლოვან წარმატებებს აღწევს პოლიტიკურ, სოციალურ და იდეოლოგიურ სფეროში.

„თუ ვთვლით, რომ ყველა რასის ყველა ადამიანს აქვს ცივილიზაციის უნარი, ასიმილაციის ეს პროცესი, რომელიც ემპირიულად დადგენილი ფაქტია, არ წარმოადგენს არავითარ სირთულეს გასაგებად. თუკი, მეორე მხრივ, ჩვენ ვუშვებთ, რომ ერთ მთლიან რასას და სხვა რასათა გარკვეულ ნაწილს, არ შესწევს ცივილიზაციის უნარი, ვინაიდან მათ გარკვეულ დრომდე არ შეუტანიათ არავითარი წვლილი ცივილიზაციის ფორმირებაში, მაშინ ასიმილაციის პროცესი გაურკვეველი ხდება"[59], — აღნიშნავს ა. ტოინბი. როგორც ვხედავთ, ცივილიზაციათა რასობრივ თეორიებს აკრიტიკებენ თვით დასავლეთის ისტორიკოსებიც.

უნდა აღინიშნოს, რომ დასავლეთის მეცნიერები, ნაციონალური ომების ხასიათის მიხედვით გამოყოფენ „აგრესიულ" და „წყნარი" ტიპის ცივილიზაციებს. მართალია, ომები ყოველთვის იყო ცივილიზაციების ერთ-ერთი მამოძრავებელი ძალა, მაგრამ არ შეიძლება ასე გადაჭარბებით შევაფასოთ ომების მნიშვნელობა ცივილიზაციათა კლასიფიკაციის საქმეში. ომების ხასიათი განისაზღვრება, პირველ რიგში, პოლიტიკური ორგანიზაციის ფორმით.

„ომი წარმოადგენს ძირითად ბიოლოგიურ ფენომენს: უმაღლესი ტიპის ცხოველებში არ მოიძებნება მოქმედების სახეობა, რომელიც შეიძლება შევადაროთ ომს. ადამიანები არიან სოციალური ცხოველები, რომლებიც იბრძვიან ორგანიზებულ ჯგუფებად. ესენი არიან სოციალური ერთეულები, რომლებიც ურთიერთ შორის ქმნიან ბარიერს, მტრობას, სიძულვილს, ულმობელ ბრძოლას"[60],—წერს რ. არონი.

ომების წარმოშობას, განვითარებას და ხასიათს ცივილიზაციის ადრეულ ეტაპზე კარგად ახასიათებს ფ. ენგელსი: „მოსახლეობის მზარდი სიმჭიდროვე აიძულებს ადამიანებს უფრო მტკიცედ შეკავშირდნენ როგორც შიგნით, ისე გარეთ. მონათესავე ტომების კავშირი ყველგან აუცილებელი ხდება. . .

. . .ომი და ორგანიზაცია ომისათვის ახლა ხალხის ცხოვრების რეგულარული ფუნქციები ხდება. მეზობელთა სიმდიდრე სიხარბეს წარმოშობს იმ ხალხებში, რომლებისთვისაც სიმდიდრის შეძენა უკვე

---

[59] A. Toynbee, A Study of History, v. I, p. 258.
[60] R. Aron, op. cit., p. 369.

ცხოვრების ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს მიზანს შეადგენს. ისინი ბარბაროსები არიან: მათთვის ძარცვა-გლეჯა უფრო იოლ და უფრო სპატიო საქმედაც კი ითვლება, ვიდრე შემოქმედებითი შრომა. ომს, რომელიც უწინ მხოლოდ იმისათვის ხდებოდა, რომ თავდასხმებისათვის შური ეძიათ, ანდა იმისათვის, რომ გაეფართოებინათ ტერიტორია, რომელიც უკვე აღარ კმაროდა, — ამ ომს ახლა მხოლოდ ძარცვა-გლეჯის გულისათვის აწარმოებენ, იგი შემოსავლის მუდმივი წყარო ხდება. ახლად გამაგრებულ ქალაქებს ამაოდ როლი არტყია გარს მრისხანე კედლები: მათს თხრილებში გვაროვნული წყობილების სამარეა პირდაღებული, ხოლო მათი კოშკები უკვე ცივილიზაციას ებჯინებიან"[61].

როგორც ვხედავთ, ომები ცივილიზაციის აუცილებელი ატრიბუტი ხდება. ა. ტოინბი, მაგალითად, ომს მიიჩნევს სოციალურ ბოროტებად, „რომელიც შეიძლება აიკრძალოს იმ შემთხვევაში, თუ საკუთარი სურვილით მოხდება მსოფლიო მასშტაბის ფედერალურ გაერთიანებებში შესვლა"[62].

ომების როლი ცივილიზაციის გენეზისისა და ევოლუციის პროცესში ორგვარად შეიძლება იქნეს შეფასებული. ყველა ცივილიზაციის მამოძრავებელი ძალა იყო მისწრაფება გამდიდრებისა და გაფართოებისაკენ.

„ცივილიზაციის მამოძრავებელი ძალა მისი გაჩენიდან დღევანდლამდე უმდაბლესი სიხარბე იყო; მისი ერთადერთი, განმსაზღვრელი მიზანი იყო სიმდიდრე, სიმდიდრე და კიდევ სიმდიდრე, მაგრამ სიმდიდრე არა საზოგადოებისა, არამედ აი იმ ცალკეული სულმდაბალი ინდივიდისა. ხოლო თუ ამ საზოგადოების წიაღში თანდათან ვითარდებოდა მეცნიერება და მეორდებოდა ხელოვნების უმაღლესი აყვავების პერიოდები, ეს მხოლოდ იმიტომ ხდებოდა, რომ უამისოდ შეუძლებელი იქნებოდა ჩვენი დროის ყველა მონაპოვარი სიმდიდრის დაგროვების დარგში"[63], — წერდა ფ. ენგელსი.

ა. ტოინბი ცივილიზაციის განვითარების ბიოლოგიური ციკლის პირველ ფაზას—დაბადებას—მებრძოლ სახელმწიფოებს უწოდებს, რითაც იგი აღნიშნავს, რომ ცივილიზაცია წარმოიშობა ომებში, ე. წ. გამოწვევის (challange) შედეგად. განვითარების მე-

---

[61] კ. მარქსი, ფ. ენგელსი. რჩეული ნაწერები ორ ტომად, ტ. II, გვ. 376.

[62] A. Toynbee, Experiences, p. 84.

[63] კ. მარქსი, ფ. ენგელსი. რჩეული ნაწერები, ტ. II, გვ. 392.

ორე ფაზასაც იხსენიებს როგორც შფოთის პერიოდს. მესამე ფაზა— ეს არის სტაბილური პერიოდი, ე. ი. დაცემის პერიოდი და ბოლოს მეოთხე პერიოდი — დეზინტეგრაცია.

ამასთანავე არ შეიძლება მხედველობაში არ მივიღოთ ის ფაქტი, რომ ყველა ომს თან ახლდა ნგრევა, ადამიანთა მსხვერპლი და უბედურება. როგორც ცნობილია, რომის იმპერია, მიუხედავად თავისი ხანგრძლივი ძლიერებისა, დაეცა. XVIII საუკუნის გამოჩენილი ინგლისელი ისტორიკოსი ედ. გიბონი იმპერიის დაღუპვის უმთავრეს მიზეზად მიიჩნევდა გაუთავებელ ომებს, რომლებმაც დააუძლურეს რომი. „...რომის თანდათანობითი დაცემა, — წერდა იგი, — ეს იყო ბუნებრივი და გარდაუვალი შედეგი განსაკუთრებული სიდიადისა. წარმატებებმა საბოლოდ ჩამოაყალიბეს გახრწნის პრინციპი; ნგრევის მიზეზები მრავლდებოდა დაპყრობათა გაზრდასთან ერთად; და, როგორც კი დრომ და შემთხვევითობამ ჩამოაცილა ხელოვნურად შექმნილი საყრდენი, უზარმაზარი შენობა თავისივე სიმძიმის ქვეშ დაინგრა. ამბავი მისი დაღუპვისა მარტივი და ნათელია, და ნაცვლად იმისა, რომ ვიკითხოთ თუ რატომ დაინგრა რომის იმპერია, უმჯობესია იმაში გავერკვეთ, თუ როგორ იარსება მან ასე ხანგრძლივად"[64]. „დედამიწაზე მცხოვრები ველური ხალხები ცივილიზებული საზოგადოების საერთო მტერს წარმოადგენენ, — აგრძელებს შემდეგ იგი, — და ჩვენ შეგვიძლია დავინტერესდეთ, ემუქრება თუ არა ევროპას იგივე უბედურება, რამაც დაასუსტა რომის სამხედრო ძლიერება და ინსტიტუტები"[65]. ამ კითხვაზე პასუხს ედ. გიბონი თვითონვე იძლევა. მისი აზრით, ეს საშიშროება გამორიცხულია. ჯერ ერთი, რომ აღარ არსებობენ ბარბაროსები და, მეორე — მათი არსებობის შემთხვევაშიც კი ეს ჰიპოთეზა გამორიცხული იქნებოდა, რამდენადაც ომის ხელოვნებამ მიაღწია ისეთ დონეს, როცა ცივილიზებულ ხალხებზე გამარჯვების მოსაპოვებლად ნებისმიერი შესაძლებლობის ხალხს ხანგრძლივი ევოლუციური პროცესის გავლა მოუხდებოდა.

ამერიკელი მეცნიერი ჰ. აპტეკერი წერს: „დღეისათვის ახალ გიბონს რომ დასჭირებოდა დაეწერა ამერიკის შეერთებული შტა-

---

[64] Ed. Gibbon, The Decline and Fall of the Roman Empire, London, 1903—1906.

[65] Ibid., p. 401.

ტების დასუსტების და დაცემის ისტორია, ამ მიზნის განსახორციელებლად მას საკმაო მასალა ექნებოდა"[66].

აქვე უნდა აღვნიშნოთ, რომ ომის დამთავრების შემდგომ გამარჯვებული მხარე ცდილობდა, იძულების გამოყენებით თავისი ცივილიზაცია თავს მოეხვია დამარცხებული მხარისათვის. ასეთი იძულებითი გზით ცივილიზაციის გავრცელების ცდები უმეტეს შემთხვევაში მარცხით მთავრდებოდა. ამით უნდა აიხსნას, მაგალითად, დასავლეთის ცივილიზაციისადმი ის უარყოფითი დამოკიდებულება, რომელიც გავრცელებულია თითქმის მთელ მსოფლიოში. იმის გამო, რომ დასავლეთის ცივილიზაციის აპოლოგეტები ცდილობენ თავიანთი ცივილიზაციის მოდელად გამოცხადებას, იგი ყოველთვის ექცევა ოპოზიციაში—დასავლური versus არადასავლური.

ომების ძირითადი ხასიათი ეპოქების ცვლასთან ერთად იცვლებოდა. XVIII საუკუნის დასასრულისა და XIX საუკუნის დასაწყისის ომები ვ. ი. ლენინის აზრით, თავისი ხასიათით იყო ეროვნული ომები, რომლებიც წინ უსწრებდნენ და ხელს უწყობდნენ ეროვნულ სახელმწიფოთა ჩამოყალიბების პროცესს.

ამ ბრძოლებმა საბოლოოდ დაანგრიეს ფეოდალური წყობილება. ეს იყო ახალი ბურჟუაზიული საზოგადოების ბრძოლა ფეოდალიზმთან. კაპიტალიზმის განვითარების პროცესში ეროვნული სახელმწიფოების ჩამოყალიბება აუცილებელი ეტაპი იყო. ხალხთა ბრძოლა დამოუკიდებლობისათვის, თვითგამორკვევისათვის, ენის თავისუფლებისათვის, საზოგადოებრივი მმართველობისათვის — ეს ყველაფერი ემსახურებოდა ერთ მიზანს — ეროვნულ სახელმწიფოთა ჩამოყალიბებას. ყოველივე ეს აუცილებელი იყო კაპიტალიზმის შემდგომი აღმავლობისათვის, საწარმოო ძალთა შემდგომი განვითარებისათვის.

თანამედროვე ცივილიზაციის ასაღორძინებლად, კაპიტალიზმის ბოლომდე ასაყვავებლად საჭირო იყო ყველა ხალხების, ყველა ერების ჩაბმა კაპიტალიზმში. აი, რას ემსახურებოდა ეროვნული ომები, ომები კაპიტალიზმის დასაწყისი ხანისა[67], — წერდა ვ. ი. ლენინი.

ბურჟუაზიული ისტორიკოსები, ცდილობენ რა გაამართლონ თავიანთი მმართველი წრეების სტრატეგია და ტაქტიკა, XX საუკუ-

---

[66] Современная прогрессивная философская и социологическая мысль в США, Изд. «Прогресс», М., 1977, с. 249.

[67] იხ. В. И. Ленин, ПСС, т. 26, с. 28.

ნის ისეთი საშინელებების წარმოშობაში, როგორიცაა პირველი და მეორე მსოფლიო ომები, ადანაშაულებენ არა იმპერიალიზმს, არამედ „საზოგადოების საერთო ცოდვას“ — ნაციონალიზმს. „ენთუზიაზმისა და სიამაყის გარეშე, რომელთაც მოიცავს ნაციონალიზმი, სხვა ფაქტორები არ იქნებოდა საკმარისი იმპერიალისტური დაპყრობების განსახორციელებლად“[68], — წერს ედ. ტანენბაუმი.

იმ ფაქტს, რომ დასავლეთი ევროპის ქვეყნების ლიდერთა უმეტესობა ენთუზიაზმით შეხვდა პირველი მსოფლიო ომის დაწყებას, ამერიკელი მეცნიერი რ. სტრომბერგი ხსნის შემდეგი მიზეზებით: „ა) მისწრაფება სიახლის, თავგადასავლისა და რომანტიზმისაკენ, რომელიც მიმართული იყო მოძველებული, მატერიალისტური, ბურჟუაზიული ცივილიზაციის წინააღმდეგ. ბ) იმის შეგრძნება, რომ ომი იძლეოდა სულიერი განახლების და იდეალიზმის გამარჯვების შესაძლებლობას, რომელიც შეიძლებოდა მიღწეულიყო წარსულთან კონტაქტის გაწყვეტით. გ) ზეიმი იმის გამო, რომ შესაძლებელი იყო დაყოფილი საზოგადოების გამთლიანება, კლასებსა და ინდივიდებს შორის ზღვარის წაშლა და მათი გაერთიანება ორგანული სახის ეროვნულ ერთეულად. დ) აპოკალიფსური, ნიცშესეული განწყობა, რომელიც ამ კატასტროფაში ხედავდა ორივეს, როგორც განწირული ცივილიზაციისადმი მიმართულ განაჩენს, ასევე აბსოლუტური აღორძინების აუცილებელ პრელუდიას“[69].

„ომის შემდგომმა წლებმა მოიტანეს ომის სათავეებისადმი შეხედულებათა სრული გადასინჯვა, — განაგრძობს რ. სტრომბერგი, — საფრანგეთში, დიდ ბრიტანეთში, ამერიკის შეერთებულ შტატებში თითქმის ყველა მიიჩნევდა, რომ სწორედ გერმანელები იყვნენ ომის გამჩაღებლები, იყვნენ ისეთებიც, რომლებიც უარყოფდნენ ამ შეხედულებას ომიანობის დროსაც კი. ომის შემდეგ ერთბაშად დაიწყო ომის გამომწვევი მიზეზების ძიება — რასაც მოჰყვა „რევიზიონიზმის“ მსგავსი შედეგები. მეცნიერები მართალია არ ცდილობდნენ რუსეთი და საფრანგეთი უფრო დიდ დამნაშავეებად გამოეყვანათ, ვიდრე ავსტრია-უნგრეთი და გერმანია, მაგრამ ისინი სმტკიცებდნენ, რომ ყველა ჩათრეული იყო შიშის მორევში, სადაც ძნელი იყო იმის დადგენა, თუ ვინ იყო „დამნაშავე ომში“, არც ერთი ერი არ იყო სავსებით უდანაშაულო, არც სამართლებრივად

---

[68] Ed. Tannenbaum, op. cit., p. 471.
[69] R. Stromberg, op. cit., p. 229.

დამნაშავე. დანაშაული, შეიძლება ითქვას, თავად სისტემაშია ან ცივილიზაციაში ან კაცობრიობის ბუნებაში"[70].

არ სურთ რა აღიარონ თავიანთი სოციალური სისტემის მანკიერებები, ბურჟუაზიული მეცნიერები თავიანთ ცოდვებს თანაბრად ანაწილებდნენ სოციალურ სისტემაზე, ცივილიზაციასა და ადამიანზე.

საერთოდ, ყურადღების გადატანა ისეთ სოციალურ ინსტიტუტებზე, როგორიცაა დემოკრატია, რელიგია, ნაციონალიზმი და მის შედეგად წარმოშობილი ომები, მიმართულია ერთი მიზნისაკენ—ჩამოაშორონ მასები კომუნიზმს, გააყალბონ სოციალურ-ეკონომიკურ ფორმაციათა მარქსისტულ-ლენინური თეორია. მსოფლიო ასპარეზზე სოციალიზმის გამარჯვებამ დაამტკიცა, რომ კაპიტალიზმიდან სოციალიზმზე გადასვლა კანონიერი პროცესია. „ერების განმათავისუფლებლის ნაცვლად, როგორიც კაპიტალიზმი იყო ფეოდალიზმთან ბრძოლაში, იმპერიალისტური კაპიტალიზმი ერების უდიდესი მჩაგვრელი გახდა. კაპიტალიზმი პროგრესულიდან გადაიქცა რეაქციულ კაპიტალიზმად, ვან იმდენად განავითარა საწარმოო ძალები, რომ კაცობრიობა ან უნდა გადავიდეს სოციალიზმზე, ანდა წლობით და ათეული წლობითაც კი განიცდიდეს „დიდ" სახელწოფოთა შეიარაღებულ ბრძოლას კაპიტალიზმის ხელოვნურად შენარჩუნებისათვის კოლონიების, მონოპოლიების, პრივილეგიების და ყოველგვარი ნაციონალური ჩაგვრის საშუალებით"[71]. — წერდა ვ. ი. ლენინი. მაგრამ ბურჟუაზიულ მეცნიერებს, რომლებიც დგანან გაბატონებული კლასის სამსახურში, არ სურთ შეურიგდნენ ახალ მდგომარეობას. ამიტომაც იდეოლოგიური ბრძოლა განსაკუთრებულად მძაფრ ხასიათს ღებულობს. „დასავლეთის ცივილიზაციის" ცნება, რომელიც უნდა მოიცავდეს კულტურულ-ისტორიულ არსს, სინამდვილეში სოციალურ-პოლიტიკური შინაარსის მატარებელია. იგი უპირისპირდება საზოგადოებრივ-ეკონომიკური ფორმაციების მარქსისტულ-ლენინურ მოძღვრებას.

ჩვენ, რა თქმა უნდა, არ უარვყოფთ დასავლეთის ცივილიზაციის არსებობას, მის მიღწევებს, მის თავისებურებას. როგორც აღნიშნავს მ. მჩედლოვი: „ყოველი ცივილიზაცია თვითმყოფადია, მისთვის დამახასიათებელია განუმეორებელი თვისებები და ამასთა-

---

[70] Ibid., pp. 234—235.

[71] ვ. ი. ლ ე ნ ი ნ ი, თხზ., ტ. 21, გვ. 365.

ნავე მას შეაქვს თავისი წვლილი კაცობრიობის გამოცდილების, ღირებულებების და მიღწევების საგანძურში"[72]. ჩვენ უარვყოფთ „დასავლეთის ცივილიზაციის" აპოლოგეტთა მტკიცებას დასავლეთის ცივილიზაციის უნიკალურობის შესახებ, რომელიც შეიძლება მსოფლიომ გამოიყენოს მისაბაძ ნიმუშად.

კაპიტალისტური ცივილიზაციის შესახებ ვ. ი. ლენინი წერდა: —„...ცივილიზებულმა ხალხებმა ბარბაროსთა მდგომარეობაში ჩაიგდეს თავი.

საითაც არ უნდა მიიხედო — ყოველ ნაბიჯზე აწყდები ისეთ ამოცანებს, რომელთა გადაწყვეტა სავსებით შეუძლია კაცობრიობას დაუყოვნებლივ. ხელის შემშლელია კაპიტალიზმი. მან უამრავი სიმდიდრე დააგროვა — და ადამიანები ამ სიმდიდრის მონები გახადა. მან გადაწყვიტა ტექნიკის ურთულესი საკითხები — და შეაფერხა ტექნიკურ გაუმჯობესებათა განხორციელება მილიონობით მოსახლეობის სიღატაკისა და უმეცრების გამო, ერთი მუჭა მილიონერთა გონებაჩლუნგი სიძუნწის გამო.

კაპიტალიზმის დროს ცივილიზაცია, თავისუფლება და სიმდიდრე ბადებს აზრს გამტყვრალ მდიდარზე, რომელიც ცოცხლად ლპება და სიცოცხლეს უხშობს იმას, რაც ახალგაზრდაა.

მაგრამ ახალგაზრდა იზრდება და გაიმარჯვებს, მიუხედავად ყველაფრისა"[73].

„დასავლეთის ცივილიზაციის" ცნების თანამედროვე მოდიფიკაცია

ერ კიდევ XX საუკუნის ოციან წლებში, როდესაც საფუძველი ეყრებოდა ჩვენი ქვეყნის — ახალგაზრდა სოციალისტური სახელმწიფოს ეკონომიკასა და პოლიტიკას, ვ. ი. ლენინმა მეცნიერულად შეაფასა ჩვენი ქვეყნის მომავალი, სოციალიზმისა და იმპერიალიზმის ძალთა თანაფარდობა: „...ჩვენ, თუმცა ყველა დანარჩენ სახელმწიფოზე განუზომლად უფრო სუსტი ვართ ეკონომიურადაც, პოლიტიკურადაც და სამხედრო მხრივაც, ამავე დროს მათზე უფრო

---

[72] Журн. «Вопросы философии», № 7, 1978, с. 166.

[73] ვ. ი. ლ ე ნ ი ნ ი. თხზ., ტ. 19, გვ. 459.

ძლიერი ვართ იმით, რომ ვიცით და სწორ შეფასებას ვაძლევთ ყოველივე იმას, რაც გამოდის და რაც უნდა გამოვიდეს ამ იმპერიალისტური არევ-დარევიდან, ამ სისხლიანი ხლართიდან და იმ წინააღმდეგობიდან (ავიღოთ თუნდაც სავალუტო წინააღმდეგობა, დანარჩენზე უკვე აღარ ვილაპარაკებ), რომელშიც ეფლობოდნენ და სულ უფრო და უფრო ღრმად ეფლობიან ისინი, ვერ ხედავენ რა გამოსავალს"[74].

როგორც დასავლეთის სკოლის წარმომადგენელი ო. ფლეხტჰეიმი აღნიშნავს, „მთელი ისტორიის მანძილზე ჯერ არასოდეს არ წამოჭრილა წინასწარხედვისა და დაგეგმვის აუცილებლობის საკითხი ჩვენს წინაშე მდგარი მოსპობის საშიშროების წინააღმდეგ. მართალია, ჩვენს აქსელერაციის საუკუნეში, როდესაც გვემუქრება საფრთხე, რომ ვეღარ დავიმორჩილებთ მოსპობის იარაღს, ვეღარ ვახერხებთ ჩვენს საზოგადოებასა და კულტურაში არსებულ წინააღმდეგობათა სრულ აღმოფხვრას, წინასწარხედვისა და დაგეგმვის საფუძველზე შესაძლებელია მათი დასაშვებ დონემდე შესუსტება"[75]. წინასწარხედვისა და დაგეგმვის საფუძველზე სიძნელეთა ნაწილი, რა თქმა უნდა, შეიძლება დაიძლიოს, როგორც ამას აღნიშნავს ო. ფლეხტჰეიმი. მაგრამ ისტორიული მსვლელობის კანონზომიერების დარღვევა, განვითარების კანონზომიერ ფაზათა გამოტოვება შეუძლებელია.

„მექანიკის კანონი ამბობს, — წერდა ვ. ი. ლენინი, — რომ ქმედება უკუქმედების ტოლია. ისტორიაში დამანგრეველი ძალა რევოლუციისა აგრეთვე ბევრადაა დამოკიდებული იმაზე, თუ რამდენად მძლავრად და ხანგრძლივად ითრგუნებოდა თავისუფლებისადმი მისწრაფება, რამდენად ღრმაა წინააღმდეგობა ძველისძველ „ზედნაშენსა" და თანამედროვე ეპოქის ცოცხალ ძალებს შორის"[76].

სწორედ ეს წინააღმდეგობა „ზედნაშენსა" და თანამედროვე ეპოქის მამოძრავებელ ძალებს შორის წარმოშობს მღელვარებას იმპერიალისტური ქვეყნების მმართველ წრეებში, რომლებიც თავიანთ მეცნიერთა წინაშე აყენებენ ურთულეს ამოცანებს — შეიმუშავონ კაპიტალისტური სამყაროს განვითარების ახალი, პერსპექტიული მეთოდები. განსაკუთრებით მწვავედ დაისვა ეს საკი-

---

[74] ვ. ი. ლ ე ნ ი ნ ი, თხზ., ტ. 33, გვ. 157.

[75] O. K. F l e c h t h e i m, History and Futurology, Meinenheim am Glun, 1966, pp. 107—108.

[76] ვ. ი. ლ ე ნ ი ნ ი, თხზ., ტ. 9, გვ. 55.

თხი თანამედროვე ეტაპზე. ადრინდელი თეორიები, რომლებიც ქა-დაგებდნენ დასავლეთის ცივილიზაციის „უნიკალურობას", მის „შეუთავსებლობას" აღმოსავლეთისა და სხვა ცივილიზაციებთან, მოძველდა. მოძველდა ისინი ზოგიერთ ბურჟუაზიულ მეცნიერთა თვალშიც კი. ამასთანავე ცვლილებები შეიმჩნევა თვით „დასავლეთის ცივილიზაციის" გაგებაშიც. როგორც ცნობილია, გარკვეული მიზეზების გამო (ეკონომიკური, კულტურული და სხვ.) რუსეთი მსოფლიო განვითარების პროცესში ჩამორჩენილი ქვეყანა იყო. დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის გამარჯვების შემდეგ ჩვენ ქვეყანას მოუხდა ურთულესი გზის გავლა, რათა მოეპოვებინა თავისი შესაფერი ადგილი მსოფლიო ცივილიზაციაში. პირველ ხანებში ახალგაზრდა საბჭოთა სახელმწიფოსადმი დამოკიდებულება იყო ძალზედ სკეპტიკური, მაგრამ ახლა, როდესაც აშენდა განვითარებული სოციალიზმის საზოგადოება, დასახულია სოციალიზმიდან კომუნიზმზე გადასვლის გზები, არავისთვის გასაკვირი არ არის ის ფაქტი, რომ სოციალისტური ცივილიზაცია მყარად დამკვიდრდა მსოფლიო ცივილიზაციის ისტორიაში.

როგორც ცნობილია, მეორე მსოფლიო ომის შემდგომ საერთაშორისო არენაზე გაჩნდა სახელმწიფოთა ახალი დაჯგუფება, რომლის სტრუქტურაც ემყარებოდა „ატლანტიზმის"[77] პრინციპს. არცთუ იშვიათად ვხვდებით „დასავლეთის ცივილიზაციის" ცნების შენაცვლებას „ატლანტიკის ცივილიზაციით". დასავლეთის მეცნიერთა უმრავლესობას მიაჩნია, რომ დასავლეთის ცივილიზაციის ფორმირება მოხდა იმ ერთიანი რევოლუციის ბაზაზე, რომელიც მოიცავს საფრანგეთის რევოლუციას, კანტიანიზმს, რომანტიზმს და ინდუსტრიულ რევოლუციას. უარყოფენ ამ რევოლუციების კონკრეტულ, ლოკალურ ხასიათს და განიხილავენ როგორც დასავლეთის ზოგად, საერთო მოვლენას. „საფრანგეთის რევოლუცია ფაქტიურად იყო დასავლეთის მხოლოდ ერთი ასპექტი, — წერს ჟაკ გოდში — უფრო ზუსტად ატლანტიკის რევოლუციისა, რომელიც დაიწყო ამერიკაში, ინგლისის კოლონიებში მალე 1763 წლის შემდეგ, გავრცელდა შვეიცარიაში, ქვედა სახელმწიფოებში, ირლანდიაში და მიაღწია საფრანგეთს 1787—1789 წწ-ში"[78].

---

[77] Atlantis ბერძნული წარმოშობის სიტყვაა, რომლითაც აღნიშნავდნენ სიერცეს გიბრალტარის სრუტესა და კანარის კუნძულებს შორის, მთელ დასავლეთის ოკეანეს (Oceanus Occidentalis).

[78] იხ. R. Stromberg, op. cit., pp. 11—12.

თავისი აგრესიული პოლიტიკით ევროპამ შესძლო მოეპოვებინა კოლონიები აზიასა და აფრიკაში. სწორედ ამ დაპყრობით ეტაპს რ. სტრომბერგი ახასიათებს, როგორც ევროპის ცივილიზაციის დაღუპვის წინა პერიოდს. ახალი ევროპა თავისი ახალი პოლიტიკით და ახალ-ახალი მიღწევებით ბევრში იწვევდა ეჭვს და უნდობლობას, — აღნიშნავს იგი — ძველი წყობის ორგანული ხასიათი, რომელიც ემყარებოდა იერარქიულ პრინციპს, დაირღვა. თუმცა კი მეტნაკლებად ერთიანმა ევროპულმა ცივილიზაციამ განიცადა ატომიზაცია და შეიქმნა პლურალისტული ცივილიზაცია, რომელიც მოკლებული იყო უწინდელ მთლიანობას. მასში წინა პლანზე წამოიწია ისეთმა ინსტიტუტებმა, როგორებიცაა: დემოკრატია, ნაციონალიზმი, ინდუსტრიალიზაცია და ა. შ.[79].

ატლანტიზმის პრინციპს ჰქონდა არა მარტო გეოგრაფიული (ატლანტიკის ოკეანეს სანაპიროებზე განლაგებული ქვეყნები: დასავლეთი ევროპა და ჩრდილოეთი ამერიკა), არამედ სოციალური მნიშვნელობაც (იმპერიალისტური სახელმწიფოები). თავდაპირველად ამ „ახალი" სოციალურ-პოლიტიკური სტრუქტურის მამოძრაველები მექანიზმი იყო ამერიკის შეერთებული შტატები და ეს არცაა გასაკვირი, რამდენადაც ევროპა ძალზე დაზარალდა მეორე მსოფლიო ომში, მაგრამ სამოციან წლებში ევროპას ეძლევა „რეაბილიტირების" შესაძლებლობა. „ანლანტიკური ერთობის" შიგნით აღმოცენდნენ რეგიონალური გაერთიანებები (ისეთები, როგორიცაა, ევროპის ეკონომიკური გაერთიანება), გამიზნული არა მარტო პოლიტიკური, ეკონომიკური, სავალუტო-ფინანსური და სხვა პრობლემების ერთობლივ გადასაჭრელად, არამედ ამერიკის შეერთებული შტატებისათვის კონკურენციის გასაწევად.

ამ ცვლილებებმა იმოქმედეს არა მარტო ეკონომიკასა და პოლიტიკაზე, არამედ იდეოლოგიურ სფეროზეც. თუკი სამოციანი წლების ბოლომდე ამერიკის შეერთებულ შტატებს შეჰქონდა „ახალი მოდა" დასავლეთ სამყაროში, სამოციანი წლებიდან დასავლეთი ევროპა უსწორდება ამერიკას. „გაერთიანებული ევროპის" შექმნის ცდებს გააჩნდა, ერთი მხრივ, ანტიკომუნისტური მიმართულება, ხოლო, მეორე მხრივ, გამიზნული იყო ამერიკის ჰეგემონიის წინააღმდეგ.

---

[79] იხ. Ibid., p. 48.

გობსონი აღნიშნავდა, რომ დასავლეთის სახელმწიფოთა ფართო კავშირი — მსოფლიო სახელმწიფოთა ევროპული ფედერაცია ...არათუ წინ არ წასწევდა მსოფლიო ცივილიზაციის საქმეს, არამედ მომასწავებელი იქნებოდა დასავლეთის პარაზიტიზმის გიგანტური საფრთხისა"[60]. მას მხედველობაში ჰქონდა მათ მიერ აზიისა და აფრიკის ქვეყნების ექსპლუატაცია.

ამგვარად, თუკი აქამდე „დასავლეთის ცივილიზაციის" ჩარჩოებში თავსდებოდა მხოლოდ „ატლანტიკის სისტემა", ახლა ამ სისტემაში წარმოიშობა დაჯგუფებები — ინტეგრირებული დასავლეთი ევროპა და ამერიკის შეერთებული შტატები. არ შეიძლება არ აღვნიშნოთ პირობითობა და არათანმიმდევრულობა ასეთი დაპირისპირებისა, რაც გამოხატულებას პოულობს თვით „ევროჯგუფის" შიგნით, რომელსაც არა აქვს ერთი აზრი „ატლანტიკის სისტემაში" თავისი ადგილის შესახებ.

მეორე მსოფლიო ომის შემდგომ საერთაშორისო არენაზე ისეთი ახალი ტენდენციების წარმოშობამ, როგორიცაა: იმპერიალიზმის პოზიციების დასუსტება, კაპიტალიზმის საერთო კრიზისის გაღრმავება, იმპერიალისტურ ქვეყნებს შორის წინააღმდეგობის გამწვავება, იმპერიალისტური სახელმწიფოები აიძულა მიეღო გადამწყვეტი ზომები, შეემუშავებინა საერთო პროგრამა ამ პროცესების შესასუსტებლად და გასაკვირი არაა, რომ ამერიკის შეერთებულმა შტატებმა, რომელიც ფაქტიურად ჩიხში აღმოჩნდა, ხელში აიღო ინიციატივა მსოფლიო კაპიტალიზმის ძირითად ძალთა გასაერთიანებლად: აშშ — დასავლეთი ევროპა — იაპონია. როგორც ვხედავთ, „ატლანტიზმის" ჩარჩოები გაფართოვდა: მასში აღმოჩნდა ქვეყანა, რომელსაც არავითარი საერთო არ ჰქონდა ატლანტიკის ნაპირებთან (იაპონია), რაც კიდევ ერთხელ ადასტურებს „ატლანტიზმის" პრინციპის სოციალურ-პოლიტიკურ ხასიათს. იმპერიალისტურ გაერთიანებათა ჩარჩოებში განსაკუთრებული ადგილი უჭირავს დასავლეთ გერმანიასა და იაპონიას.

გაზეთი „ვაშინგტონ პოსტი" წერდა: „ჩვენი დროის ყველაზე განსაცვიფრებელი პარადოქსი იმაში მდგომარეობს, რომ მეორე მსოფლიო ომში გამარჯვებული დახმარებას სთხოვს ორ დამარცხებულ სახელმწიფოს. მორალი აქ. შესაძლებელია, იმაში მდგომა-

---

[60] იხ. ვ. ი. ლ ე ნ ი ნ ი, თხზ., ტ. 22, გვ. 353.

რეობს, რომ არც ერთი ქვეყანა არ გამოდის გამარჯვებული ომში და გამარჯვებით გამოწვეული ეიფორია, მომავალში შესაძლოა უფრო საშიში აღმოჩნდეს, ვიდრე დამარცხების სიმწარე.

აშშ მოუწოდებს დასავლეთ გერმანიასა და იაპონიას, რომლებსაც აქვთ სავაჭრო ბალანსის დიდი აქტიური სალდო და ინფლაციისა და უმუშევრობის შედარებით დაბალი დონე, გააძლიეროს ეკონომიკური ზრდა, გაზარდოს იმპორტი, შეამციროს სატარიფო ბარიერები და ამით მოახდინოს დასუსტებული მსოფლიო ეკონომიკის სტიმულირება"[81].

თუკი ადრე დასავლეთის ცივილიზაცია განიხილებოდა როგორც ერთობა, რომელშიც შედიოდნენ მხოლოდ „მოწინავე" დასავლეთის ქვეყნები, ახლა იგი განიხილება როგორც არა მარტო ევროპული გაერთიანება, არამედ უფრო გლობალური. ბურჟუაზიულ თეორიათა თანახმად, „დასავლეთის ცივილიზაციის" სახელით გამოდიან სახელმწიფოები, რომელთა სახელმწიფო წყობილება და ცხოვრების დონე უახლოვდება ევროპისას. ამიტომაც ბევრი შეცნიერი თვლის, რომ დასავლეთის ცივილიზაციის ფორმირება ხდება შემდეგი ტრაექტორიით: ხმელთაშუა ზღვა — ატლანტიკის ოკეანე—წყნარი ოკეანე. ყოველივე ზემოთ აღნიშნულიდან გამომდინარე, დიქტომია „მოწინავე ევროპა" versus „ჩამორჩენილი აზია" კარგავს თავის აზრს.

„მე მივხვდი, — წერს ა. ტოინბი, — რომ ევროპა აპირებდა გაბატონებული და შესაბამისად ცენტრალური პოზიციის დაკარგვას მსოფლიოში, რომელიც მას ეკავა უკანასკნელი ოთხი საუკუნის განმავლობაში. ასევე მივხვდი, რომ მთელი მსოფლიო კეთილი თუ ბოროტი საქმისათვის აპირებდა გაერთიანებას ერთ საზოგადოებად, რომელშიც მსოფლიოს აქამდე ჭეშმარიტად თვითმყოფადი გეოგრაფიული რეგიონები გაერთიანდებიან ან გავლენას იქონიებენ სხვა რეგიონებზე. თუ ჩემი ჰიპოთეზა სწორია, მაშინ გაერთიანებული მსოფლიოს ისტორია არ შეიძლება დაიწეროს ინტელიგიბელურად თუ არ დაიწერება ერთიანობაში, რომელშიც არც ევროპას, არც რომელიმე სხვა რეგიონს არ მიენიჭება უპირატესობა. ამ მსოფლმხედველობის გასარკვევად ჩემი ტომების პირველ წიგნებში მე დავურთე რუკა, რომელიც მსოფლიო ცენტრს მიუთი-

---

[81] «The Washington Post»., 3 March, 1978.

თებს არა ევროპაში და ჩრ. ატლანტიკაში, არამედ წყნარ ოკეანეში"[82].

მართალია, თანამედროვე სამყაროში მიმდინარე პროცესები უნდა განვიხილოთ დინამიკურ პლანში (ყველაფერი განიცდის ევოლუციას, ყველაფერი მოდიფიცირებს), მათ შორის დასავლეთის ცივილიზაციაც, მაგრამ მეორე მხრივ, დაუშვებელია გავიზიაროთ „დასავლეთის ცივილიზაციის" ყველა სახის მოდიფიკაციები, მაგალითად, იაპონიის მიკუთვნება დასავლეთის ცივილიზაციისათვის უსაფუძვლოა კულტურულ-ისტორიული თვალსაზრისით. ეს შესაძლებელია გავიგოთ მხოლოდ სოციალურ-პოლიტიკურ პლანში (იაპონია — მიეკუთვნება ყველაზე მეტად განვითარებულ კაპიტალისტური ქვეყნების ჯგუფს).

რაც შეეხება ინტეგრაციის პროცესს, ეს არის საპასუხო, კანონზომიერი რეაქცია იმ პროგრესული მოვლენების მიმართ, რომლებსაც ადგილი აქვთ თანამედროვე მსოფლიო არენაზე — საწარმოო ძალთა განვითარება, მეცნიერებისა და ტექნიკის ტემპების სწრაფი ზრდა, საერთაშორისო მონოპოლიების ძლიერების ზრდა, რომელთა მოქმედების სფერო სცილდება ცალკეულ სახელმწიფოთა საზღვრებს და იქცევა „დასავლეთის ცივილიზაციის ერთიანობის" ძირითად ფაქტორად (თანამედროვე ბურჟუაზიული საზოგადოება). დასავლეთში ინტეგრაციის პროცესი შეიმჩნევა 50-იანი წლებიდან. თუმცა უკვე 70-იანი წლების დასაწყისში იმპერიალისტურ ქვეყნებს შორის წინააღმდეგობის გამწვავებამ გამოიწვია ამ პროცესის დამუხრუჭება, შოგვიანებით კი — ჩიხში მოქცევა.

ვ. ი. ლენინი დასავლეთის იმპერიალისტური სახელმწიფოების ინტეგრაციის პროცესს შემდეგნაირად განმარტავდა: „...კაპიტალიზმის დროს წ ა რ მ ო უ დ გ ე ნ ე ლ ი ა სხვა საფუძველი გავლენის სფეროების, ინტერესების, კოლონიებისა და სხვ. გაყოფისათვის, თუ არა გაყოფის მონაწილეთა ძ ა ლ ი ს გათვალისწინება, საერთო-ეკონომიკური, ფინანსური, სამხედრო და სხვ. ძალისა. ხოლო გაყოფის ამ მონაწილეების ძალა ერთნაირად როდი იცვლება, ვინაიდან კაპიტალიზმის დროს შეუძლებელია ცალკეული საწარმოების, ტრესტების, მრეწველობის დარგების, ქვეყნების თანაბარი განვითარება"[83].

„რა ფორმაც არ უნდა ჰქონდეს ამ კავშირებს, — განაგრძობს

---

[82] A. T o y n b e e, Experiences, pp. 75—76.

[83] ვ. ი. ლ ე ნ ი ნ ი, თხზ., ტ. 22, გვ. 373.

ვ. ი. ლენინი, — ფორმა ერთი იმპერიალისტური კოალაციისა მეორე იმპერიალისტური კოალაციის წინააღმდეგ, თუ ყ ვ ე ლ ა იმპერიალისტური სახელმწიფოს საყოველთაო კავშირის ფორმა — ა უ ც ი ლ ე ბ ლ ა დ წარმოადგენენ მხოლოდ „შესვენებას“ ომებს შორის“[84].

ამგვარად არავითარ მოქმედებას, არც თეორიულ, არც პოლიტიკურ და არც იდეოლოგიურ სფეროში, არ შეუძლია შეცვალოს კაპიტალისტური საზოგადოების არსი. მათი ინტეგრაცია, რომელიც ემყარება არა თანასწორობას, არამედ ძალას, განწირულია.

აღსანიშნავია, რომ პრობლემები, რომელთა წინაშეც დგანან კაპიტალისტური საზოგადოებანი, გამოხატულებას პოულობენ დასავლეთის ბევრი მეცნიერისა და პოლიტიკოსის ნაშრომებში. მაგალითად, ჰ. კისინჯერმა 1974 წელს თავისებურად განმარტა ეს სირთულეები არა მარტო სოციალური, არამედ იდეოლოგიური თვალსაზრისითაც: „დასავლეთის საზოგადოებათა ერთ-ერთი სირთულე დაკავშირებულია იმ ფაქტთან, რომ მათ ძირითადად აწყობთ სტატუს-ქვო... ჩემი აზრით, ეს მცდარი კონცეფციაა. მაგრამ ის, თუ რა მოხდება შემდგომ, იმდენად გაურკვეველია, — ხოლო ჩვენ კი რეალურად არ გაგვაჩნია არავითარი თეორია მის შესახებ, თუ როგორ მოვახდინოთ ახალი პოლიტიკური ევოლუცია, — რომ წარმოიშვება ტენდენცია დავტოვოთ ყველაფერი უცვლელად“[85].

თუმცა არ შეიძლება ყველაფრის „უცვლელად“ დატოვება. ამიტომაც ბევრი ბურჟუაზიული მეცნიერი ვერ ახერხებს რა თანამედროვე დასავლეთში მიმდინარე პროცესების გაანალიზებას, „დასავლეთის ცივილიზაციას“ განიხილავს მომავლის პლანში. „დასავლეთის ცივილიზაციის“ ბაზაზე წარმოიშვება განვითარების სხვადასხვა პერსპექტივა.

დასავლეთში კაცობრიობის მომავლის შესწავლა გამოყოფილია სოციოლოგიის ცალკე დარგად და იწოდება ფუტუროლოგიად. „წინასწარხედვის“ ცნება მეცნიერებაში განმარტებულია როგორც „თეორიული მოლოდინების სახეობა, რომელიც ხსნის ბუნების, საზოგადოებრივი ცხოვრების, ფსიქიკური მდგომარეობის ამა თუ იმ მოვლენებს, რომლებიც არსებულ მომენტში არ არსებობენ, ან არ არიან ცნობილი, მაგრამ შეიძლება წარმოიქმნან ან შესწავლილნი და აღმოჩენილნი იქნენ მომავალში“[86].

---

[84] ვ. ი. ლ ე ნ ი ნ, თხზ., ტ. 22, გვ. 373.
[85] «The New York Times», 13. X. 1974.
[86] Большая Советская Энциклопедия, изд. 3-е, т. 20, с. 502.

თუ რაოდენ გავრცელებულია ფუტუროლოგია ამერიკის შეერთებულ შტატებში, ამაზე მეტყველებს იქ გამოცემულ ჟურნალთა რიცხვი: „Futurist", „Futures", „Technological Forcasting and Social Change" და ა.შ. გახშირდა ნაშრომები ასეთი სათაურებით: „2000 წელი", „მსოფლიო 2000 წელს," „2000 წლის შესახვედრად" და სხვ.[87]

ამასთანავე ბურჟუაზიული პროგნოსტიკა მარქსიზმს უპირისპირებს კაცობრიობის სოციალური პერსექტივების თავისებურ გაგებას. ეს ისტორიკოს-მარქსისტებისგან მოითხოვს იდეოლოგიური ბრძოლის შემდგომ გააქტიურებას, დიალექტიკური და ისტორიული მატერიალიზმის საფუძველზე ახალი ისტორიული კვლევის მეთოდების გამონახვას.

[დასავლეთის მეცნიერთა ნაშრომებში „დასავლეთის ცივილიზაციის" მომავალი ძირითადად ორ საწინააღმდეგო პლანში აისახება. ერთ-ერთი მათგანი ეს არის ოპტიმისტური მიმართულება, რომლის წარმომადგენლებიც ცდილობენ დაამტკიცონ, რომ მომავალი ეკუთვნის „დასავლეთის ცივილიზაციას", კერძოდ, ამერიკის შეერთებულ შტატებს, რომლებსაც მიაწერენ „სოციალური ლაბორატორიის" ფუნქციას. მაგალითად, ამერიკელი მეცნიერი ალან ნევინსი წერს: „ამერიკა გაჩენილია მსოფლიო ბატონობისათვის. ატლანტიკა ესაა მსოფლიო ცივილიზაციის ცენტრი, ისევე როგორც ხელთაშუა ზღვა წარმოადგენდა ანტიკური სამყაროს ცივილიზაციის ცენტრს"[88].]

ამ თეორიებს ძირითადად დასაბამი მისცა დ. კეინსის ეკონომიკურმა კონცეფციამ. ო. ფლეხტჰეიმის ფუტუროლოგიამ და ჯორუელის სოციალურმა უტოპიამ.

არსებობს მრავალი თეორია, რომლებშიც შემუშავებულია კაცობრიობის მომავლის მოდელები. „დასავლეთის ცივილიზაცია" მათში წარმოდგენილია, როგორც ნიმუში, რომლის მსგავსადაც უნდა განვითარდნენ სხვა ქვეყნები.

მეორე მხრივ, იქმნება დოქტრინები, რომლებიც ამტკიცებენ ორი სისტემის დაახლოების აუცილებლობას (ისინი ძირითადად

---

87 იხ. Борьба идей в современном мире, изд. политической литературы, М., 1976, т. 2, с. 232.

88 Цит. по Г. Аптекер, Лауреаты империализма, М. изд. иностр. лит., 1955, с. 29.

ეფუძნებიან მეცნიერულ-ტექნიკური რევოლუციის შედეგებს. მის უკიდურესად თავისებურ და თავისუფალ ინტერპრეტაციას), „დეიდეოლოგიზაციის" აუცილებლობას და ა. შ. ყოველივე ეს ერთხელ კიდევ გვარწმუნებს კაპიტალიზმის უმწეობაში შეიმუშავოს სოციალიზმის იდეურ-თეორიული ალტერნატივა.

ბურჟუაზიულ მეცნიერებს არ სურთ შეეგუონ იმ ფაქტს, რომ კაცობრიობის მომავალი ესაა სოციალიზმისათვის ბრძოლა, ბრძოლა კერძო საკუთრებაზე დაფუძნებული სისტემის წინააღმდეგ. მომავლის ყოველმხრივი შესწავლის საფუძველზე ისინი ცდილობენ აიცილონ ის სიძნელეები, რომლებიც ძირს უთხრიან ბურჟუაზიულ საზოგადოებას და რომელთა ზრდაც ფაქტობრივად შეუჩერებელია.

ბურჟუაზიულ ფუტოროლოგიაში ოპტიმისტური განწყობის გვერდით ვხვდებით ისეთ თეორიებს, რომლებშიც კაპიტალიზმის მომავალი წარმოდგენილია მუქ ფერებში. „მომავალი აშინებს კაპიტალიზმს, — წერს ნ. მიკეშინი — მას სიკვდილი მოაქვს მისთვის, ვინაიდან ისეთი ცნებები, როგორიცაა „პროგრესი" და „კაპიტალიზმი", ურთიერთგამომრიცხავი არიან". საუკუნეში, რომელმაც აღმოაჩინა ანტიელექტენტები და ანტისხეულები, ბოროტ ირონიად ისმის „სოვეტოლოგების" მოსაბეზრებელი მოწოდებანი სოციალისტური ქვეყნების ხალხებისადმი დაუბრუნდნენ უკან კაპიტალიზმს. „ისტორია", რომელსაც ქმნიან ჩვენი იდეოლოგიური მტრები სკკპ და საბჭოთა სახელმწიფოს „მოღვაწეობის შესახებ, ფაქტობრივად ანტიისტორიაა"[89].

კრიზისის თემა ახალი არ არის ბურჟუაზიული ფილოსოფოსათვის (ა. შოპენჰაუერი, ს. კიერკეგორი, ფ. ნიცშე, ო. შპენგლერი და სხვ.), მაგრამ კრიზისი მეორე მსოფლიო ომამდე ძირითადად განიხილებოდა, როგორც კულტურისათვის დამახასიათებელი მოვლენა.

ეს პესიმისტური მიმართულება ბურჟუაზიულ მეცნიერთა ნაშრომებში განსაკუთრებით გაძლიერდა XX საუკუნეში. ერთი მხრივ, კაპიტალიზმის შინაგანია წინააღმდეგობებმა, პირველმა მსოფლიო ომმა, 20— 30-იანი წლების მოჩვენებითმა სტაბილურობამ, მასების გარკვეული ნაწილის სკეპტიკურ-ნიჰილისტურმა

---

[89] Н. И. Микешин. История против антиистории. Критика буржуазной фальсификации послевоенного периода истории КПСС. М., 1973, с. 173.

განწყობილებამ და ფაშიზმის წარმოშობამ, მეორე მხრივ, დიდი ოქტომბრის სოციალისტურმა რევოლუციამ, ახალი სოციალისტური სისტემის შექმნამ წარმოქმნა სხვადასხვა იდეოლოგიური მიმართულებები (ეგზისტენციალიზმი, პრაგმატიზმი, ჰუსერლის ფენომენოლოგია და სხვ.). ამ იდეოლოგიათა მთავარი არსია — სკეპტიციზმი. კრიზისი ისტორიული პროცესის მუდმივ ატრიბუტად არის მიჩნეული. ადამიანს ისღა დარჩენია, რომ განზე გადგეს ობიექტურად მიმდინარე ისტორიული პროცესებისაგან.

ასევე პესიმისტურად აფასებენ საზოგადოების ისტორიულ პროცესს ბურჟუაზიული ისტორიკოსებიც. ისინი ეშვქვეშ აყენებენ ისტორიული მეცნიერების არსებობას; უარყოფენ ისტორიის კანონზომიერ განვითარებას, პროგრესის იდეას. მათი აზრით, არავითარი ობიექტური ისტორიული ჭეშმარიტება არ არსებობს. რ. არონი წერს: „ერთი საფეხურიდან მეორეზე გადასვლა შესაძლებელია შეფასდეს რაიმე ნორმით, ეს უკანასკნელი კი არ უნდა ემორჩილებოდეს ისტორიულ ცვლილებებს: ასეთი ნორმა ყოველთვის ამა თუ იმ საზოგადოების თეორიული პროექტია“[90].

„ისტორიის მიზანი უცოდინარობის წყვდიადითაა მოცული და ჩვენთვის სულ უფრო ძნელი ხდება პასუხი გავცეთ კითხვაზე, რომელი მიმართულებით ვითარდება ისტორია“[91], — წერს ტ. შიდერი.

კ. მარქსი აღნიშნავდა, რომ „თავისი რაციონალური სახით დიალექტიკა ბრაზსა ჰგვრის და შიშის ზარსა სცემს ბურჟუაზიას და მის დოქტრინერ-იდეოლოგებს, რადგან არსებულის პოზიტიურ გაგებაში მას შეაქვს ამავე დროს ამ არსებულის უარყოფის, მისი აუცილებელი დაღუპვის გაგებაც“[92].

უკანასკნელ ხანს კრიზისის კონცეფციები მატულობს. ამასთანავე დაუდგენელია კრიზისის მომცველი სფერო — ერთნი ამტკიცებენ, რომ ცივილიზაცია განიცდის კრიზისს; მეორენი კრიზისს განიხილავენ როგორც კულტურის სფეროსათვის დამახასიათებელ მოვლენას; მესამენი ამტკიცებენ, რომ დადგა სულიერი კრიზისის ხანა, მეოთხენი ცდილობენ სხვადასხვა სფეროებში არსებული კრი-

---

[90] R. Aron. Introduction to the Philosoply of History, Boston, 1961, p. 148.

[91] Th. Schieder, Grundfragen der neuen Deutshen Geschichte, «Historische Zeitschrift», 1961, № 1, S. 2.

[92] კ. მარქსი. კაპიტალი. 1954, ტ. I, გვ. 23.

ზისების გაერთიანებას და ა. შ. აზრთა ეს სიმრავლე მიგვითითებს დასავლეთის მეცნიერთა უძლურებაზე მოახდინონ კრიზისის „ლოკალიზება“, გამოარკვიონ, თუ სად არის მიმალული კრიზისის ფესვები, რომლის არსებობაც იმდენად ნათელია, რომ მისი იგნორირება შეუძლებელია. თუმცა არ სურთ რა საჯაროზე გამოიტანონ კრიზისის რეალური სოციალურ-ისტორიული მიზეზები, ბურჟუაზიული მეცნიერები ვერ ახერხებენ ისტორიული მსვლელობის მეცნიერულ გააზრებას.

ზ. ბეზინსკი თავის გამოსვლებში მიუთითებდა, რომ ამერიკის შეერთებული შტატების ადმინისტრაციის მთავარი ამოცანაა გადალახოს „სულიერი კრიზისი“, „საკუთარ ძალებში ისტორიული რწმენის კრიზისი“, რაც დასავლეთში ძალზე გავრცელებულ დაავადებად იქცა[93].

ბევრი დასავლეთის მეცნიერი კაპიტალისტურ სამყაროში გამეფებულ უსამართლობას მიაწერს დემოკრატიას და სახელმწიფო მმართველობაში მასების ჩაბმას. მათი აზრით, მასების როლის გაზრდას საზოგადოების ცხოვრებაში მივყავართ კრიზისამდე, რამდენადაც ირღვევა საზოგადოების ნორმალური მდგომარეობა — უმცირესობა უნდა მართავდეს მასებს.

რ. სტრომბერგს მიაჩნია, რომ თანამედროვე ადამიანის მთავარი დილემაა მოთხოვნილება ცხოვრების ღირებულებების მიმართ, რომ ჟამთა სვლას ვერ გაუძლო ვერც რელიგიამ და ვერც პოლიტიკურმა სისტემამ. ადამიანს არაფერი არ დარჩა სარწმუნოდ. ბევრი იბრძვის სოციალური სამართლიანობისათვის, რასობრივი თანასწორობისათვის, სამართლიანი მთავრობისათვის, გაჭირვების დაძლევისათვის, მაგრამ რაში მდგომარეობს თავისუფლება? ცხოვრების მაღალი დონე რა მიზნისათვის არის საჭირო? ადამიანის საბოლოო მიზანი შესაძლებელია თავისუფლება, თანასწორობა და დემოკრატიაა. შესაძლებელია, ისინი ერთად ქმნიან საშუალებას რაღაცა მიზნის მისაღწევად[94], — წერს რ. სტრომბერგი.

კაპიტალისტური სოციალური სისტემის ღირებულებები გადასინჯვას მოითხოვს. ასეთ დასკვნამდე, როგორც ვხედავთ, თვით დასავლეთის მეცნიერები მიდიან, მაგრამ თუ როგორ უნდა მოხდეს ამ ღირებულებათა გადასინჯვა—მათ არ იციან.

---

[93] იხ. Каковы цели — таковы и методы, газ. «Правда», 30 Марта, 1978.
[94] R. Stromberg, op. cit., p. 310—317.

კაცობრიობის მომავალი ბედ-იღბალი აპოკალიფსურ სასოწარკვეთას იწვევს ბურჟუაზიულ მეცნიერებაში, რაც გამოწვეულია დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის მზარდი ავტორიტეტით.

„პირველმა მსოფლიო ომმა შეარყია ევროპა",—წერენ ისინი. დაიწყო იმპერიების დაშლა, რომელთა ადგილზეც წარმოიშვა ახალი ეროვნული სახელმწიფოები. გაიზარდა მასების მონაწილეობა სოციალურ ცხოვრებაში. „ადამიანმა დაკარგა მომავლის რწმენა. ადამიანები, რომლებსაც უწინ ჰქონდათ მშვიდობიანი პროგრესის რწმენა, რამდენადაც არსებობდა დემოკრატია, რაც იძლეოდა ცვლილებების შესაძლებლობას, აღმოჩნდნენ ალტერნატივის წინაშე... შესაძლებელია, რომ იმ ურიცხვ ცვლილებებში, რაც მოიტანა პირველმა მსოფლიო ომმა, გადამწყვეტი იყო კომუნიზმის დამკვიდრება რუსეთში"[95].

ამგვარად, კაპიტალისტური სამყარო, რომლის ცენტრი ყოველთვის იყო დასავლეთი ევროპა, დადგა ალტერნატივის წინაშე: ან სიკვდილი, ან კომუნისტური პერსპექტივა. ე. ტანენბაუმს, მართალია, ევროპის დაცემის ძირითად მიზეზად მიაჩნია პირველი მსოფლიო ომი, მაგრამ მას არ შეუძლია რეაგირების გარეშე დატოვოს სოციალისტური და კომუნისტური იდეების მიმზიდველი ძალა.

დასავლეთში მსოფლიოს სოციალისტური განვითარების გლობალური პერსპექტივები შეშფოთებას იწვევს არა მარტო ბურჟუაზიულ მეცნიერთა შორის, რომლებიც გამოდიან გაბატონებული კლასის ინტერესების დამცველად, არამედ საზოგადოების გარკვეულ წრეებშიც, რომლებიც ქმნიან სხვადასხვა დაჯგუფებებს „დასავლეთის ცივილიზაციის" დასაცავად.

ბურჟუაზიულ მეცნიერთა პროგნოზები არსებითად არ ითვალისწინებენ იმ ძირითად მხარეებს, რაც ქმნის ამა თუ იმ სოციალური ორგანიზაციის საფუძველს: საზოგადოების მატერიალური მხარე — ბუნებრივი გარემო და დემოგრაფიული ფაქტორი, წარმოების წესი და, განსაკუთრებით, წარმოებითი ურთიერთობანი, სახელმწიფოს კლასობრივი ხასიათი და მისი საგარეო პოლიტიკა, კლასობრივ ძალთა თანაფარდობა და ა. შ.

იმისათვის, რომ გაამართლონ ბურჟუაზიულ საზოგადოებაში პერიოდულად განმეორებადი კრიზისების არსებობა, დასავლეთის მეცნიერები ახდენენ მათ გამოტანას „დასავლეთის ცივილიზაციის"

---

[95] Ed. Tannenbaum, op. cit., p. 662.

საზღვრებს გარეთ, რითაც ამტკიცებენ, რომ კრიზისი დამახასიათებულია ყოველი საზოგადოებისათვის, ყოველი „ცივილიზაციისათვის", ე. ი. წარმოადგენს გლობალურ და არა მხოლოდ „დასავლეთის" პრობლემას. ზოგიერთ მათგანს საერთოდ უჭირს განსხვავების დადგენა კრიზისულ და პრობლემატურ მოვლენებს შორის. „გაურკვეველია, რა არის კრიზისი და რა არის პრობლემა, — წერს ს. ვერბა — ნაწილობრივ საეჭვოა ის საკითხი, თუ რამდენად კრიზისულია ესა თუ ის მოვლენა (ე. ი. გამოჩნდება და ქრება). თუ მუდმივი პრობლემაა, რომლის წინაშე დგას კაპიტალისტური სისტემა"[96].

დღეისათვის, რა თქმა უნდა, შეუძლებელია უარვყოთ მრავალი გლობალური პრობლემების არსებობა, ისეთების, როგორიცაა, მაგალითად, მოსახლეობის ზრდა, სამრეწველო რესურსების ნაკლებობა, გარემო სამყაროს გაბინძურება, ნედლეულის წყაროთა თანდათანობით გამოფიტვა, ენერგეტიკული პრობლემა და სხვ., თუმცა ამ პრობლემათა გადაჭრის მეთოდები სხვადასხვა სოციალურ სისტემაში სხვადასხვანაირია.

„გლობალურ საკითხთა თეორიული და პრაქტიკული გადაწყვეტა გულისხმობს ღრმა ანალიზს მათი არსის, იმ რეალური დილემების, რომლებიც დგანან თანამედროვე ცივილიზაციის წინაშე, იმ სპეციფიკური ფორმების, რომლებშიც მათ უხდებათ გამომჟღავნება დაპირისპირებულ — კაპიტალისტურ და სოციალისტურ სისტემათა პირობებში. სხვადასხვა იდეოლოგიისა და სოციალურ-პოლიტიკური ორიენტაციის მეცნიერები და პოლიტიკოსები ამ საკითხზე იძლევიან საპირისპირო, ხშირ შემთხვევაში, ურთიერთგამომრიცხავ პასუხებს. სწორედ ამიტომაც თანამედროვე მეცნიერთა მიერ გლობალური პრობლემების შესწავლა უნდა ეყრდნობოდეს ზოგადსაკაცობრიოსა და სოციალურ-კლასობრივი ურთიერთკავშირის მარქსისტულ-ლენინურ კონცეფციას, რის გარეშეც შეუძლებელია ამ პრობლემათა მეცნიერული გაგება"[97].

სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივანი, სსრკ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ლ. ი. ბრეჟნევი

---

[96] S. Verba, «Sequences and Development», in Leonard Binder and others, Crises and Sequences in Political Development. Princeton, 1971, p. 297.

[97] Журн. «Вопрсы философии», № 1. 1977, с. 8.

აღნიშნავდა: ჩვენ დროში მსოფლიო სოციალურად არაერთგვაროვანია, იგი შედგება სხვადასხვა საზოგადოებრივი წყობილების მქონე სახელმწიფოთაგან. ასეთია ობიექტური ფაქტი, მსოფლიოს სოციალისტური ნაწილი თავისი შინაგანი განვითარებით და თავისი დამოკიდებულებით საერთაშორისო ურთიერთობებთან იძლევა კარგ მაგალითს იმისა, თუ როგორი გზითაა უმჯობესი კაცობრიობის წინაშე მდგარი გლობარული პრობლემების გადაჭრა. მაგრამ, რა თქმა უნდა, მას არ შეუძლია ამ პრობლემების გადაჭრა მთელი კაცობრიობისათვის. აქ აუცილებელია მიზანდასახული მონდომება ყოველი ქვეყნის ხალხისა, აუცილებელია ფართო და კონსტრუქციული თანამშრომლობა ყველა ქვეყნისა და ყველა ხალხისა[98].

ზოგადსაკაცობრიო ამოცანებს მიეკუთვნება ადამიანთა ცივილიზაციის შენარჩუნება დედამიწაზე, მათ შორის დასავლეთისაც.

მსოფლიო უნდა განვიხილოთ, როგორც ერთი, განუყოფადი ერთეული. დღეისათვის დემარკაციული ხაზი გაივლება არა ცივილიზაციათა (იგი ერთიანია და ზოგადსაკაცობრიო), არამედ სოციალურ სისტემათა შორის, ეს კი ერთი და იგივე არ არის. მიუხედავად ამისა, დასავლეთში „დასავლეთის ცივილიზაციის“ ცნება, როგორც უკვე მივუთითებდით, მოიცავს არა კულტურულ-ისტორიულ, არამედ სოციალურ-პოლიტიკურ, ანტიკომუნისტურ აზრს, საიდანაც გამომდინარეობს მისი წარმომადგენლების მისწრაფება — დაამყარონ კონტაქტები, ხშირ შემთხვევაში ჩაერიონ შინაურ საქმეებში, ასწავლონ და უკარნახონ ქცევის ნორმები სხვა „ცივილიზაციებს“ და, პირველ რიგში, სოციალისტურ სახელმწიფოებს. ეს პოლიტიკური კრედო იგრძნობა მეცნიერებაშიც, განსაკუთრებით — მომავლის პროგნოზირებაში, რომლის პროცესში დასავლეთის ცივილიზაცია ექცევა იგივე „მარადიული“ კაპიტალიზმის ჩარჩოებში.

უნდა აღინიშნოს ე. ტოფლერის, შედოუზის და სხვ. დასავლელ მეცნიერთა დამსახურება, რომელთაც შეაგროვეს თანამედროვეობის ობიექტური რეალობის ამსახველი დიდძალი ფაქტობრივი მასალა, მაგრამ ამავე დროს ისინი შორს დგანან იმ აზრიდან, რომ კაცობრიობის წინაშე მდგარი პრობლემების გადაჭრა შესაძლებელია კაპიტალისტური საზოგადოების გარეთ.

თანამედროვე პირობებში კაპიტალიზმი იცვლის თავის ტრა-

---

[98] იხ. Л. И. Брежнев, Ленинским курсом, т. 6, М., Политиздат, 1978, с. 598.

დიციულ მეთოდებს, შეაქვს კორექტივები მართვის სისტემაში. მეცნიერულ-ტექნიკური რევოლუციის მიღწევების გვერდით ფეხს იკიდებს ეკონომიკის ცენტრალიზებული, სახელმწიფოებრივი რეგულირება. ზოგ შემთხვევაში, ზოგიერთ სფეროში და დროის გარკვეულ მონაკვეთზე ადგილი აქვს ეკონომიკის აღმავლობას.

საწარმოო ძალთა შემდგომმა ზრდამ, კაპიტალის კონცენტრაციამ და წარმოების შემდგომმა აღმავლობამ გამოიწვია კაპიტალიზმის წარმოებით ურთიერთობათა და მის მიერ განპირობებული სამეურნეო მექანიზმის გარკვეული მოდიფიკაცია. „მიმდინარე ნახევარი საუკუნის მანძილზე კაპიტალიზმმა განვლო იმხელა გზა მონოპოლიიდან გასახელმწიფოებრიობამდე, — აღნიშნავს ნ. ინოზემცევი, — რომ ამან დატოვა სერიოზული კვალი როგორც მონოპოლიებზე, ასევე სახელმწიფოზე და მთელ თანამედროვე ბურჟუაზიული წყობილების სამეურნეო მექანიზმზე“[99].

ომისშემდგომ პერიოდში დასავლეთში გარკვეულმა ეკონომიკურმა აღმავლობამ („ეკონომიკური საკვაულების“ მთელი სერია დასავლეთ გერმანიაში, იაპონიაში, იტალიასა და სხვა ქვეყნებში) გავლენა იქონია მეცნიერულ აზრზეც. გაჩნდა ახალი კონცეფციები, რომლებიც ახდენენ მეცნიერულ-ტექნიკური მიღწევების აპოლოგიას კაპიტალიზმის პირობებში. წარმოიშვა ახალი მტკიცება, რომ შესაძლებელია „ჰეტეროგენულ“ ცივილიზაციათა შორის არსებული ზღვარის აღმოფხვრა, რომ ეს პროცესი საბოლოოდ მოახდენს „ჰეტეროგენული“ ცივილიზაციების ტრანსფორმირებას ერთიან „თანამედროვე (ე. ი. კაპიტალისტურ) საზოგადოებად“. ხოლო ეს უკანასკნელი კი გაუმკლავდება ისეთ პრობლემებს, როგორიცაა „ომი და მშვიდობა“, ვინაიდან მოხდება ცივილიზაციათა ძალების უნიფიკაცია[100].

ა. ტოინბი გამოთქვამს რწმენას, რომ მომავალში მსოფლიოს მთელი დასახლებული ნაწილი იქცევა დიდ ქალაქად, რომ თანამედროვე ქალაქები გაერთიანდებიან, ე. წ. „მსოფლიო პოლისებად“. ისეთი დისციპლინის წარმოშობა, როგორიცაა ეკისტიკა — ხალხთა დასახლების შესწავლა — მიუთითებს, თუ რაოდენ აქტუალური და პრაქტიკულად ცხოველმყოფელი გახდა ეს საკითხი[101].

---

[99] Н. Н. Иноземцев, Ленинская теория империализма и современность. журн. «Коммунист», № 6, 1974, с. 58.

[100] იხ. R. S. Aron, op. cit., pp. 295—296.

[101] იხ. A. Toynbee, Experiences, pp. 42—44.

დასავლეთგერმანელი მეცნიერი ვოლფგანგ აბენდროტი განვითარებადი და განვითარებული ქვეყნების უნიფიკაციას აუცილებელ პირობად მიიჩნევს ცივილიზაციის შესანარჩუნებლად, ამ უკანასკნელის კატასტროფისაგან ასაცილებლად[102].

ვ. ი. ლენინი აღნიშნავდა, რომ საზოგადოებრივ განვითარებას გააჩნია „ტენდენცია ერთიანი, ყველა ერის პროლეტარიატის მიერ საერთო გეგმით მოწესრიგებული, მსოფლიო მეურნეობის როგორც მთელის შექმნისაკენ, ტენდენცია, რომელიც სავსებით აშკარად გამომჟღავნდა უკვე კაპიტალიზმის დროს, აუცილებლად განვითარდება შემდგომ და სავსებით დასრულებულ სახეს მიიღებს სოციალიზმის დროს“[103].

[დასავლეთის მეცნიერთა ნაშრომები ქმნიან ილუზიას თითქოსდა ინდუსტრიული დასავლეთის ბაზაზე მოხდება პლანეტარული ცივილიზაციის შექმნა.]

ამ თემაზე აგებული კონცეფციები უხვადაა: დ. ბელისა და ჰ. კანის „პოსტინდუსტრიული საზოგადოება“, ზ. ბჟეზინსკის „ტექნოტრონული საზოგადოება“, ჯ. გელბრეიტის „ახალი ინდუსტრიული საზოგადოება“, ე. ტოფლერის „სუპერინდუსტრიული ცივილიზაცია“ და ა. შ.]

ეს კონცეფციები, რომელთაც საფუძვლად უდევს „მოდერნიზაციის“ თეორია, გახდა რუსეთის რევოლუციის ინტერპრეტაციის საფუძველი, როგორც საზოგადოების სოციალური და ეკონომიკური გარდაქმნების ერთ-ერთი ვარიანტი. ამასთანავე არ აღინიშნება განსხვავება სოციალიზმსა და კაპიტალიზმს შორის. ამგვარად სოციალური რევოლუციის არსი დაიყვანება შიდაფორმაციულ ჰოვლენამდე და ფაქტობრივად შენაცვლებულია ცალკეულ ჯგუფებს შორის არსებული კონფლიქტით[104].

ამასთან დაკავშირებით დასავლეთგერმანელი მეცნიერი ტ. შიდერი წერდა: „ყველა სოციალურ მოვლენას, კაპიტალიზმსა და

---

[102] იხ. W. Abendroht. Planung und Klassenlose Gesellschaft. Planung in Rechnung auf eine Klassenlose Gesellschaft. «Der Criff nach der Zukunft», München, 1964, S. 261.

[103] ვ. ი. ლენინი, თხზ., ტ. 31, გვ. 167.

[104] იხ. Б. Марушкин, Г. Иоффе, Н. Романовский. Три революции в России и буржуазная историография. Изд. «Мысль», М. 1977, с. 6.

კომუნიზმს შორის განსხვავების ჩათვლით, მხოლოდ მეორეხარისხოვანი მნიშვნელობა აქვს"[105].

ეს თეორიები, რომლებიც გულისხმობენ ცივილიზაციათა ჰომოგენიზაციას, ახალი არ არის. უნგრელი ფილოსოფოსი ი. სიგეტი კონვერგენციის თეორიის ფესვებს პოულობს ჰ. სპენსერთან, ბერტრან. რასელთან და მის შეუღლესთან დორა რასელთან: „ბერტრან რასელი და მისი მეუღლე დორა რასელი წიგნში „ინდუსტრიული ცივილიზაციების პერსპექტივები" (1922), დაწერილი ჩინეთში და საბჭოთა კავშირში მათი მოგზაურობის შემდეგ, კვლავ დაუბრუნდნენ ამ თეორიას, ჩამოაშორეს რა მას XIX საუკუნის მტვერი. ამ ნაშრომში გაისმა თეზისი, რომლის მიხედვითაც „დღეისათვის მნიშვნელოვანია არა ბრძოლა სოციალიზმსა და კაპიტალიზმს შორის, არამედ ბრძოლა ინდუსტრიულ ცივილიზაციასა და ჰუმანიზმს შორის". თუმცა ცოლ-ქმარი რასელების სუბიექტური სიმპათიები სოციალიზმის მხარეს იყო, ობიექტურად ეს თეორია მიმართული იყო მეცნიერული სოციალიზმის წინააღმდეგ. მას შემდეგ ამ თეორიის მომხრეთა სუბიექტური სიმპათიები გაიფანტა, ხოლო ანტისოციალისტური ხასიათი შერჩა და პოლიტიკური ანტიკომუნიზმის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი საფუძველი გახდა"[106].

ამ თეორიის მიხედვით, სოციალიზმი და კაპიტალიზმი „ერთიანი თანამედროვე საზოგადოების" სხვადასხვა სახეობები არიან. რაც შეეხება მტკიცებას კაპიტალიზმის პირობებში შუდმივი მშვიდობის არსებობის შესახებ, როგორც დაადასტურა აღნიშნული საზოგადოებრივი სისტემის მთელმა ისტორიულმა მსვლელობამ, იგი ყოველგვარ საფუძველს მოკლებული პროპაგანდისტული მტკიცებაა, ისევე როგორც მითი „მესამე სამყაროს" ქვეყნებში დასავლეთის დიდი ცივილიზატორული მისიის შესახებ.

ვ. ი. ლენინი აღნიშნავდა: „...ისეთი „მარტივი" და ნათელი საკითხიც კი, როგორიც არის ომისა და ზავის საკითხი, არ შეიძლება სწორად იქნას დაყენებული, თუ მხედველობიდან გავუშვით თანამედროვე საზოგადოების კლასობრივი ანტაგონიზმი, თუ მხედველობიდან გავუშვით, რომ ბურჟუაზია ყველა და ყოველგვარი თავისი გამოსვლის დროს, რა დამოკრატიული და ჰუმანიტარულიც

---

[105] Th. Schieder, Grundfragen der neuren deutschen, Geschichte. «Historische Zeitschrift», 1961, Bd. 192, S. 3—4.

[106] Зарубежные марксисты в борьбе против буржуазной идеологии. Изд. «Прогресс», М., 1971, с. 151—152.

უნდა გვეჩვენებოდეს ეს გამოსვლები, იცავს უწინარეს ყოვლისა და ყველაზე მეტად თავისი კლასის ინტერესებს, „სოციალური ზავის“ ინტერესებს, ე. ი. ყველა ჩაგრულ კლასთა დათრგუნვისა და განიარაღების ინტერესებს. ამიტომ ზავის საკითხის პროლეტარული დაყენება ისევე აუცილებლად განსხვავდება და უნდა განსხვავდებოდეს ამ საკითხის ბურჟუაზიულ-დემოკრატიული დაყენებისაგან, როგორც ამას ადგილი აქვს თავისუფალი ვაჭრობის, ანტიკლერიკალიზმისა და სხვათა მიმართ. პროლეტარიატი იბრძვის და ყოველთვის შეუპოვრად იბრძოლებს ომის წინააღმდეგ, მაგრამ ამავე დროს ერთი წუთითაც არ დაივიწყებს, რომ ომების მოსპობა შესაძლებელია მხოლოდ მაშინ, თუ სრულებით მოისპობა საზოგადოების დაყოფა კლასებად, რომ სანამ არსებობს კლასობრივი ბატონობა, არ შეიძლება შევაფასოთ ომი მხოლოდ დემოკრატიული სენტიმენტალური თვალსაზრისით, რომ ექსპლუატატორულ ერთა შორის ომის დროს საჭიროა განვასხვავოთ ამა თუ იმ ერის პროგრესული და რეაქციული ბურჟუაზიის როლი“[107].

დასავლეთში სოციალური მოვლენების შესწავლა ხშირად ხდება სოციალური და ბიოლოგიური რიტმების ფონზე. აჩქარებულ რიტმებს ეწოდება აქსელერაცია, შენელებულს — რეტარდაცია. სხვადასხვა სოციალური მოვლენები სხვადასხვა ტემპით ვითარდება. სწორედ რიტმების ეს არასინქრონულობა წარმოშობს წინააღმდეგობას სხვადასხვა სოციალურ მოვლენებს შორის. ბურჟუაზიული მეცნიერება „დასავლეთის ცივილიზაციისათვის“ დამახასიათებელ წინააღმდეგობებს ხსნის ტექნიკის უკიდურესად სწრაფი ზრდით, რომ ამ ზრდის ტემპი ბევრად უსწრებს და ამდენად წინააღმდეგობაშია ადამიანთა ფსიქიკური განვითარების ტემპებთან. ისინი ცდუნდებენ ამ პროცესის გათანაბრებისაკენ, ბალანსირებისაკენ, რათა ტექნიკის განვითარება ხდებოდეს ადამიანის ფსიქიკის განვითარების ადეკვატურად. ამასთანავე საზოგადოების სოციალური სტრუქტურა განიხილება განკერძოებულად, პოლიტიკურ ფორმებთან მიმართების გარეშე, მაგალითად, ამერიკელი სოციოლოგი ე. ტოფლერი არ უარყოფს, რომ კაპიტალისტური საზოგადოების სოციალური სტრუქტურა ვეღარ ახერხებს ტრადიციული მეთოდებით განაგრძოს თავისი ფუნქციონირება, მაგრამ ამ მოვლენას იგი ხსნის იმ ფაქტით, რომ დადგა ადაპტაციის ისტორიული კრიზისის

---

[107] ვ. ი. ლ ე ნ ი ნ ი, თხზ., ტ. 8, გვ. 309—310.

ერა. ახალი სოციალური გარემო იმდენად განსხვავდება და არ ჰგავს უწინდელს, რომ ადამიანს აღარ ძალუძს მასთან შეგუება.

„მილიონობით ადამიანი გრძნობს პათოლოგიას, რომელიც ბატონებულია ირგვლივ, მაგრამ არ ესმის მისი არსი, — წერს იგი. ეს არსი არ უნდა ვეძებოთ პოლიტიკურ დოქტრინაში, მეცნიერებასა თუ ტექნიკაში ან სოციალური გარდაქმნების სხვა კანონზომიერ მოთხოვნებში. მის ნაცვლად მათი შემჩნევა შეიძლება ჩვენგან დამოუკიდებლად არსებულ ჩვენს უსწრაფეს მოძრაობაში, რომელიც მიმართულია მომავლისაკენ და რომელიც არ ემორჩილება არავითარ კონტროლს. ისინი დაკავშირებული არიან ჩვენს უძლურებასთან წარვმართოთ, ჩვენ შეგნებაში თუ პრაქტიკაში, პროგრესი სუპერინდუსტრიალიზმისაკენ"[108].

ამგვარად, ბურჟუაზიული საზოგადოების სოციალური ორგანიზაციის პათოლოგია, რომლის შიჩქმალვაც შეუძლებელია, აიხსნება მართვის ფორმათა არასრულყოფილებით. მათი აზრით, ტექნიკის განვითარების ტემპები უნდა ლიმიტირებულ იქნეს; რამდენადაც მისმა უკიდურესმა განვითარებამ შეიძლება გამოიწვიოს ისეთივე გამანადგურებელი შედეგი, როგორიც მისმა შეკავებამ.

[ე. ტოფლერის აზრით, კრიზისებისა და კატასტროფების თავიდან აცილება შესაძლებელია „ტექნიკის განვითარების" ფენომენის ღრმა შესწავლით. „არ შეიძლება დავუშვათ, რომ ტექნიკა ბატონობდეს საზოგადოებაში"[109], — წერს იგი.]

XX საუკუნის მიჯნაზე დაიწყო ახალი მძლავრი რევოლუციური გადატრიალება: რენტგენის სხივებისა და რადიოაქტივობის აღმოჩენა, პლანკის კვანტური თეორია, აინშტაინის ფარდობითობის თეორია, რეზერფორდისა და ბორის მიერ ატომის სტრუქტურის დადგენა და სხვ. ყოველივე ამან შექმნა თანამედროვე მეცნიერულ-ტექნიკური რევოლუციის საფუძვლები.

არსებობს მრავალი ბურჟუაზიული მითი, რომლებშიც მეცნიერება წარმოდგენილია როგორც დემონი. მარქსისტები ყველა ამ თეორიას კრიტიკის ქარცეცხლში ატარებენ. ისინი მეცნიერებისა და ტექნიკის პროგრესისათვის დამახასიათებელ წინააღმდეგობებს ხსნიან კლასობრივი შინაარსით.

„კაპიტალისტური ქვეყნების იდეოლოგებისათვის დამახასიათებელი მოვლენაა მეცნიერულ-ტექნიკური რევოლუციის დადანაშა-

---

[108] A. Toffler, Future Schock, N. Y., 1970, p. 325.
[109] Ibid., p. 388.

ულება ყველა სოციალურ უსამართლობაში, რაც დამახასიათებელია კაპიტალისტური სისტემისათვის.

ჩვენ ქვეყანაში მეცნიერულ-ტექნიკური რევოლუციის მონაპოვარი გამოიყენება საზოგადოების საკეთილდღეოდ, ხოლო კაპიტალიზმის პირობებში მატერიალურ-ტექნიკური პროგრესის მონაპოვარით სარგებლობს საზოგადოების მხოლოდ მცირერიცხოვანი, „პრივილეგიური" ნაწილი. თანამედროვე მეცნიერულ-ტექნიკური რევოლუცია ვერ თავსდება კაპიტალიზმის წარმოებით ურთიერთობებში.

შიში თანამედროვე მეცნიერულ-ტექნიკური რევოლუციისადმი იმდენად დიდია, რომ ა. ტოინბი დაპირისპირებულობას ადამიანსა და ტექნიკას შორის აიგივებს მესამე მსოფლიო ომთან, რომელიც წარმოებს უიარაღოდ. მაგრამ ისევე უკომპრომისოდ. როგორც წარმოებდა პირველი და მეორე მსოფლიო ომები[110].

ამერიკელი პუბლიცისტი უ. კინტერი წერდა: „ტექნიკური რევოლუცია წარმოშობს პრობლემებს, რომლებიც დაკავშირებული არიან რესურსების ნაკლებობასთან, გარემო სამყაროს გაბინძურებასა და დედამიწაზე სოციალურ სამართლიანობასთან... ქრონიკული უმუშევრობა, მუდმივი ინფლაცია... მდიდარ და ღარიბ ქვეყნებს შორის ზღვარის ზრდა"[111].

70-იანი წლების დასაწყისში წინა პლანზე დგება და დიდ პოპულარობას აღწევს სხვადასხვა თეორიები „ბუნების, შრომის და ა. შ. ჰუმანიზაციის" შესახებ.

არავისათვის ეჩვეს არ წარმოადგენს, რომ ეკოლოგიური კატასტროფა ყველაზე ჭნიშვნელოვანია იმ კატასტროფათაგან, რომელმაც შეიძლება ბოლო მოუღოს თანამედროვე ცივილიზაციას (გარემო სამყაროს დაბინძურება, ბუნებრივი რესურსების გამოფიტვა, დემოგრაფიული აფეთქება და ა. შ.). ფრანგი მეცნიერი ფ. სენ-მარკი ჩვენ საუკუნეს „ბუნების საუკუნეს" უწოდებს. იგი წერს: „მიწათმოქმედების საუკუნე" XVIII საუკუნის ბოლომდე აღინიშნებოდა ეკონომიკის დაჭვემდებარებით ბუნების კანონებისადმი და აღტაცებით შელამაზებული შიშით ფიზიკური სამყაროსადმი, რომელიც ჯერ კიდევ ატარებდა ღვთაებრივი ქმნილების ბეჭედს. ეს იყო საუკუნე, რომელშიც პასკალმა წამოიძახა: „ამ უსასრულო სივრცეების მუდმივი დუმილი მაშინებს მე!" შემდეგ,

---

110 იხ. A. Toynbee, Experiences, p. 377.

111 «Orbis», 1973, v. XVII, № 3, pp. 23—26.

XX ასწლეულის პირველი ნახევრის ბოლომდე იყო „მრეწველობის საუკუნე". ეს უკანასკნელი აღინიშნებოდა ისეთი ეკონომიკური აქტივობით, რომელიც არ ემორჩილება ბუნებრივი კანონების რიტმს — საუკუნე, რომელიც აღინიშნებოდა ბუნებაზე გაბატონების სურვილით, ბუნების წარმმართველი ახალი კანონების აღმოჩენით.

ახლა ჩვენ შევედით „ბუნების საუკუნეში" — ახალ ეპოქაში, როცა ბუნების სივრცეების უკმარისობა და არამყარობა ყველაზე დრამატული პრობლემა ხდება ადამიანის მომავლისათვის და მისი გადარჩენისათვის. ორ ცოცხალ სისტემას — ადამიანსა და ბუნების სამყაროს — შორის არსებულ ბრძოლაში დგება შემობრუნების ისტორიული მომენტი.

პირველი ორი „საუკუნის" განმავლობაში ადამიანი შიშით ეკიდება ბუნების სამყაროს, მის სიძლიერეს, მის უსაზღვრო სივრცეებს; დასაწყისში იგი ემორჩილებოდა ამ სამყაროს, შემდეგ „მრეწველობის საუკუნეში" იგი ცდილობდა მასზე გაბატონებას.

დღეს საუბარი გვაქვს არა ბუნებაში ადამიანის დაცვის შესახებ, არამედ ბუნების დაცვის შესახებ... არ შეიძლება დავუშვათ, რომ ბუნების განადგურებით კაცობრიობამ გაინადგუროს თავი"[112].

ტექნიკური პროგრესის საფუძველზე ხდება ღრმა ცვლილებები ფიზიკურ და სულიერ გარემოში. რა თქმა უნდა, ეს ცვლილებები არაადეკვატურად მიმდინარეობს ორივე ზემოხსენებულ გარემოში. წარმოიშვება დაპირისპირებულობა; მეცნიერება და ტექნიკა კონფლიქტში შედის ტრადიციულ ჰუმანისტურ კულტურასთან და ღირებულებათა სისტემასთან. წიგნში „დასავლეთი ცივილიზაცია"[113], რომელიც შედგენილია ამერიკელ მეცნიერთა ჯგუფის მიერ ვკითხულობთ, რომ კაცობრიობას მთელი თავისი ხანგრძლივი პლანეტარული გამოცდილების მანძილზე უხდებოდა აეტანა უკმარისობანი, რაც გამოწვეულია ფიზიკურ და სოციალურ გარემოს შორის არსებული წონასწორობის დარღვევით. ამ წინააღმდეგობის გადასალახავად, მათი აზრით, საჭიროა მყარი წონასწორობის შენარჩუნება გარემოსთან. რომელმაც არ უნდა განიცადოს მნიშვნელოვანი დამახინჯებანი. სწორედ ბუნებასთან ასეთი გონიერი

---

[112] ფ. Сен-Марк. Социализация природы, Изд. «Прогресс». М., 1977, с. 54.

[113] იხ. T. Walter Wallbank, Alastair M. Taylor, Nels M. Bailkey, op. cit., pp. 4—5.

დამოკიდებულების შედეგი იყო ის, რომ უწინდელ საზოგადოებებს არ ჰქონდათ ეკოლოგიური პრობლემები.

გარემო ფაქტორებსა და სოციალურ პროცესს შორის ბალანსირებაში უმნიშვნელოვანესი ადგილი უჭირავს საზოგადოების დემოგრაფიულ მდგომარეობას, ამ უკანასკნელის საჭიროებისდა მიხედვით ნულოვან მატებას, ე. წ. მყარ სახელმწიფოზე გადასვლას. ისტორიული მონაცემები მართლაცდა ამტკიცებენ, რომ ყველა უწინდელი საზოგადოებისათვის დამახასიათებელი იყო მყარ სახელმწიფოზე გადასვლა. „იმის გამო, რომ ჩვენი პლანეტა და მისი მარაგი განსაზღვრულია გარკვეულ დონემდე, ჩვენი საზოგადოება შზად უნდა იყოს იმისათვის, რომ მოახდინოს გადასვლა ექსპონენციალური ზრდიდან ნულოვან ზრდამდე. ამით ჩვენ ვგულისხმობთ ადამიანთა რაოდენობის მაქსიმალურ დონემდე განსაზღვრას; ადამიანებისა, რომლებითაც დასახლებული იქნება ეს პლანეტა და, რომლებიც გარანტირებული იქნებიან ცხოვრების მინიმალური დონითა და ამ დონის უზრუნველსაყოფად ვარანტირებული იქნება დედამიწის წიაღისეულის ექსპლუატაცია. სხვა შემთხვევაში რამდენიმე ათწლეულში მოსალოდნელია უპრეცედენტო ეკოლოგიური კატასტროფა, მაგრამ ჩვენ აქ ვსაუბრობთ რაოდენობრივ და არა ხარისხობრივ ნულოვან ზრდაზე“[114].

თანამედროვე ბურჟუაზიული ფილოსოფია ეშვეშეშ აყენებს მეცნიერული ცოდნის ჭეშმარიტებას, რაც იწვევს საზოგადოების უნდობლურ დამოკიდებულებას მეცნიერებისა და ტექნიკისადმი; წარმოიქმნება კონფლიქტი მათ შორის. ვერ პოულობს რა „გამოსავალს“ არსებული კონფლიქტიდან, საზოგადოება მიმართავს ისეთ ირაციონალურ პრაქტიკას, როგორიცაა: მაგია, სპირიტიზმი და ა. შ.

მარქსიზმ-ლენინიზმისათვის უცნობია როგორც ბურჟუაზიულ-ტექნოკრატიული სციენტიზმი, ასევე წვრილბურჟუაზიული რომანტიკული ნიჰილიზმი. კომუნისტები იბრძვიან სოციალური პესიმიზმის, მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესისადმი შიშის წინააღმდეგ.

თავის დროზე ჯერ კიდევ კ. მარქსი წერდა: „მანქანის კაპიტალისტური გამოყენებისაგან განუყრელი წინააღმდეგობანი და ანტაგონიზმები არ არსებობენ, ვინაიდან მათ თვით მანქანა კი არ წარმოშობს, არამედ — მისი კაპიტალისტური გამოყენებაო! მაშასადამე,

---

114 Ibid., p. 5.

რადგან მანქანა, თავისთავად განხილული, სამუშაო დროს ამოკლებს, მაშინ როდესაც მისი კაპიტალისტური გამოყენება სამუშაო დღეს აგრძელებს, რადგან იგი თავისთავად შრომას აადვილებს, ხოლო მისი კაპიტალისტური გამოყენება აძლიერებს შრომის ინტენსივობას, რადგან იგი თავისთავად ბუნების ძალებზე ადამიანის გამარჯვებას მოასწავებს, ხოლო მისი კაპიტალისტური გამოყენება ბუნების ძალთა მეშვეობით ადამიანს იმონებს, რადგან იგი თავისთავად მწარმოებლის სიმდიდრეს ამრავლებს, ხოლო მისი კაპიტალისტური გამოყენება მას აღატაკებს და სხვ., — ამიტომ ბურჟუაზიული ეკონომისტი უბრალოდ აცხადებს; თავისთავად მანქანის განხილვა თვალსაჩინოდ ამტკიცებს, რომ ყველა ეს აშკარა წინააღმდეგობა მხოლოდ უგვანო სინამდვილის მოჩვენებითი გარეგნობაა, თავისთავად კი, მაშასადამე, თეორიაშიც ეს წინააღმდეგობანი სრულიად არ არსებობენო. ამრიგად, იგი თავს აღარ იმტვრევს ფიქრით და, გარდა ამისა, სისულელეს მიაწერს თავის მოწინააღმდეგეს, ვითომც ეს უკანასკნელი თვით მანქანას ებრძვის და არა მის კაპიტალისტურ გამოყენებას"[115].

ედ. ტანენბაუმი ტექნიკურ პროგრესს განიხილავს როგორც კაცობრიობის ისტორიის მთავარ მიზანს და ამართლებს ყველა საშუალებას, რაც კი გამოიყენება ამ მიზნის მისაღწევად. მისი აზრით, მასობრივი საზოგადოების არსებობა ტექნოლოგიის გარეშე წარმოუდგენელია.

კარტერ ჯეფერსონი არ უარყოფს იმ მოვლენებს, რაც მოაქვს ტექნოლოგიზაციას, მაგალითად, სახე იცვალა ისეთმა მნიშვნელოვანმა ინსტიტუტმა, როგორიცაა ომი. ეს უკანასკნელი. თანამედროვე ტექნოლოგიის პირობებში გახდა გამანადგურებელი. მაგრამ ტექნოლოგიამ მოიტანა მოდერნიზაცია, ხოლო მოდერნიზაცია მოქმედებს ერთი მიმართულებით — პროგრესისაკენ.

„ტექნიკური პროგრესი, — წერს იგი, — ნაციონალიზმის გავრცელება და გაძლიერება, გაძლიერებული სახელმწიფო კონტროლი ცხოვრების ყველა სფეროში და სიმდიდრის უფრო ფართო მასშტაბით განაწილება—ყოველივე ეს არის მოდერნიზაციის ნიშნები. პირველი მსოფლიო ომის მსგავსად, მეორე მსოფლიო ომმაც, რომელიც უფრო ფართო მასშტაბის იყო და უფრო დესტრუქციული,

---

115 კ. მ ა რ ქ ს ი. კაპიტალი. საქართველოს სსრ სახელმწიფო გამომცემლობა. 1954. ტ. 1, გვ. 558—559.

დააჩქარა მოდერნიზაციის ტემპი და გაზარდა მისი შემდგომი მსვლელობის მოთხოვნა"[116].

„როდესაც ტექნიკა ხდება მატერიალური წარმოების უნივერსალური ფორმა — ამტკიცებს ჰ. მარკუზე, — იგი განსაზღვრავს თავის კულტურას და ქმნის ისტორიულ მთლიანობას — სამყაროს"[117].

რ. სტრომბერგი არ უარყოფს საზოგადოების განვითარების პროგრესს, ტექნიკის ეფექტიანობის ზრდას, მეცნიერული ცოდნის აღმავლობას, მაგრამ, მეორე მხრივ, მისი აზრით, საზოგადოებრივი ცხოვრების სხვა სფეროები, მაგალითად, ხელოვნება, მორალი, პოლიტიკაც კი ერთი და იგივე დონეზე რჩება ან უარესდება.

დაინტერესებულია რა ცივილიზაციის დეკადანსის საკითხებით, იგი იხილავს ისეთ ავტორებს, როგორებიც არიან შოპენჰაუერი და ნიცშე. როგორც ცნობილია ნიცშე თავის წიგნში „ტრაგედიის დაბადება" განიხილავს დასავლეთის ცივილიზაციის დეკადანსის პროცესს ისეთი ადრეული ხანიდან, როგორიცაა სოკრატესა და პლატონის ეპოქა, როდესაც ყოველდღიურ ცხოვრებაში გაბატონდა ლოგიკა და რაციონალიზმი. სტრომბერგი იზიარებს ნიცშეს შეხედულებას, რომ ცხოვრების ინტელექტუალიზაცია და რაციონალიზაცია მთავარი ფაქტორებია ცივილიზაციის დეკადანსის პროცესში. „დასავლეთის ადამიანმა, — წერს იგი, — დაკარგა რწმენის უნარი. ინტელექტუალიზაციამ იგი მიიყვანა სკეპტიციზმამდე, ერთადერთი გამოსავალი პრიმიტივიზმისაკენ მობრუნებაა, რომელიც შემოგვაბრუნებს უკან გმირობისაკენ"[118].

ამგვარად, ნიცშე რ. სტრომბერგისათვის XX საუკუნის მთავარი წინასწარმეტყველია, რომელმაც დასავლეთის ცივილიზაციას უწინასწარმეტყველა დეკადანსი. მისი აზრით, XX საუკუნის საშინელებანი—ომი, ცეზარიზმი და ა. შ. შთამომავლობითი შემკვიდრეობებია, რომელიც დასავლეთის ცივილიზაციამ მემკვიდრეობით მიიღო ბერძნული ცივილიზაციიდან. რ. სტრომბერგი გულისწყრომით ლაპარაკობს, რომ ნიცშეს შიში მომავლისა და მისი „ტრაგედიის დაბადება" ყურად არ იღო დასავლეთის საზოგადოებამ. ინტელექტუალური

---

[116] Ed. Tannenbaum, op. cit., p. 777.

[117] H. Marcuse. Der endimensionale Mensch. Berlin (West), 1967, S. 154.

[118] R. Stromberg, op. cit., p. 182.

ელემენტი, რომელიც აუცილებელია ცივილიზებული საზოგადოებისათვის, ძირს უთხრის ამ უკანასკნელს.

„შეიძლება ცივილიზაციის არსებობა ამ საფუძველზე, ე. ი. ღმერთის რწმენის, მეტაფიზიკის გარეშე, ნუთუ საკმარისია მხოლოდ მეცნიერება და ტექნიკა, რომლებიც ძალიან კარგად აკმაყოფილებენ ჩვენ მოთხოვნებს, მაგრამ არ იძლევიან არავითარ ღირებულებებს გარდა იმისა, რომ კვლავ გავზარდოთ მოთხოვნილებანი?— სვამს კითხვას რ. სტრომბერგი და განაგრძობს — ემუქრება თუ არა ჩვენს საზოგადოებას“ „fissiparous“[119] სულისა და ღირებულებების ყოველგვარი ერთიანობის გარეშე?[120]. აქედან ვხედავთ, თუ რამდენად უარყოფითია რ. სტრომბერგის დამოკიდებულება თანამედროვე ცივილიზაციის მიმართ,- რომელიც, მისი აზრით, გახდა მთლიანად პოზიტიური და დაკარგა სულიერი ღირებულებები.

რ. სტრომბერგს მიაჩნია, რომ თანამედროვე დასავლეთის ცივილიზაცია განიცდის დეკადანსს. ამ უკანასკნელს იგი აღმოაჩენს სხვადასხვა ნიშნებში, რომელთაგანაც უმთავრესია წინააღმდეგობა ტექნიკასა და ჰუმანურობას შორის და აქვე დასძენს, რომ ეს წინააღმდეგობა არ არის სპეციფიკური მხოლოდ დასავლეთის ცივილიზაციისათვის. გამოდის, რომ ყველა ცივილიზაცია (რამდენადაც ზემოთ აღნიშნული წინააღმდეგობა ყოველი მათგანისათვის არის დამახასიათებელი) თანამედროვე ეტაპზე ვითარდება არა პროგრესულად, არამედ რეგრესულად — განიცდის დაცემას. თუ გავშიფრავთ წინააღმდეგობის შინაარსს ტექნიკასა და ჰუმანურობას შორის, არ შეიძლება ნაწილობრივ არ დავეთანხმოთ რ. სტრომბერგის მოსაზრებას. ადამიანის ფსიქიკა უფრო კონსერვატულია, ვიდრე ტექნიკა — იქმნება გარკვეული შეუსაბამობა სწრაფად განვითარებად ტექნიკისა და ადამიანის ფსიქიკას შორის. ამა თუ იმ ქვეყნის ტექნიკური უპირატესობის არსებობამ შეიძლება განაპირობოს ამ ქვეყნის მისწრაფება გაბატონებული მდგომარეობა დაიკავოს სხვა ქვეყნებზე, რაც იქნება ტექნიკასა და ჰუმანურობას შორის არსებული წინააღმდეგობის ერთ-ერთი მომენტის გამოვლინება.

ვერ ახერხებს რა იპოვოს გამოსავალი საზოგადოებასა და ტექნიკას შორის არსებული კონფლიქტიდან, რ. სტრომბერგი აკეთებს დასკვნას: „ინდუსტრიული საზოგადოება თავისი კლასებით, კონ-

---

[119] „დანაწევრება“.
[120] Ibid., p. 49.

ფლიქტებითა და ფრუსტრაციებით ჯერ კიდევ ძირითადია დასავლეთის ცივილიზაციისათვის"[121].

აქვე უნდა აღვნიშნოთ, რომ რ. სტრომბერგი უარყოფს კ. მარქსის თეორიას ეკონომიკური განვითარების სტადიების შესახებ, ასევე — ჰეგელის თეორიას სამი პოლიტიკური ეპოქის შესახებ. ჯ. ვიკოს მიერ ცივილიზაციების ფაზებად დაყოფას, პარალელს ავლებს ო. შპენგლერისა და ჩ. დარვინის მოძღვრებებს შორის და მიდის იმ დასკვნამდე, რომ მათ მიერ განვითარებული მოსაზრებანი ერთნაირი იყო, განსხვავება იმაში მდგომარეობდა, რომ ისინი თავიანთ მოსაზრებებს გამოხატავდნენ სხვადასხვა ცნებებით.

თუკი ცივილიზაციის კრიზისი, რ. სტრომბერგის აზრით, გამოწვეულია, ერთი მხრივ, ტექნიკასა და საზოგადოებას შორის არსებული კონფლიქტით, მეორე მხრივ, დამნაშავედ გამოყვანილია XIX ს-ის „აპოკალიფსური" იდეოლოგიები: „კრიზისი XIX ს-ის სოციალური იდეოლოგიების დეკადანსია, — წერს იგი, — იდეოლოგიების, რომლებიც აპოკალიფსური რელიგიებია. ეს არის ძირითადად რომანტიკული რწმენის დაკარგვა ისტორიზმის, მესიანისტური ექსპეკტაციების, ზოგადი დასკვნების და ზოგადი განმარტებების მიმართ. ეს მითები შემოწმებული იქნენ და განიცადეს სრული კრახი. სოციალური რეფორმების მიღწევა სხვა საშუალებებით — ასეთია მიზანი. დასაშვებია, რომ ეს ფუნქცია შეასრულოს ნეიტრალურმა მეცნიერებამ, თუ იგი ცარიელი ცნებაა?"[122] — სვამს კითხვას რ. სტრომბერგი.

დასავლეთის მეცნირებთან, განსაკუთრებით ფსიქოანალიტიკოსებთან, ხშირად ვხვდებით აზრს, რომ დასავლეთის სამყარო შეშლილია. ინტერესმოკლებული არ არის თ. ჰოლის შეხედულება, რომელიც თავის წიგნში „კულტურის საზღვრებს მიღმა" აღნიშნავს: „თუმცა შეშლილია არა იმდენად ადამიანი, რამდენადაც შეშლილია მისი ინსტიტუტები და კულტურის მოდელები, რომლებიც განსაზღვრავენ მის მოქმედებას. ჩვენ დასავლეთში გამოვდივართ საკუთარი თავიდან და ბუნებიდან. ჩვენ ბევრ რამეში ვერ ვერკვევით, ერთ-ერთი ეს გაურკვევლობა ის გახლავთ, რომ ჩვენ ცხოვრებაში ვეძიებთ საზრისს, ე. ი. ის, რომ ჩვენ საღ ჭკუაზე ვართ. ჩვენ ამისი მტკიცედ გვჯერა მიუხედავად ფაქტების სიმრავლისა, რომლებიც

---

121 Ibid., p. 320.
122 Ibid., p. 321.

საწინააღმდეგოს გვიმტკიცებენ. ჩვენ ვეწევით ფრაგმენტირებულ, განცალკავებულ ცხოვრებას, რომელშიც წინააღმდეგობები გულმოდგინედ არიან იზოლირებული ერთმანეთისაგან. ჩვენ გვასწავლეს სწორხაზოვნად აზროვნება და არა ყოვლისმომცველად და ჩვენ ასე ვიქცევით არა შეგნებული მიზანდასახულობით, ან არა იმიტომ, რომ ჩვენ უმკუონი ან უნიჭოები ვართ, არამედ ალბათ იმიტომ, რომ ცხოვრებას წარმართავს ღრმა წყალქვეშა კულტურული ნაკადები, ეშმაკურად, მავრამ დიდი თანმიმდევრობით, რაც არ შეიძლება შეგნებულად ჩამოვაყალიბოთ"[123]. „კულტურის" ცნებაში თ. ჰოლი აქცევს ყველა სოციალურ სფეროს, შათ შორის, ეკონომიკას, პოლიტიკას და სხვ. კულტურა თავისი ღირებულებებითა და ნორმებით, მისი აზრით, განსაზღვრავს ადამიანის ყოველგვარ მოქმედებას და არა მარტო განსაზღვრავს — ადამიანს არ შესწევს უნარი წარმართოს კულტურის ნაკადი თავისი სურვილის მიხედვით. გამოდის, რომ კულტურა მართავს ადამიანს და არა ადამიანი კულტურას. ასეთი უმოქმედობისაკენ მიმართული თეზისი დამახასიათებელია აღმოსავლული ფილოსოფიისათვის. დასავლეთმა გაჭირვების ჟამს უკუაგდო თავისი პრაქტიკული თეორია და მიმართა აღმოსავლურს.

იმავე აზრს ვხედებით არა მარტო ისტორიკოსებთან, ფილოსოფოსებთან, სოციოლოგებთან, პოლიტოლოგებთან, არამედ მწერლებთანაც, მაგალითად, გერმანული ლიტერატურის უდიდესი წარმომადგენელი ჰ. ჰესე წერს: „კაცობრიობის თამაში საინტერესო და მრავალფეროვანია: თვითმოტყუება რომლის გამოაშკარავებასაც ათასი წლის განმავლობაში ცდილობდა ინდოეთი, — ეს იგივე თვითმოტყუებაა, რომლის დამკვიდრებასა და გაძლიერებაზე ამდენივე ღონე დახარჯა დასავლეთმა"[124].

ყოველივე ზემოთ აღნიშნულიდან გამოაქვთ ის დასკვნა, რომ ცხოვრების წარმართვა ჩვენ არ შეგვიძლია; არ უნდა ვეძიოთ ცხოვრებაში საზრისი: უნდა მივყვეთ დინებას. ამ მსჯელობას, ჩვენი მხრივ შეგვიძლია დავუპირისპიროთ მეცნიერული მიდგომა შემეცნების საკითხისადმი. მეცნიერებამ კარგა ხანია დაამტკიცა, რომ ადამიანი გონიერი არსებაა და მას შეუძლია ობიექტური სამყაროსა და თავისი საკუთარი არსებობის გააზრება. ამდენად მტკიცება იმისა, რომ

---

[123] T. Hall, Beyond Culture, N. Y., 1977, p.p 11—12.

[124] Герман Гессе. Избранное. Трактат о степном волке. М., 1977, с. 262.

ადამიანს არ შესწევს უნარი ჩასწვდეს ცხოვრების კანონებს, უზუსტობაა.

ისტორიის განხილვას კულტურის სპექტრში ვხვდებით მრავალ ავტორთან. გავრცელებულია აზრი, რომ კულტურა არის ის ძირითადი რგოლი, რომელიც მოიცვა კრიზისმა და რამაც განაპირობა კაპიტალიზმის კრიზისი. თანამედროვე ფილოსოფიაში კონფლიქტი ადამიანი — კულტურა აღიარებულია კაცობრიობის მუდმივ პრობლემად. თუმცა აქ დასავლეთის მეცნიერები ივიწყებენ, რომ სოციალისტურ საზოგადოებაში არ არსებობს და არ შეიძლება ლაპარაკი გვქონდეს ისეთ კონფლიქტზე, როგორიცაა „ადამიანი-კულტურა". კულტურისადმი მარქსისტული დამოკიდებულების საკითხს კარგად აშუქებს ვ. დავიდოვიჩი: „მსოფლიო კულტურის ისტორიული არსებობის ზოგად, გამჭოლ კანონს წარმოადგენს მისი შემოქმედების მემკვიდრეობითობა, მისი შედეგების დაგროვებისა და შერჩევის პროცესი, საზოგადოებრივი საქმიანობის გაობიექტივებული, მუდმივად მზარდი, პროგრესული, მასობრივი შედეგების შემოქმედება და მათი გარდასახვა აქტიურად გამოხატულ კულტურულ-შემოქმედებით თვისებებად.

კულტურის მემკვიდრეობითობა ეს არის კულტურის განვითარების ეპოქათა მონაცვლეობის განუშორებელი, აუცილებელი მომენტი. არ შეიძლება მისი გამიჯვნა სოციალური მემკვიდრებითობის ზოგადი მახასიათებლებისაგან, რომელიც განპირობებულია საზოგადოებრივი ცხოვრების საფუძვლის შინაგანი წინააღმდეგობებით მემკვიდრეობითობის, შემოქმედებითის თაობიდან თაობაზე ესტაფეტური გადაცემის გარეშე. ახალი თაობის წინა თაობების მიერ აგებულ ფუნდამენტზე დაყრდნობის გარეშე პროგრესის შესახებ, წარმოდგენა ხდება ფუჭი და უშინაარსო. გვეელინება რა როგორც „თავისი სხვა" დიალექტიკური უარყოფა, მემკვიდრეობითობა გამოხატავს პირველ რიგში „დადებითის შენარჩუნებას", მაგრამ ამასთანავე, შეიძლება მოიცავდეს „დრომოჭმულ" მომენტებს (მას, რასაც ხანდახან, არცთუ ზუსტად, უწოდებენ „ნეგატიურ მემკვიდრეობითობას"). კონსტრუქციულის და დესტრუქტიულის ურთიერთდამოკიდებულება, მათი მოცილება და შენარჩუნება კულტურის ფენომენის ისტორიული არსებობის ყველა მომენტში წინააღმდეგობრივად გამოიხატება. კულტურის მოვლენათა მემკვიდრეობითობა ემორჩილება „მოხსნის" ზოგადდიალექტიკურ პროცესს, რაც გულისხმობს გადალახვას, შენარჩუნებას და

ახალ, უფრო მაღალ ეტაპზე ასვლას. უარყოფითი კულტურული ფორმების სტრუქტურული ელემენტების შერჩევას, ახალი ფორმის ორგანულ მთლიანობაში შერწყმით მათ შენარჩუნებას, აქვს გამოხატული სოციალურ-კლასობრივი ხასიათი, გაშუალებულია იდეოლოგიური მომენტებით. ეს განსაკუთრებით ნათლად გამოიხატება სოციალისტური კულტურის დამოკიდებულებით კულტურულ მემკვიდრეობასთან.

რევოლუცია სოციალურ ურთიერთობებში გზას იკვლევს. რევოლუციისაკენ კულტურის სფეროში, სწორედ ასეა და არა პირიქით. პრობლემის სწორედ ამ მხარეზე მიუთითებდა კ. მარქსი პ. ვ. ანენკოვისადმი მითითებულ წერილში: „...იმისათვის, რომ არ დაკარგონ ცივილიზაციის ნაყოფი, ადამიანები იძულებული არიან შეცვალონ მემკვიდრეობით მიღებული ყველა საზოგადოებრივი ფორმა“. „განსაკუთრებით უნდა მივაქციოთ ყურადღება ამ სიტყვებს, — აღნიშნავს ვ. დავიდოვიჩი, — იმისათვის, რომ შევინარჩუნოთ ცივილიზაციის ნაყოფი“. მასში ხაზგასმულია ის გარემოება, რომ რევოლუცია არის გადამწყვეტი სოციალური მოქმედება, რომელიც უზრუნველყოფს კულტურის ჭეშმარიტი შედეგების მემკვიდრეობითობას, შერჩევისა და დრომოჭმულის და მოძველებულის ჩაშორებას. რევოლუციურ ქვაბში ხდება წარსულიდან შემონახული და კულტურის მომავლის ფორმებზე გადასატანის გადადნობა და გაერთიანება ახალ, უმაღლეს სინთეზში“[125].

ამგვარად, ყოველგვარი პროგრესი მოიცავს როგორც ევოლუციურ, ისე რევოლუციურ განვითარებას და ცივილიზაციის ბედი, მისი შემდგომი ზრდა და განვითარება დამოკიდებულია იმაზე, თუ რამდენად ეფექტურად მოიშორებს საზოგადოება დრომოჭმულსა და მოძველებულს. საზოგადოებრივი ფორმები მოითხოვენ მუდმივ განახლებას. კულტურა, რომელიც საზოგადოებრივი ცხოვრების ერთ-ერთი ძირითადი რგოლია, არ შეიძლება გავმიჯნოთ საზოგადოების ეკონომიკური მდგომარეობიდან და იდეოლოგიიდან. თუმცა, დასავლეთის მეცნიერთა ნაწილი ამტკიცებს, რომ კულტურა არ შეიძლება დაექვემდებაროს იდეოლოგიას, მას დემოკრატიულ მოვლენად აცხადებს და ამტკიცებს, რომ სხვადასხვა საზოგადოებათა მეტნაკლებად ერთნაირი ცხოვრების დონე უზრუნველყოფს მათ კულტურულ უნიფიკაციას.

---

[125] Журн. «Философские Науки», № 3, 1978, с. 4.

ისეთი დიდი ფიზიკოსი, როგორიც იყო ნილს ბორი, წერდა: „სხვადასხვა საზოგადოებრივი კულტურები ავსებენ ერთმანეთს: ...ძნელად, რომ არსებობდეს კულტურა, რომლის შესახებაც შეიძლება ითქვას, რომ იგი სავსებით თვითმყოფადია, პირიქით, მრავალი მაგალითიდან ჩვენ ვიცით, რომ სხვადასხვა საზოგადოებებს შორის მეტ-ნაკლებმა კონტაქტმა შეიძლება მიგვიყვანოს ტრადიციების თანდათანობით შერწყმამდე, რის შედეგადაც ჩნდება სრულიად ახალი კულტურა... ჰუმანიტარულ გამოკვლევათა უდიდესი პერსპექტივა შეიძლება იმაში მდგომარეობს, რომ კულტურის განვითარების ისტორიის შესახებ ჩვენი ცოდნის სულ უფრო და უფრო განვითარებით ხელი შევუწყოთ ცრურწმენების თანდათანობით აცილებას, რაც ყველა მეცნიერის საერთო მიზანია“[126].

ე. ტოფლერი არა მარტო ტექნიკასთან, არამედ კულტურასთან მიმართებაშიც იყენებს დროის ცნებას. ყოველ კულტურას, მისი აზრით, აქვს თავისი განვითარების ტემპი და სწორედ სხვადასხვა კულტურათა შორის დროის თანაფარდობის დარღვევა წარმოშობს საზოგადოებებს შორის კონფლიქტს. ამ საფუძველზე ხსნის იგი წინააღმდეგობის არსებობას აღმოსავლეთსა და დასავლეთს შორის. ასევე აიხსნება კონფლიქტების არსებობა მშობლებსა და შვილებს, ქმრებსა და ცოლებს შორის და ის ფაქტიც კი, რომ ვერავითარ კონტროლს ვერ უმორჩილებენ ქალაქების, უნივერსიტეტების და ა. შ. ზრდას.

დღემდე ჩვენთვის ცნობილი იყო საზოგადოებათა რასობრივი, ნაციონალური, რელიგიური, იდეოლოგიური დაყოფა. ე. ტოფლერი იძლევა საზოგადოების ახალ დაყოფას, რომელიც დაფუძნებულია ფორმულაზე „ადგილი დროში“. კაცობრიობის ამ ახალ დაყოფას იგი ხსნის დასავლეთში „ახალი საზოგადოების“ აშენების ფაქტით „ჩვენ შევქმენით ახალი საზოგადოება, — წერს იგი, — ჩვენი საზოგადოების არა ახალი ვარიანტი, არამედ ახალი საზოგადოება“[127]. მისი აზრით, 70% დედამიწის მოსახლეობისა შედგება წარსულის ადამიანებისაგან, 25% ესაა ინდუსტრიული ნაწილი, რომელიც ეწევა თანამედროვე ცხოვრებას, ხოლო დანარჩენი 2-3% მომავლის ადამიანები არიან[128].

---

[126] Журн. «Атомная физика и человеческое познание». М., 1961, с. 49.
[127] A. Toffler, op. cit., pp. 39—40.
[128] იხ. Ibid. p. p. 36.

ბურჟუაზიული საზოგადოების „დისჰარმონიის“ შესახებ ჰ. აპტეკერი წერს: „ამერიკის დღევანდელი სიძნელეების მიზეზები წარმოების საშუალებებზე არსებულ კერძო საკუთრებაში და საზოგადოებრივი პროდუქტების მითვისების კერძო კაპიტალისტურ მეთოდებშია. ამერიკის შეერთებული შტატების საზოგადოებრივი ურთიერთობანი მოძველებული და, ამდენად, რეაქციულია. ამაზე მეტყველებს სოციალიზმის იდეების ფართო გავრცელება, კოლონიალიზმის დასასრული. ეს იმას ნიშნავს, რომ ამერიკის შეერთებული შტატების აგრესიული საგარეო პოლიტიკა და რეპრესიული საშინაო პოლიტიკა არაჰუმანურია და ამდენად განწირულია დასაღუპად. ეს პოლიტიკა არაცხოვრებისეულია, ხოლო ამერიკა მთელი თავისი სიმდიდრითა და ძლიერებით მიექანება ერთი კატასტროფიდან მეორესაკენ“[129].

კლასობრივი ანტაგონიზმის არსებობის უარყოფა დასავლეთში არ წარმოადგენს სიახლეს. ე. ტოფლერის აზრით, კლასები აღარ ფუნქციონირებენ. ადამიანის ცხოვრების სტილი განისაზღვრება არა იმ კლასით, რომელსაც იგი მიეკუთვნება, არამედ იმ სუბკულტურით, რომელთანაც დაკავშირებულია იგი.

იმავე შეხედულებას ავითარებს ედ. ტანენბაუმი: „ტრადიციულ კლასობრივ ინტერესებზე დაფუძნებულმა პოლიტიკურმა იდეოლოგიებმა 1950-იან წლებში იწყეს პოპულარობის დაკარგვა იმასთან დაკავშირებით, რომ დაიწყო ეკონომიკური აღმავლობა და გაიზარდა მმართველობის ეფექტურობა. მაღალმა ხელფასებმა, მასობრივი მოხმარების საგანთა სიუხვემ და მომსახურების მაღალმა დონემ საშუალება მისცა ბევრ კვალიფიცირებულ მუშას და მოსამსახურეს მიეღწია მატერიალური კეთილდღეობის ბურჟუაზიული დონისათვის, თუ არა სოციალური სტატუსისათვის. ამ პროცესებმა, სახელმწიფოს კეთილდღეობის ზრდასთან ერთად, შეასუსტა ტრადიციული კლასობრივი ანტაგონიზმი“[130].

დასავლეთის ცივილიზაციის აპოლოგეტთა ლოგიკა გასაგებია — უარყოფენ რა კლასობრივი ანტაგონიზმის არსებობას, ამით დასავლეთის ცივილიზაციას უნარჩუნებენ პრივილეგირებულ სტატუსს. ამტკიცებენ მის უნიკალურობას, უპირატესობას სხვა ცივილიზაციებზე და ქმნიან ილუზიას, თითქოსდა, სხვა ცივილიზაციები-

---

[129] Современная прогрессивная философская и социологическая мысль в США, с. 256.

[130] Ed. Tannenbaum, op. cit., p. 796.

სათვის წარმოუდგენელი იყოს არსებობა იმ მთავარი ნიშნების გარეშე, რომლებიც ახასიათებს დასავლეთის ცივილიზაციას.

„რადგან ცივილიზაციის საფუძველი ისაა, — წერდა ფ. ენგელსი, — რომ ერთი კლასი მეორე კლასის ექსპლოატაციას ეწევა, ამიტომ ცივილიზაციის მთელი განვითარება მუდმივ წინააღმდეგობაში მიმდინარეობს. ყოველი წინგადადგმული ნაბიჯი წარმოებაში მოასწავებს იმავდროულად ნაბიჯის უკან გადადგმას ჩაგრული კლასის, ე. ი. დიდი უმრავლესობის მდგომარეობაში. ყოველი კეთილდღეობა ერთისა აუცილებელი უბედურებაა მეორისათვის, ყოველი ახალი განთავისუფლება ერთი კლასისა ახალი ჩაგვრაა მეორე კლასისათვის. ამის ყველაზე მკაფიო მაგალითს წარმოადგენს მანქანების შემოღება, რომლის შედეგებიც ახლა საყოველთაოდ ცნობილია. თუ ბარბაროსებში, როგორც ზემოთ დავინახეთ, ძლივძლივობით შეიძლებოდა უფლებათა და ვალდებულებათა გარჩევა, ცივილიზაცია ყველაზე გონებაჩლუნგ ადამიანსაც კი ნათლად განუმარტავს მათ შორის არსებულ განსხვავებასა და წინააღმდეგობას, როცა იგი ერთ კლასს თითქმის ყველა უფლებას ანიჭებს, მეორეს კი, პირიქით, თითქმის ყველა ვალდებულებას აკისრებს“[131].

ყველასათვის ნათელია ის ფაქტი, რომ თანამედროვე პირობებში კლასობრივი ბრძოლა ღებულობს განსაკუთრებულ მნიშვნელობას. კლასობრივი ურთიერთობანი განსაზღვრავენ ურთიერთობებს ხალხთა შორის, სახელმწიფოებსა და სისტემებს, ძირითად სოციალურ, პოლიტიკურ და ეკონომიკურ ძალებს შორის. საერთაშორისო პოლიტიკა იქმნება კლასობრივ ძალთა თანაფარდების საფუძველზე. ამა თუ იმ ეპოქაში საერთაშორისო ურთიერთობანი აიხსნება შესაბამისი საზოგადოებრივ-ეკონომიკური ფორმაციით, მასში გაბატონებული კლასების ეკონომიკური და პოლიტიკური ინტერესებით.

დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის შედეგად ჩვენ ქვეყანაში ლიკვიდირებულ იქნა საზოგადოების შიგნით არსებული კლასობრივი ანტაგონიზმი, რამაც დასაბამი მისცა ახალი — სოციალისტური ტიპის ცივილიზაციის შექმნას; ზოგადსაკაცობრიო ცივილიზაციაში ძირეულ გარდაქმნათა ახალ ეპოქას.

დასავლეთის ბევრ მეცნიერს მიაჩნია, რომ „დასავლეთის ცივილიზაციის“ წინაშე მდგარი პრობლემები უნდა გადაიჭრას არა

---

[131] კ. მარქსი, ფ. ენგელსი, რჩეული ნაწერები ორ ტომად. ტ. II, გვ.392—393.

კლასობრივი ბრძოლით, არამედ ახალი ეკონომიკური პოლიტიკით, რადგანაც სწორედ არასრულყოფილი ეკონომიკური პოლიტიკით ხსნიან ისეთ მოვლენათა არსებობას, როგორიცაა რასიზმი, ძალადობა, დამნაშავეობა, ეროვნებათა შორის ბრძოლა და ა. შ.

პოლიტიკური სტაბილურობის შენარჩუნება სწრაფი ეკონომიკური პროგრესის საფუძველზე — ასეთია კაპიტალისტური საზოგადოების მიზნები, რომლის აპოლოგეტად გვევლინება ჰ. კანი. არ უარყოფს რა არსებულ სოციალურ კატაკლიზმებს, ამ უკანასკნელს წარმოგვიდგენს როგორც საზოგადოების ბუნებრივ ატრიბუტს, რომელიც სოციალურ პროგრესში გვევლინება „სტიმულატორად". ჰ. კანის პერსპექტივები — ესაა გლობალური პოსტინდუსტრიალიზაცია, რომელიც უნდა განხორციელდეს ეკონომიკური პროგრესის საფუძველზე[132].

ე. ტოფლერი, მაგალითად, აკრიტიკებს როგორც მარქსისტულ, ასევე კეინსიანურ ეკონომიკურ სისტემებს. მიაჩნია რა, რომ ორივე სისტემა მოძველდა, იგი გვთავაზობს „მომავლის ეკონომიკაზე" გადასვლას. მაგრამ ასეთი გადასვლისათვის საჭიროდ თვლის, პირველ რიგში, ღრმა უთანასწორობის აღმოფხვრას, რომელიც არსებობს მდიდარ და ღარიბ ქვეყნებს შორის. „დედამიწაზე შიმშილის წინააღმდეგ მიმართული ორმოცდაათწლიანი კომპანია, — წერს იგი, — წარმოშობს არა მარტო მორალის დიდებულ გრძნობას, არამედ ასევე ტექნოსაზოგადოებებს მისცემს აუცილებელ დროს მომავლის ეკონომიკაზე უფრო იოლი გადასვლისათვის"[133].

ანალოგიურ აზრს, გლობალური კონფლიქტის თავიდან აცილების მიზნით ეკონომიკის ზრდის ტემპების ლიმიტირებისა და განვითარებადი ქვეყნებისადმი დახმარების აღმოჩენის შესახებ, ვხვდებით სხვა ავტორებთანაც, მაგალითად, რომის კლუბის ისეთ თვალსაჩინო წარმომადგენელთან, როგორიცაა ი. ტინბერგენი[134].

არ შეიძლება არ მივესალმოთ დასავლეთის მეცნიერთა მოწადინებას — დახმარება აღმოუჩინონ განვითარებად ქვეყნებს. მაგრამ, მეორე მხრივ, სავსებით ცხადია, რომ გზა, რომელმაც ისინი ირჩევენ ამ მიზნის მისაღწევად, ჩვენთვის მიუღებელია. სოციალურ-

---

[132] იხ. H. Kahn, World Economic Development, 1979 and Beyond, London, 1979, p. 61.

[133] A. Toffler, op. cit, p. 208.

[134] Jan Tinbergen a. o. Reshaping the Interational Order. A Report to tle Club of Rome, N. Y., 1976.

ეკონომიკური პრობლემების გადაჭრა, მასების კეთილდღეობისათვის ზრუნვა, საჭიროებს მძლავრ მატერიალურ-ტექნიკურ ბაზას. ამგვარად, ჩვენი მიზანია მეცნიერებისა და ტექნიკის არა ლიმიტირება, როგორც ამას ქადაგებენ ბურჟუაზიული მეცნიერები, არამედ მისი შემდგომი მძლავრი აღმავლობა.

„სამოცდაათიანი წლების შუახანებში, — აღნიშნავს ლ. ი. ბრეჟნევი — ყოფილმა კოლონიურმა ქვეყნებმა წამოაყენეს საკითხი ახალი საერთაშორისო ეკონომიკური წესების შესახებ. დემოკრატიულ საფუძველზე, თანასწორუფლებიანობის საწყისებზე საერთაშორისო ეკონომიკური ურთიერთობის გარდაქმნა ისტორიულად კანონზომიერია. აქ ბევრი რამ შეიძლება გაკეთდეს და კიდევაც უნდა გაკეთდეს. მაგრამ, რა თქმა უნდა, არ შეიძლება, როგორც ეს ზოგჯერ ხდება, საკითხი მხოლოდ „მდიდარ ჩრდილოეთსა“ და „ღარიბ სამხრეთს“ შორის განსხვავებით ამოვწუროთ. ჩვენ მზად ვართ ხელი შევუწყოთ და პრაქტიკულად ვუწყობთ კიდეც ხელს სამართლიანი საერთაშორისო ეკონომიკური ურთიერთობის დამყარებას.

არავის არ უნდა შეეპაროს ეჭვი, ამხანაგებო: საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტია კვლავაც თანმიმდევრულად განახორციელებს განთავისუფლებულ ქვეყნებთან სსრ კავშირის თანამშრომლობის განვითარების, მსოფლიო სოციალიზმისა და ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის კავშირის განმტკიცების კურსს“[135].

„დასავლეთის ცივილიზაციას“ განიხილავენ აწმყო პლანში თუ მომავალში, ძველი სტატუსით თუ ახალით, ერთი რამ გასაგებია — ბურჟუაზიული მეცნიერები გამოდიან ცივილიზაციის განვითარების ისტორიული პროცესის მარქსისტული, მატერიალისტური გაგების წინააღმდეგ.

ამ საკითხის მომავლის პლანში განხილვა, ერთი მხრივ, მნიშვნელოვნად აადვილებს მათ მდგომარეობას, მეორე მხრივ, მიზნად ისახავს მოადუნოს ხალხის მასების პოლიტიკური ბრძოლა თანამედროვე ეტაპზე. ამასთანავე, არ გააჩნიათ რა ნათელი წარმოდგენა მომავალი საზოგადოების კონკრეტულ ფორმებზე, ხშირ შემთხვევაში ისინი მათ წარმოადგენენ აბსტრაქტულად, მეცნიერული ფანტასტიკის ფორმით.

---

[135] ლ. ი. ბ რ ე ჟ ნ ე ვ ი, სკკპ ცენტრალური კომიტეტის საანგარიშო მოხსენება საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XXVI ყრილობას და პარტიის მორიგი ამოცანები საშინაო და საგარეო პოლიტიკის დარგში. გვ. 24.

დასავლეთის მეცნიერთა იმედებს „ცივილიზაციათა“ უნიფიკაციის, სოციალურ სისტემათა შერწყმის შესახებ, უფრო ზუსტად კაპიტალისტურ ურთიერთობათა გლობალური მასშტაბით აღდგენის შესახებ არ შეუძლია გადაჭრას ზოგადსაკაცობრიო პრობლემები არც ბიოსფეროში და არც სოციალურ სფეროში. ამდენად, „დასავლეთის ცივილიზაციის“ დროშა, რომლის გარშემოც ირაზმება იმპერიალისტური ბანაკი და დღეისათვის აწარმოებს ბრძოლას „სუპერინდუსტრიული“ მომავლისათვის, თანამედროვე საზოგადოებას არ გამოადგება სტიმულად.

ისტორია გვეხმარება გაევრკვეთ, თუ სად უნდა გაივლოს დემარკაციული ხაზი ისტორიისათვის — კაცობრიობის პროგრესისათვის საჭირო, ჰეშმარიტ მიმდინარეობებს და ეფემერულ, საზოგადოების მხოლოდ პრივილეგირებული ნაწილისათვის გამოსადეგ მიმდინარეობებს შორის.

როგორც ცხადყოფს პრაქტიკა, „საერთო ინდუსტრიული კულტურა“, წარმოების განვითარების ერთგვაროვანი დონე სრულებითაც არ ნიშნავს სოციალური და პოლიტიკური ინსტიტუტების ერთგვაროვნებას. წარმოების დონის ზრდა, მისი თანამედროვე ტექნიკით აღჭურვა, მოწინავე ტექნოლოგიური მეთოდების დანერგვა, არ დააახლოებს და არ შეუძლია დააახლოვოს ორი საზოგადოებრივ-ეკონომიკური ფორმაცია — კაპიტალისტური და სოციალისტური, ვინაიდან მათში მიმდინარე სოციალური პროცესების შინაარსი. დიამეტრალურად საწინააღმდეგოა.

ისტორიული გამოცდილება მთელი სიცხადით გვიჩვენებს, რომ საზოგადოების ცხოვრება სრულიად განსხვავებულად ეწყობა იმის შესაბამისად, თუ როგორია მისი სოციალურ-ეკონომიკური სტრუქტურა, პირველ რიგში მასში გაბატონებული საკუთრების სისტემა. სოციალიზმსა და კაპიტალიზმს შორის რომელ „მზარდ მსგავსებაზე“ შეიძლება იყოს საუბარი, თუ სოციალისტურ ქვეყნებში წარმოების საშუალებებზე არსებობს საზოგადოებრივი, ხოლო კაპიტალისტურში — კერძო საკუთრება, თუ სოციალისტურ ქვეყნებში ხელისუფლება ეკუთვნის ხალხს მუშათა კლასის ხელმძღვანელობით, ხოლო კაპიტალისტურში — მონოპოლისტურ ბურჟუაზიას. თუკი კაპიტალისტურ ქვეყნებში იზრდება ხალხთა სოციალურ-ეკონომიკური უთანასწორობა, მაშინ როდესაც სოციალიზმის პირობებში ხდება.

ცხოვრების ყოველმხრივი გათანაბრება მთელი ხალხის მატერიალური და კულტურული დონის ამაღლებით"[136].

თანამედროვე ეტაპზე დასავლეთის მეცნიერთა შორის ხშირად ვხვდებით აზრს რელიგიის სოციალური აუცილებლების შესახებ. დღეისათვის რელიგიის რეაბილიტაციის ცდები ნაწილობრივ შეიძლება აეხსნათ იმ უამრავი პრობლემის არსებობით, რომელთა გადაჭრასაც ვერ ახერხებს თანამედროვე კაპიტალისტური საზოგადოება. ამის შედეგად წარმოიშვება შეხედულება, რომ რელიგიას და არა მეცნიერებას შეუძლია მოგვცეს სრული ცოდნა ბუნების შესახებ.

რ. სტრომბერგი განიხილავს სხვადასხვა დიდი მეცნიერის აზრს და ასკვნის: „მეცნიერული აზრი ნაწილობრივ უნდა იყოს სუბიექტური, ასევე არასრულყოფილი, რამდენადაც იგი მხოლოდ ფენომენალურია. ლიმიტაცია ადამიანის გრძნობათა აპარატშია, რომელიც ძნელად დასაშვებია, რომ იყოს ადეკვატური მთელი კოსმოსური რეალობის თანამედროვე გაგებისათვის... მას შემდეგ, რისი გაკეთებაც შეუძლია მეცნიერებას დიდი საიდუმლოება ყოველთვის უნდა დარჩეს და ბევრიც რჩება სამყაროს რელიგიური შესწავლისათვის"[137]. მეცნიერთა წინაშე მდგარი გადაუჭრელი პრობლემები რ. სტრომბერგს სურს გადაჭრას იოლი გზით — ყოველივე ამოუხსნელი მიანდოს რელიგიას, რომელსაც რეალური სამყაროს პრობლემები არარეალურ სფეროში გადააქვს.

ხშირ შემთხვევაში დასავლეთის ცივილიზაციის დაცემის პროცესის საწყის ეტაპად მიიჩნევენ ევროპის დექრისტიანიზაციას. კაპიტალიზმი გაიგივებულია პროტესტანტიზმთან. რ. სტრომბერგი თანამედროვე ევროპას ადარებს XIV საუკუნის ევროპას, სადაც პაპის კონტროლის დაქვეითება მოჰყვა მაგიის გამეფება[138].

აღსანიშნავია, რომ დასავლეთის მეცნიერთა ნაწილი სამყაროს დიქოტომიას „დასავლეთი-აღმოსავლეთი" ახდენს რელიგიის. კერძოდ, ქრისტიანული რელიგიის საფუძველზე, ე. ი. ახდენს ქრისტიანული და არაქრისტიანული სამყაროს დაპირისპირებას; შესაბამისად იძლევა ისტორიის თეოლოგიურ ინტერპრეტაციას.

„თანამედროვე ქრისტიანი მოაზროვნეები ტოტალიტარული რე-

---

[136] Б. Марушкин, Г. Иоффе, Н. Романовский. Три революции в России и буржуазная историография, с. 30.

[137] R. Stromberg, op. cit., p. 200.

[138] Ibid. p 207.

ჟიმების შექმნას და უბედური მეოცე საუკუნის ომებს ხსნიდნენ ქრისტიანობის გადაგვარებით, რამაც გამოიწვია ადამიანში სულიერი სამყაროს ნგრევა. ლიბერალიზმმა, კაპიტალიზმმა და მატერიალისტურმა სოციალიზმმა ადამიანები აქციეს მწარმოებელ აგენტებად და მოახდინეს მათი ატომიზაცია, რითაც გზა გაუკაფეს ნაციზმისა და კომუნიზმის საშინელ აფეთქებებს, რომელთაც ეს მოაზროვნეები განიხილავენ არა როგორც ცალკეულ ეროვნებათა განსაკუთრებულ ბოროტებასა თუ უბედურებას, არამედ როგორც თანამედროვე დასავლეთის ცივილიზაციის საერთო კულტურულ ფენომენს („გერმანია არა ევროპის ცოდვაა, არამედ მთელი თანამედროვე სამყაროსი, რომელიც იმდენად გაიხრწნა, რომ ადამიანები აღარ ინდობენ ერთმანეთს და უკანასკნელი სამსახური, რომელიც გერმანელმა ხალხმა შეუძლია ხანდაზმულ ცივილიზაციას გაუწიოს ის არის, რომ ყოველ ერს ჩაახედოს სარკეში და დაანახოს ურჩხული, რომელსაც ის დღეს წარმოადგენს, მაგრამ არ იცის ამის შესახებ, და რომლადაც იგი უეჭველად იქცევა ხვალ". ასე წერდა მეორე მსოფლიო ომის შემდეგ ჯორჯ ბერნანოსი). თავისუფლება და ცივილიზაცია დამოკიდებულია რელიგიურ რწმენაზე. ქრისტიანული, მის მსგავსად პროტესტანტული და კათოლიკური ეკლესიების წარმომადგენელთა გმირობამ ურწმუნო ტოტალიტარული ჰიტლერიზმის ხელში, რაც გამოიხატებოდა მათ ტანჯვაში, ხელი შეუწყო ევროპაში რელიგიის ავტორიტეტის ზრდას, შესაბამისად, დასავლეთის პოზიცია საბჭოთა რუსულ კომუნიზმთან მიმართებაში „შეფასებულია როგორც ისტორიულად ქრისტიანული"[139],—წერს რ. სტრომბერგი.

ფრანგი ფილოსოფოსი ჟაკ მარიტენი ისტორიის საბოლოო მიზანს ხედავს ქრისტიანული ცივილიზაციის შექმნაში, ხოლო შესაბამის ისტორიულ და სოციალურ-ეთიკურ საფუძვლებს პოულობს მხოლოდ ამერიკის ნიადაგზე. იგი გამოყოფს ცივილიზაციათა ორ ტიპს: წმინდა ქრისტიანულს და სეკულარულს. შუა საუკუნეებს უწოდებს წმინდა ქრისტიანულ ცივილიზაციას, ხოლო თანამედროვე სამყაროს — სეკულარულს. მისი აზრით, სამყაროს სეკულარიზაციას შეიძლება მოჰყვეს ისეთი „ნეგატიური" შედეგი, როგორიცაა „კომუნისტური სახელმწიფოს თეოკრატიული ათეიზმი"[140].

---

[139] Ibid., pp. 277—278.

[140] Jaque Maritain, On the Philosophy of History N.Y., 1973, p.112.

როგორც ვხედავთ, ჟ. მარიტენი კომუნისტური სახელმწიფოს შექმნას ხსნის იმით, რომ ადამიანმა დაკარგა რელიგიური რწმენა, რუსეთში ქრისტიანული აზროვნება მოისპო, რის გამოც განხორციელდა სოციალისტური რევოლუცია. ანალოგიური მსჯელობის საფუძველზეა ახსნილი დასავლეთის ცივილიზაციის „დაცემა". ამგვარად, ბურჟუაზიულ მეცნიერთა აზრით, დასავლეთის ცივილიზაცია, შესაბამისად — კაცობრიობის მომავალი, დამოკიდებულია რელიგიაზე.

ა. ტოინბი ვერ ახერხებს რა დაასაბუთოს ცივილიზაციათა ეკვივალენტობა, რომლის დადგენასაც იგი ცდილობს წიგნში „ისტორიის შესწავლა", აკეთებს დასკვნას, რომ მომავალი ეკუთვნის მსოფლიო რელიგიებს — ბუდიზმს, ქრისტიანობას, ინდუიზმს, ისლამს და არა „ნაციონალიზმს, კომუნიზმს, ფაშიზმს, სოციალიზმს ან რომელიმე თანამედროვე რელიგიას"[141].

სკკპ XXVI ყრილობაზე ლ. ი. ბრეჟნევმა აღნიშნა: „ჩვენ, კომუნისტები, პატივისცემით ვეკიდებით ადამიანთა რელიგიურ მრწამსს, რომლებიც ისლამს, ისევე როგორც სხვა რელიგიებს აღიარებენ. მთავარი ის არის, თუ რა მიზნებს ისახავენ ძალები, რომლებიც ამა თუ იმ ლოზუნგს აცხადებენ. ისლამის დროშით შეიძლება გაიშალოს განმათავისუფლებელი ბრძოლა. ამას მოწმობს ისტორიის გამოცდილება, კერძოდ, სულ ახალიც. მაგრამ იგივე მოწმობს, რომ ისლამურ ლოზუნგებს იყენებს რეაქციაც, რომელიც კონტრრევოლუციურ ამბოხებებს აწყობს. მაშასადამე, მთელი საქმე ის არის, თუ როგორია ამა თუ იმ მოძრაობის რეალური შინაარსი"[142].

ლ. ი. ბრეჟნევის სიტყვების განზოგადების შედეგად შეგვიძლია გავაკეთოთ დასკვნა, რომ ამა თუ იმ რელიგიის როლის შეფასებისას მთავარია გავითვალისწინოთ, თუ რა მიზანს ემსახურება რელიგია — პროგრესულს თუ რეგრესულს.

---

[141] A. T o y n b e e, East to West. A Journy Round the World, London, 1958, p. 49.

[142] ლ. ი. ბ რ ე ჟ ნ ე ვ ი, დასახ. ნაშრომი, გვ. 21.

„დასავლეთის ცივილიზაციის“ დაპირისპირება სოციალისტურ სამყაროსთან

მშვიდობიანი თანაარსებობის პრინციპი, რომელსაც საბჭოთა მთავრობა განუხრელად ახორციელებს საგარეო პოლიტიკის დარგში, გულისხმობს სახელმწიფოთა შორის ყოველგვარი კონფლიქტის მშვიდობიანი გზით გადაჭრას, ნორმალური ეკონომიკური და პოლიტიკური ურთიერთობის განვითარებას. მაგრამ მშვიდობიანი თანაარსებობა არა თუ არ გამორიცხავს, არამედ, პირიქით, აუცილებელს ხდის კომუნისტური იდეოლოგიის შეურიგებლობას, მის ბრძოლას ბურჟუაზიული იდეოლოგიის წინააღმდეგ. სკკპ XXV ყრილობაზე ლ. ი. ბრეჟნევმა თქვა: „. . . ლაპარაკი არ არის და არც შეიძლება იყოს კომპრომისებზე პრინციპულ საქმეებში, კომუნისტური იდეოლოგიის საწინააღმდეგო შეხედულებებთან და მოქმედებასთან შერიგებაზე. ეს გამორიცხულია. მით უმეტეს, რომ არც მემარჯვენე და არც ცრუმემარცხენე რევიზიონიზმი სრულიადაც არ არის გულხელდაკრეფილი, და ბრძოლა კომუნისტური მოძრაობის მარქსისტულ-ლენინური საფუძვლებისათვის, მათი დამახინჯებისა და ძირის გამოთხრის ცდების წინააღმდეგ ყველასათვის საერთო ამოცანად რჩება“[143].

დასავლეთის იდეოლოგია, რომელიც დგას ბურჟუაზიის სამსახურში, ვერ პოულობს მხარდაჭერას მშრომელ მასებში, მეცნიერებისა და კულტურის პროგრესულ მოღვაწეებში. ისინიც კი, რომლებიც არ იზიარებენ მარქსისტულ შეხედულებებს, დაინტერესებულნი არიან დაიცვან ადამიანები ისეთი მორალური და იდეოლოგიური სიმახინჯეების გამანადგურებელი გავლენისაგან, როგორიცაა: რასიზმი, მილიტარიზმი, დამნაშავეობის კულტი და ა. შ.

საზოგადოება მუდმივად ვითარდება. მასში მიმდინარე ცვლილებები ორი სახისაა: ევოლუციური და რევოლუციური. რევოლუციური ცვლილება განხორციელდა 1917 წ., როდესაც დიდი ოქტომბრის სოციალისტურმა რევოლუციამ ისტორიას აუწყა საზოგადოების განვითარების ახალი სოციალისტური ეტაპი. თუმცა, ბურჟუაზიული ისტორიოგრაფია უარყოფს იმ ეპოქალურ ცვლილებებს,

---

[143] სკკპ XXV ყრილობის მასალები, გამომც. „საბჭოთა საქართველო“, თბ., 1976, გვ. 42.

რომლებიც განხორციელდა ჩვენ ქვეყანაში დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის შემდეგ. ეს უარყოფა განპირობებულია „მემკვიდრეობითობის“ კონცეფციით, რომელიც მჭიდრო კავშირშია დასავლეთის ცივილიზაციის „განსაკუთრებულობის“ თეორიასთან. „მემკვიდრეობითობის“ კონცეფციის მომხრეები უარყოფენ პრინციპულ სხვაობას საბჭოთა სოციალისტურ სისტემასა და თვითმპყრობელურ რეჟიმს შორის, რომელიც ჩვენ ქვეყანაში არსებობდა 1917 წლის რევოლუციამდე, აცხადებენ თითქოსდა ადგილი აქვს გარკვეულ მემკვიდრეობითობას მემამულურ-ბურჟუაზიულ წყობილებასა და პროლეტარიატის ძალაუფლებას შორის“[144].

დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის 60 წლისთავისადმი მიძღვნილ სკკპ ცენტრალური კომიტეტის, სსრკ უმაღლესი საბჭოს და რსფსრ უმაღლესი საბჭოს საზეიმო სხდომაზე ლ. ი. ბრეჟნევმა განაცხადა: „ყოველთვის, როცა რევოლუციის წლისთავს აღვნიშნავთ, ხელახლა ვიაზრებთ ხოლმე ოქტომბრის მნიშვნელობას, ისტორიის მსვლელობაზე, მსოფლიოს ბედზე მისი ზემოქმედების ძალას.

ოქტომბრის რევოლუცია, ბუნებრივია, უწინარეს ყოვლისა, წყვეტდა ჩვენი ქვეყნის პრობლემებს, მისი ისტორიით, მისი კონკრეტული პირობებით წამოყენებულ პრობლემებს, მაგრამ თავისთავად ეს იყო არა ლოკალური, არამედ ზოგადი პრობლემები, რომლებიც საზოგადოებრივი განვითარების მსვლელობამ დაუსახა მთელ კაცობრიობას. და ოქტომბრის რევოლუციის მსოფლიო-ისტორიული მნიშვნელობა სწორედ ის არის, რომ მან გზა გაუხსნა ამ პრობლემების გადაწყვეტას და ამით — ქვეყნად ახალი ტიპის ცივილიზაციის შექმნას“[145].

ეს სიახლე იმაში მდგომარეობს, რომ ადამიანებმა საკუთარი სურვილით შექმნეს ახალი სოციალური სტრუქტურა, რომლისთვისაც უცხოა კლასობრივი ანტაგონიზმი და ექსპლუატაცია. ბურჟუაზიული მეცნიერები უარყოფენ ოქტომბრის რევოლუციის კანონზომიერებას; განიხილავენ მას როგორც საზოგადოებრივი განვითარების მსვლელობაში გადახრას „ნეგატიური მიმართულებით“.

ვ. ი. ლენინმა ჯერ კიდევ 1919 წ. 3 აპრილს მოსკოვის მუშათა და წითელარმიელთა დეპუტატების საბჭოს პლენუმის საგანგებო სხდო-

---

[144] Б. И Марушкин, Г. З. Иоффе, Н В. Романовский. Три революции в России и буржуазная историография, с. 37—38.

[145] გაზ. „კომუნისტი“, 1977 წლის 3 ნოემბერი.

მაზე წაკითხულ მოხსენებაში საბჭოთა რესპუბლიკის საგარეო და საშინაო მდგომარეობის შესახებ შემდეგნაირად შეაფასა საერთაშორისო მდგომარეობა: „მე ვამბობ, რომ ინგლისის, საფრანგეთისა და ამერიკის იმპერიალისტები უკანასკნელად ცდილობენ ხელი წაგვიჭირონ ყელში, მაგრამ ამას ისინი ვერ შესძლებენ. მუხედავად მძიმე მდგომარეობისა, ჩვენ დარწმუნებით შეგვიძლია ვთქვათ, რომ დავამარცხებთ საერთაშორისო იმპერიალიზმს. ჩვენ დავამარცხებთ მთელი მსოფლიოს მილიარდერებს. ჩვენ მათი დამარცხება შეგვიძლია ორი მიზეზით. ჯერ — ერთი, იმიტომ, რომ ისინი მხეცები არიან, რომლებმაც ისე შორს შესტოპეს ერთმანეთს შორის ბრძოლაში, რომ განაგრძობენ ერთმანეთის კბენას და ვერ ხედავენ, რომ უფსკრულის პირას დგანან. მეორე, იმიტომ, რომ საბჭოთა ხელისუფლება განუწყვეტლივ იზრდება მთელ მსოფლიოში. არც ერთი დღე არ გაივლის, რომ ამის შესახებ გაზეთებში არ ეკითხულობდეთ"[146].

ისეთი მოვლენები, როგორიცაა დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის 60 წლისთავის აღნიშვნა, ახალი კონსტიტუციის მიღება, XXV ყრილობის გადაწყვეტილებათა განხორციელება, XXVI ყრილობა, თვალნათლივ ცხადყოფენ საბჭოთა ხელისუფლების, საბჭოთა სისტემის ტრიუმფს.

თითქოსდა დიდი დრო არ გასულა 1936 წლიდან, როდესაც მიღებულ იქნა საბჭოთა კავშირის კონსტიტუცია. ამ ხნის მანძილზე ჩვენი ქვეყანა გადავიდა განვითარებული სოციალიზმის ეპოქაში. გაიზარდა სოციალისტური ბანაკის სიძლიერე. სოციალისტური ქვეყნების მეცადინეობით საერთაშორისო ურთიერთობანი მეტ-ნაკლებად ნორმალურ კალაპოტშია. ახალი კონსტიტუცია წარმოადგენს საბჭოთა კავშირში კომუნიზმის მშენებლობის პროგრამას, რომელშიც აღნიშნულია, რომ საბჭოთა მთავრობამ „სამუდამოდ მოუღო ბოლო ადამიანის მიერ ადამიანის ექსპლოატაციას, კლასობრივ ანტაგონიზმებსა და ეროვნულ შუღლს. საბჭოთა რესპუბლიკების გაერთიანებამ სსრ კავშირად გაამრავლა ქვეყნის ხალხთა ძალები და შესაძლებლობანი სოციალიზმის მშენებლობაში. დაამკვიდრა წარმოების საშუალებათა საზოგადოებრივი საკუთრება, მშრომელთა მასების ნამდვილი დემოკრატია. კაცობრიობის ისტორიაში პირველად შეიქმნა სოციალისტური საზოგადოება"[147].

---

[146] ვ. ი. ლ ე ნ ი ნ ი, თხზ., ტ. 29, გვ. 316.

[147] იხ. საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის კონსტიტუცია (ძირითადი კანონი), თბ., 1977, გვ 3.

ამგვარად, მარქსისტულ-ლენინურმა მოძღვრებამ პრაქტიკული განხორციელება ჰპოვა, ვ. ი. ლენინის იდეები რეალობად იქცა — ოქტომბრის რევოლუციის მიერ ჩასახულმა ახალმა საზოგადოებამ, რომელიც კაპიტალიზმთან შედარებით განუზომლად სუსტი იყო, მაგრამ არ თმობდა თავის პოზიციებს, გაიმარჯვა. ამ გამარჯვების შედეგები მოიმკო არა მარტო საბჭოთა ხალხმა, არამედ მთელმა კაცობრიობამ. განვლო რა ისტორიული დროის გამოცდა, მარქსისტულ-ლენინურმა მოძღვრებამ დაამტკიცა თავისი ძალა და აქტუალურობა მთელი მსოფლიოსათვის.

„ის ამოცანა, რომელსაც ჩვენ ამჟამად ვწყვეტთ, ჯერჯეროობით — დროებით — ცალკე, წმინდა რუსულ ამოცანად ჩანს, მაგრამ ნამდვილად ეს არის ამოცანა, რომელიც ყველა სოციალისტის წინაშე დადგება. კაპიტალიზმი ილუპება; დაღუპვისას მას კიდევ შეუძლია წარმოუდგენელი ტანჯვა მიაყენოს ათეულ და ასეულ მილიონობით ადამიანს, მაგრამ მისი დაცემის შეჩერება არავითარ ძალას არ შეუძლია. ახალი საზოგადოება, რომელიც დამყარებული იქნება მუშათა და გლეხთა კავშირზე, გარდუვალია. ადრე თუ გვიან, ოცი წლით ადრე თუ ოცი წლით გვიან, იგი შეიქმნება, და მისთვის, ამ საზოგადოების დამყარებისათვის, ვუწყობთ ჩვენ ხელს მუშათა და გლეხთა კავშირის ფორმების შემუშავებას, როცა ვიღებთ ჩვენი ახალი ეკონომიური პოლიტიკის ამოცანის გადაჭრისათვის. ჩვენ ამ ამოცანას გადავჭრით და მუშათა და გლეხთა იმდენად მტკიცე კავშირს შევქმნით, რომ დედამიწის ზურგზე ვერავითარი ძალა ვერ დაარღვევს მას“[148].

განვლო იმ ხანამ, როდესაც საბჭოთა ხალხს „ცივი ომის“ პირობებში უხდებოდა აღმშენებლობითი მუშაობა. „ცივი ომის“ რთული გზა წარსულს ჩაბარდა. სხვადასხვა საზოგადოებრივი წყობილების სახელმწიფოთა მშვიდობიანი თანაარსებობა არა მარტო შესაძლებელი გახდა, არამედ აუცილებელიც დედამიწაზე ცივილიზაციის, კაცობრიობის შესანარჩუნებლად. საერთაშორისო ურთიერთობებში გამოყენებული ძველი ცნებები იცვლება ახლით. მაგალითად, „კონფრონტაციის“ კატეგორია შეიცვალა ახალი ფორმულით — „ბრძოლა—შეჯიბრი—თანამშრომლობა“. თუმცა, აქვე უნდა აღვნიშნოთ, რომ დასავლეთში ამ ბოლო დროს სულ უფრო ძლიერდება ლაპარაკი საბჭოთა სამხედრო საფრთხის შესახებ. თითქოსდა, ევროპაში

---

148 ვ. ი. ლ ე ნ ი ნ ი. თხზ., ტ. 33, გვ. 199—200.

ვარშავის გაერთიანების ხელშეკრულების სახელმწიფოთა სამხედრო ძლიერება აღემატება ნატოს ბლოკის ძლიერებას; თითქოსდა გამალებული შეიარაღება საბჭოთა კავშირს სჭირდება არა თავდაცვისათვის, არამედ თავისი აგრესიული სტრატეგიის განსახორციელებლად. საკავშირო ალკკ XVIII ყრილობაზე წარმოთქმულ სიტყვაში ლ. ი. ბრეჟნევმა აღნიშნა: „საბჭოთა კავშირი ყველაზე მეტად დაზარალდა მეორე მსოფლიო ომში. და მასავით არავის სწადია, რომ ევროპაში მშვიდობა აღარასოდეს აღარ დაირღვეს, რომ ევროპა სამუდამოდ გახდეს მტკიცე მშვიდობისა და მშვიდობიანი თანამშრომლობის კონტინენტი. და არც გვეგულება სახელმწიფო, რომელსაც იმდენი რამ ეღონოს საამისოდ, რამდენიც ჩვენმა ქვეყანამ იღონა“[149].

სკკპ-ის და საბჭოთა მთავრობის ღონისძიებები (სხვადასხვა კონფერენციები, მოლაპარაკებები, კონსტრუქციული წინადადებები და ა. შ.) შეიარაღებული ძალების შეზღუდვისა და გამალებული შეიარაღების შეჩერების შესახებ, ნათელი დადასტურებაა საბჭოთა კავშირის მისწრაფების — დაამყაროს მყარი მშვიდობა ევროპასა და მთელ მსოფლიოში.

ბევრი რამ იქნა მიღწეული სხვადასხვა საზოგადოებრივი წყობილების მქონე სახელმწიფოებს შორის ნორმალური ურთიერთობების დასამყარებლად. საერთაშორისო არენაზე ამ პოზიტიურ ძვრებს — ევროპაში მშვიდობისა და უშიშროების განმტკიცებას — ხელი შეუწყო ჰელსინკში ჩატარებულმა თათბირმა. მან შეიმუშავა მშვიდობიანი თანაარსებობისა და თანამშრომლობის პროგრამა სხვადასხვა საზოგადოებრივი წყობილების მქონე ქვეყნებს შორის. ჰელსინკში ჩატარებული ევროპის ქვეყნების თათბირი სამაგალითო იყო მთელი მსოფლიოსათვის.

დასკვნითი აქტი საერთაშორისო ცხოვრებაში უკვე იქცა მნიშვნელოვან პოლიტიკურ რეალობად, — აღნიშნავდა ლ. ი. ბრეჟნევი, — საკმაოდ აქტიურად ხორციელდება ცხოვრებაში. უკვე ბევრია გაკეთებული, თუმცა მიღწეული პროგრესი, ბუნებრივია, სხვადასხვა რაიონებში ერთნაირი არაა[150].

გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალურ ასამბლეაზე დღის წესრიგში ისეთი საკითხის დაყენება, როგორიცაა სტრატეგიული შეიარაღების შეზღუდვა, უდიდესი მიღწევაა მსოფლი-

---

[149] გაზ. „კომუნისტი“, 1978 წლის 26 აპრილი.

[150] იხ. გაზ. „კომუნისტი“, 1975 წლის 7 აგვისტო.

ოს მთელი პროგრესული საზოგადოებისათვის. ყველასათვის კარგადაა ცნობილი, რომ ბურჟუაზიულ მეცნიერთა დიდი ნაწილი უარყოფს შესაძლებლობას მიღწეულ იქნეს საერთაშორისო დაძაბულობის განმუხტვა. საერთაშორისო დაძაბულობა, გამალებული შეიარაღება ხორციელდება ანტისაბჭოთა და ანტიკომუნისტური რეაქციის ქვეშ. დაძაბულობის შენელება ეს არ არის ცალმხრივი პროცესი. ეს არის ორმხრივი, ურთიერთხელსაყრელი პროცესი როგორც დასავლეთისათვის, ასევე აღმოსავლეთისათვის. მთელი კაცობრიობის და თვით დასავლეთი ევროპის მოსახლეობის აზრი იმაში მდგომარეობს, რომ ევროპა ყველაზე მეტად დაზარალდება, თუ ეს პროცესი დაძაბულობის შენელებისა უკუმიმართულებით განვითარდება. ხელშეკრულება სტრატეგიული შეიარაღების შეზღუდვის შესახებ წყვეტს არა მარტო ორი ცივილიზაციის მომავალი არსებობის საკითხს, არამედ საერთოდ კაცობრიობის მომავლის საკითხს, რამდენადაც თერმოატომგულური ომის შემდგომ ძნელი წარმოსადგენია თუ რა დარჩება დედამიწაზე. საბჭოთა კავშირის ხელმძღვანელობით კაცობრიობის მშვიდობისმოყვარე ძალების კონსოლიდაცია, მათი ერთიანი მოქმედება გადაჭრის ამ პრობლემას. კაცობრიობა არ გასწირავს თავის საკუთარ თავს.

ლ. ი. ბრეჟნევმა სკკპ XXVI ყრილობაზე იმპერიალისტური ქვეყნების აგრესიული პოლიტიკა ასე შეაფასა: „ამერიკული გაგებით, „შეზღუდული" ბირთვული ომი, რომ ვთქვათ, ევროპაში, დასაწყისშივე, ნამდვილად დაღუპავდა ევროპულ ცივილიზაციას. და, კაცმა რომ თქვას, თვით შეერთებული შტატებიც ვერ გადაურჩება ომის ხანძარს. აშკარაა, რომ ამგვარი გეგმები და „დოქტრინები" სერიოზულ საფრთხეს უქმნის ყველა ხალხს, მათ შორის ამერიკელ ხალხსაც. ამ გეგმებს გმობენ მთელ მსოფლიოში. ხალხები გადაჭრით უკუაგდებენ მათ.

იმპერიალისტური წრეები სხვა სახელმწიფოებისა და ხალხების მიმართ ბატონობისა და ძალდატანების კატეგორიებით აზროვნებენ.

მონოპოლიებს სჭირდებათ სხვისი ნავთობი, ურანი, ფერადი ლითონები — და ამერიკის შეერთებული შტატების „საარსებო ინტერესების" სფეროდ აცხადებენ ახლო აღმოსავლეთს, აფრიკას, ინდოეთის ოკეანეს. იქ აქტიურად იჭრება ამერიკის შეერთებული შტატების სამხედრო მანქანა და დიდხანს დარჩენას აპირებს. ინდოეთის ოკეანეში მდებარე დიეგო-გარსიას კუნძული, ომანი, კენია, სომალი, ეგვიპტე, — შემდეგ?

სხვებს რომ გაუნაწილოს ხარჯები, და ამასთანავე უფრო მაგრად რომ მიიჯაჭვოს ნატოელი პარტნიორები, ამერიკის შეერთებული შტატები ცდილობს გააფართოოს ამ ბლოკის ფუნქციები. ვაშინგტონელ სტრატეგებს აშკარად სურთ თავიანთ საომარ სამზადისში ჩაითრიონ ათობით სხვა სახელმწიფო, მსოფლიო გაახვიონ თავისი ბაზების, აეროდრომების, იარაღის საწყობების ქსელში"[151].

სსრ კავშირის ახალი კონსტიტუციის იმ თავში, რომელიც ეძღვნება სსრ კავშირის საგარეო პოლიტიკას, ხაზგასმულია: „... სსრ კავშირის საგარეო პოლიტიკის მიზანია უზრუნველყოს, რომ ხელშემწყობი საერთაშორისო პირობები შეექმნას სსრ კავშირში კომუნიზმის აშენებას, დაიცვას საბჭოთა კავშირის სახელმწიფო ინტერესები, განამტკიცოს მსოფლიო სოციალიზმის პოზიციები, მხარი დაუჭიროს ხალხთა ბრძოლას ეროვნული განთავისუფლებისა და სოციალური პროგრესისათვის, აღიკვეთოს აგრესიული ომები, მიაღწიოს საყოველთაო და სრულ განიარაღებას და თანმიმდევრულად განახორციელოს სხვადასხვა სოციალური წყობილების სახელმწიფოთა მშვიდობიანი თანაარსებობის პრინციპი.

სსრ კავშირში ომის პროპაგანდა აკრძალულია"[152].

მშვიდობიანი თანაარსებობის პრინციპების განხორციელება მიმდინარეობს მძაფრი.იდეოლოგიური ბრძოლის პირობებში. ეკონომიკისა და კულტურის დარგში მიღწეული ხელშეკრულებები საბჭოთა სახელმწიფოს და დასავლეთის ქვეყნებს შორის არ ამცირებს იმ იდეოლოგიურ წინააღმდეგობას, რომელიც არსებობს მათ შორის, ამიტომ იდეოლოგიური ბრძოლის პროცესი, რომელიც კლასობრივი ბრძოლის გამოხატულებაა, გაგრძელდება მანამ, სანამ იარსებებს ანტაგონისტური კლასები და ანტაგონისტური სისტემის მქონე საზოგადოებები.

მსოფლიო თანამშრომლობა ეკონომიკის, მეცნიერებისა და ტექნიკის დარგში, კონტაქტების დამყარება აღმოსავლეთსა და დასავლეთს შორის, ამ ურთიერთობათა მასშტაბები სულ უფრო და უფრო ფართოვდება. ეს ურთიერთობები აგებულია მყარ საძირკველზე (ურთიერთხელსაყრელ პირობებსა და ინტერესებზე) და წარმოადგენს არა შემთხვევით გარიგებას, არამედ კანონზომიერ ურთიერთობას კაპიტალისტურ და სოციალისტურ ქვეყნებს შორის.

---

151 ლ. ბ რ ე ჟ ნ ე ვ, დასახ. ნაშრომი, გვ. 34.

152 საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის კონსტიტუცია (ძირითადი კანონი), გვ. 16.

„ევროპის კონტინენტზე, დაძაბულობის შენელების მტრების ხრიკების მიუხედავად, ორი სისტემის ქვეყნების მშვიდობიანი თანამშრომლობა საერთოდ რიგიანად ვითარდება,—თქვა სკკპ XXVI ყრილობაზე ლ. ი. ბრეჟნევმა. — სულ უფრო ფართო აქტიური ხდება პოლიტიკური კონტაქტები. საგარეო პოლიტიკის მთელ რიგ დიდმნიშვნელოვან პრობლემებში ჩვენ საერთო ენას ვპოულობთ ხოლმე. იზრდება, ახალ თვისებებს იძენს სამეურნეო, სამეცნიერო-ტექნიკური და კულტურული ურთიერთობა. მოეწყო მრავალმხრივი თათბირები სრულიად ევროპის თანამშრომლობის სხვადასხვა საკითხზე“[153].

ჯერ კიდევ ვ. ი. ლენინი მიუთითებდა კაპიტალისტურ ქვეყნებთან ეკონომიკური ურთიერთობის დამყარების აუცილებლობაზე. იგი წერდა: „ჩვენთვის აუცილებელია ვაჭრობა კაპიტალისტურ სახელმწიფოებთან, ვიდრე ისინი არსებობენ როგორც ასეთნი“[154].

ბურჟუაზიულ ქვეყნებს რუსეთთან ვაჭრობას სჭირდებათ:— წერდა ვ. ი. ლენინი,—მათ იციან, რომ ეკონომიური ურთიერთობის ამა თუ იმ ფორმის გარეშე ნგრევა მათ ქვეყნებში უფრო და უფრო შორს წავა, როგორც იგი დღემდე მიდიოდა; მიუხედავად ყველა მათი უბრწყინვალესი გამარჯვებისა, მიუხედავად მთელი იმ დაუსრულებელი ტრაბახისა, რომლითაც ისინი ავსებენ მთელი მსოფლიოს გაზეთებსა და დეპეშებს, მათი ეკონომიკა მაინც დაშლას განიცდის...“[115].

„ცივი ომის“ პოლიტიკის მომხრეებს სურთ დაარწმუნონ მთელი მსოფლიო, რომ ყველა შეთანხმება, რომელიც მიღწეულია და, რომელსაც ცდილობს მიაღწიოს საბჭოთა კავშირმა დასავლეთთან არა მარტო პოლიტიკის, არამედ ეკონომიკის დარგშიც, მხოლოდ ცალმხრივ ინტერესებზეა აგებული და აძლიერებს მარტო საბჭოთა კავშირს.

ისტორიული რეალობა აბათილებს იმ მითს, რომელიც იქმნება საბჭოთა სახელმწიფოს შესახებ, სოციალისტურმა წყობილებამ შექმნა პოლიტიკური და ეკონომიკური მმართველობის ფორმის ახალი სისტემა. ამ მეთოდებმა და ფორმებმა მიაღწიეს შემდგომ სრულყოფას ახლა, განვითარებული სოციალიზმის პირობებში. ჩვენი ეკონომიკისათვის უცხოა კრიზისები, იგი ვითარდება გეგმაზომიერად.

---

[153] ლ. ი. ბრეჟნევი, დასახ. ნაშრომი, გვ. 38—39.
[154] ვ. ი. ლენინი. თხზ., ტ 33, გვ. 245.
[155] იქვე, გვ. 243—244.

1981 წელს მიღებულ იქნა სსრ კავშირის სახალხო მეურნეობის განვითარების მეთერთმეტე ხუთწლიანი გეგმა, რომელსაც საფუძვლად უდევს ეკონომიკური მართვის მეცნიერულად დასაბუთებული მეთოდები და ფორმები. ყოველი ახალი ხუთწლედის მიზანია საბჭოთა ხალხის კეთილდღეობის ზრდა; მათი გაზრდილი მატერიალური და სულიერი მოთხოვნების დაკმაყოფილება.

ეკონომიკისა და პოლიტიკის სფეროში არსებული მიღწევების გვერდით არ შეიძლება არ აღვნიშნოთ მიღწევები სოციალისტური კულტურის სფეროში. „პროლეტარიატის კულტურის" რეზოლუციის პროექტში, რომელიც ვ. ი. ლენინმა დაწერა 1920 წ. 8 ოქტომბერს, აღნიშნულია: მარქსიზმმა, როგორც რევოლუციური პროლეტარიატის იდეოლოგიამ, თავისი მსოფლიო-ისტორიული მნიშვნელობა მოიპოვა იმით, რომ მარქსიზმმა არათუ უკუაგდო ბურჟუაზიული ეპოქის უძვირფასესი მონაპოვარნი, არამედ, პირიქით, შეითვისა და გადაამუშავა ყველაფერი, რაც კი ძვირფასი იყო ორათასწლეულზე მეტი ხნის განმავლობაში, კაცობრიობის აზრისა და კულტურის მიერ შექმნილი მხოლოდ ასეთ მუშაობას პროლეტარიატის დიქტატურის პრაქტიკული გამოცდილებით გამდიდრებულს, ამ საფუძველზე და ამ მიმართულებით ჩატარებულს როგორც მისი უკანასკნელი ბრძოლისა ყოველგვარი ექსპლოატაციის წინააღმდეგ, შეიძლება მიჩნეულ იქნეს ჭეშმარიტად პროლეტარული კულტურის განვითარებად[156].

ამგვარად, სოციალისტური კულტურა პროგრესული ეტაპია მსოფლიო ცივილიზაციის განვითარების პროცესში. მისი მიზანია ადამიანის ყოველმხრივი განვითარება — როგორც სულიერი, ასევე სოციალური.

სოციალისტურ საზოგადოებაში ხალხთა შორის დამყარდა პრინციპულად ახალი ტიპი ურთიერთობისა, რომელსაც ჰუმანური საფუძველი გააჩნია: „ადამიანი ადამიანისათვის მეგობარია." ბურჟუაზიულ საზოგადოებაში ამას უპირისპირდება ფორმულა: „ადამიანი ადამიანისათვის მგელია" და „ადამიანი ადამიანისათვის ღმერთია".

ძალზე დიდია საბჭოთა კულტურის გავლენა მთელ მსოფლიოზე, კომუნიკაციების რთული და მძლავრი მექანიზმის წყალობით მსოფლიოს არც ერთი კუთხე არ რჩება ინფორმაციული „ველის" მიღმა. მიუხედავად ჩვენი მოწინააღმდეგეების მტკიცებისა, რომ სოციალისტური საზოგადოება „დახურული" საზოგადოებაა, მთელი

---

156 იხ. ვ. ი. ლ ე ნ ი ნ ი, თხზ., ტ. 31, გვ. 381.

მსოფლიო საკმაოდ კარგადაა ინფორმირებული ისტორიის მსვლელობის შესახებ და თავად შეუძლია განსაჯოს ორივე სისტემის — კომუნისტურისა და კაპიტალისტურის— როგორც უარყოფითი, ისე დადებითი მხარეები.

ევროპის კომუნისტური და მუშათა პარტიების ბერლინის კონფერენციაზე სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალურმა მდივანმა, უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარემ ამბ. ლ. ი. ბრეჟნევმა თქვა: . . .სოციალიზმის ქვეყნები — ეს არ არის „დახურული საზოგადოება". ჩვენ გახსნილი ვართ ყველა სამართლიანობისა და პატიოსნებისათვის და ჩვენ მზადა ვართ გავზარდოთ ჩვენი კონტაქტები მთელ მსოფლიოში, ვისარგებლოთ კარგი პირობებით, რომელსაც ქმნის საერთაშორისო დაძაბულობის შენელება, მაგრამ ჩვენი კარები ყოველთვის დახურული იქნება იმ გამომცემლობებისათვის, რომლებიც პროპაგანდას უწევენ ომს, ძალადობას, რასიზმს, კაცთმოძულეობას[157].

საბჭოთა კავშირი მარტო არ არის. მას მხარში უდგანან სოციალისტური ქვეყნები. მათ შორის დამყარებულია მჭიდრო კონტაქტები.

„სახელმწიფოთა ურთიერთობას ოდითგანვე საერთაშორისო ეწოდებოდა. მაგრამ მხოლოდ ახლა, სოციალიზმის სამყაროში გახდა ეს ურთიერთობა ნამდვილად ერთაშორისი. ამ ურთიერთობაში უშუალოდ მონაწილეობს მრავალი მილიონი ადამიანი. ეს, ამხანაგებო, სოციალიზმის პრინციპული მონაპოვარი, მისი უდიდესი დამსახურებაა კაცობრიობის წინაშე" [158], — აღნიშნა ლ. ი. ბრეჟნევმა სკკპ XXVI ყრილობაზე.

ქვეყნები, რომლებიც გაერთიანებული არიან ერთ სოციალისტურ ბანაკად, ერთიანი ფრონტით იბრძვიან გლობალური პრობლემების გადასაჭრელად; ეკონომიკური ურთიერთდახმარების საბჭოში გაერთიანებული სოციალისტური სახელმწიფოები თანამშრომლობენ ეკონომიკის, მეცნიერებისა და ტექნიკის დარგებში. ამ საფუძველზე ხდება სოციალისტური ქვეყნების ინტეგრაცია.

სკკპ XXVI ყრილობაზე წარმოთქმულ საანგარიშო მოხსენებაში ლ. ი. ბრეჟნევმა აღნიშნა: „ცნობილია, რომ კაპიტალიზმთან შეჯიბრების გადამწყვეტი ფრონტი ეკონომიკის, სამეურნეო პოლიტიკის

---

157 იხ. За мир, безопасность, сотрудничество и социальной прогресс в Европе. М., Политиздат, 1976, с. 12—13.

158 ლ. ი. ბ რ ე ჟ ნ ე ვ ი. დასახ. ნაშრომი, გვ. 8.

სფეროში გადის. წინა ყრილობაზე ჩვენ, ისევე როგორც სხვა მოძმე პარტიებმა, უპირველეს ამოცანად დავისახეთ გრძელვადიანი მიზნობრივი პროგრამის ბაზაზე სოციალისტური ინტეგრაციის შემდგომი გაღრმავება. ისინი უნდა დაგვეხმარონ სახალხო მეურნეობის უაღრესად მწვავე, საარსებო მნიშვნელობის პრობლემების გადაწყვეტაში. . .

ათწლეულის მანძილზე ეკონომიკური ურთიერთდახმარების საბჭოს წევრთა ეკონომიკური ზრდის ტემპი ერთიორად უფრო სწრაფი იყო, ვიდრე განვითარებულ კაპიტალისტურ ქვეყნებში. ეკონომიკური ურთიერთდახმარების საბჭოს წევრები კვლავ წარმოადგენდნენ მსოფლიოს ყველაზე დინამიკურად განვითარებადი ქვეყნების ჯგუფს. . .

საბჭოთა კავშირი მოძმე ქვეყნებიდან იღებს მრავალი სახეობის მანქანასა და მოწყობილობას, სატრანსპორტო საშუალებებს, სახალხო მოხმარების საქონელს, ცალკეულ სახეობათა ნედლეულს. თავის მხრივ, სსრ კავშირი სოციალისტურ ბაზარს აწვდის ნავთობს, გაზს, მადანს, ბამბას, ხე-ტყესა და, რა თქმა უნდა, მრავალფეროვან ინდუსტრიულ პროდუქციას. განვლილ ხუთწლედში ეკონომიკური ურთიერთდახმარების საბჭოს წევრი ქვეყნებიდან მივიღეთ 90 მილიარდი მანეთის საქონელი, ხოლო ჩვენმა მიწოდებამ 98 მილიარდს მიაღწია. . .

პრობლემებს, რომლებიც ჩვენი თანამშრომლობის დროს წამოიჭრება ხოლმე, ვწყვეტთ ერთობლივად, ვეძებთ თითოეული მოძმე ქვეყნის ინტერესებისა და საერთო ინტერესების ყველაზე სწორი შეხამების გზებს. ეს ეხება, მაგალითად, შეღავათიანი ფასების დაწესებას ნავთობზე, გაზზე და სხვა სანედლეულო და სამრეწველო საქონელზე, რომლებსაც ეკონომიკური ურთიერთდახმარების საბჭოს მონაწილე ქვეყნები აწვდიან ერთმანეთს"[159].

სოციალისტური ქვეყნების დაახლოებისა და ინტეგრაციის პროცესში ახალი წინგადადგმული ნაბიჯია კოსმოსში ინტერნაციონალური ეკიპაჟების გაშვება.

სოციალისტურ ქვეყნებს შორის ურთიერთობა არ შემოიფარგლება მხოლოდ მეცნიერების, ტექნიკისა და ეკონომიკის დარგში თანამშრომლობით. მეორე მსოფლიო ომის შემდეგ, როდესაც დასავლეთში იმპერიალისტურმა სახელმწიფოებმა შექმნეს რიგი სამხედ-

---

[159] ლ. ბ რ ე ჟ ნ ე ვ ი, დასახ. ნაშრომი, გვ. 10—12.

რო ორგანიზაციები და დაჯგუფებები, სოციალისტურმა ქვეყნებმა საპასუხოდ შექმნეს თავიანთი ორგანიზაცია ვარშავის ხელშეკრულების სახელწოდებით.

„განვლილმა პერიოდმა დამაჯერებლად ცხადყო, თუ რა გავლენიან და სასიკეთო როლს ასრულებს ვარშავის ხელშეკრულების ორგანიზაციის და, უწინარეს ყოვლისა, მისი პოლიტიკური საკონსულტაციო კომიტეტის საქმიანობა ევროპის, და მთლიანად საერთაშორისო საქმეებში. ჩვენი ხელშეკრულების უმაღლესმა პოლიტიკურმა ორგანომ, წინათვე რომ გაუკვლია გზა სრულიად ევროპის თათბირს, თავის სხდომებზე ბუქარესტში, მოსკოვში, ვარშავაში წამოაყენა მთელი რიგი ახალი ინიციატივები, რომლებმაც ფართო ყურადღება მიიპყრო მსოფლიოში. მათი მთავარი მიზანია დაიცვან დაძაბულობის შენელება. მიანიჭონ მას ენერგიული რიტმი, როგორც იტყვიან, მეორე სუნთქვა“[160], — თქვა ლ. ი. ბრეჟნევმა. ამ კომიტეტის არსებობის ხანგრძლივობა განპირობებულია იმპერიალისტური სამხედრო ბლოკების სიცოცხლისუნარიანობით. მანამ სანამ იარსებებს ისეთი სამხედრო ბლოკი, როგორიცაა ნატო, საბჭოთა კავშირს და მოძმე სოციალისტურ სახელმწიფოებს თავიანთი უშიშროების უზრუნველყოფის მიზნით, არ შეუძლიათ თავიანთი გაერთიანების დაშლა.

მსოფლიოში სოციალისტური სისტემის ზრდასა და გაძლიერებასთან ერთად მიმდინარეობს კაპიტალისტური სისტემის დასუსტება. „ერთი მხრივ დაძაბულობის შენელება შლის ატლანტიკური სოლიდარობის ბაზას, რომელიც ძირითადად ემყარება თანამშრომლობას სამხედრო სფეროში, ამასთანავე აშიშვლებს და ზედაპირზე ამოატივტივებს ობიექტურად არსებულ წინააღმდეგობებს, რაც თავად სისტემის არსმა წარმოქმნა. მეორე მხრივ, განმუხტვის ეპოქაში საერთოდ ძლიერდება ეკონომიკური ფაქტორის „თვითღირებულება“. ამასთანავე იზრდება სავალუტო-ფინანსური, სავაჭრო, საინვესტიციო და სხვა ეკონომიკური საკითხების როლი სახელმწიფოთაშორისო კავშირებში. ეს ხელს უწყობს ატლანტიკათაშორისო ურთიერთობების სიმძიმის ცენტრის გადანაცვლებას იმ სფეროში, სადაც აშშ დიდი სამხედრო უპირატესობა გარკვეულ ფარგლებში კარგავს თავის განსაკუთრებულ მნიშვნელობას და სადაც ავანსცენაზე გამოდის ტექნოლოგიური კონკურენციისა და სავაჭრო უპირატესობის

---

[160] ლ. ი. ბ რ ე ჟ ნ ე ვ ი, დასახ. ნაშრომი, გვ. 8—9.

საკითხები. სწორედ ეკონომიკის სფეროში გვევლინება ევროპის ეკონომიკური გაერთიანება როგორც ამერიკის გლობალური კონკურენტი; სწორედ ამ საფუძველზე ცდილობენ დასავლეთი ევროპის ქვეყნები პოლიტიკური კავშირის შექმნას, რომელიც შესძლებს მისი მონოპოლიების ინტერესების დაცვას ეკონომიკურ კონკურენტებთან ურთიერთობაში. ამგვარად, ეკონომიკური შერწყმის ინტენსიფიკაციას მოჰყვება პოლიტიკური განშტოება"[161], — წერს ი. დავიდოვი.

შეიცვალა კაპიტალიზმის სტატუსი საერთაშორისო არენაზე. თუკი ადრე კრიზისი კაპიტალისტური საზოგადოების მხოლოდ საშინაო სისტემას მოიცავდა, ახლა კრიზისმა მოიცვა მისი საგარეო სფეროც. გლობალური მასშტაბით კაპიტალიზმიდან სოციალიზმზე გადასვლა ხასიათდება ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის დასრულებით, კოლონიური სისტემის დაშლით. სამხრეთ აფრიკაში იგი თავის უკანასკნელ დღეებს ითვლის. სულ უფრო ნათელი ხდება კაპიტალისტური საზოგადოების მძიმე, გამოუვალი მდგომარეობა.

თუმცა გარეგნულად იმპერიალიზმი ჯერ კიდევ პოტენციურ ძალად ითვლება. მაგრამ მას თან ახლავს ღრმა კრიზისული პროცესები, რომელიც კაპიტალისტურ სისტემას უსათუოდ მიიყვანს დაღუპვამდე. ეს გარეგნული სიძლიერე განაპირობა XX საუკუნის 50-იან წლებში მეცნიერებისა და ტექნიკის მძლავრმა აღმავლობამ. ეს აღმავლობა იმდენად დიდი იყო, რომ იგი შეფასებულია არა როგორც მეცნიერულ-ტექნიკური ევოლუცია, არამედ როგორც მეცნიერულ-ტექნიკური რევოლუცია. აქედან გამომდინარე, დასავლეთში, მეცნიერთა გარკვეულ წრეებში გავრცელებულია აზრი, რომ მეცნიერულ-ტექნიკურ რევოლუციას, რომელმაც კაცობრიობას აუწყა ახალი, ეგრეთ წოდებული, ტექნიკური ერა, შეუძლია გადაჭრას თანამედროვე კაპიტალისტური სამყაროს წინაშე მდგარი ყველა პრობლემა. რა თქმა უნდა, ეს გაზვიადება არ შეგვიძლია მივიჩნიოთ რეალობად, ვინაიდან მეცნიერებისა და ტექნიკის განვითარების არანაირ დონეს არ შეუძლია გადაჭრას კაპიტალისტური სისტემისათვის დამახასიათებელი სოციალური წინააღმდეგობები.

არ შეიძლება პროგრესი განვიხილოთ მხოლოდ ტექნიკის ფონზე, როგორც ტექნიკურ მიღწევათა ერთობლიობა. ასეთი მიდგომა საკითხისადმი ცალმხრივია. ამ პროცესის შეფასება სრულყოფილი

---

[161] США — Западная Европа: партнерство и соперничество. Изд. «Наука», М., 1978, с. 404.

ომ შემთხვევაში იქნება, თუ მას განვიხილავთ მთლიანობაში და არა ცალ-ცალკე, პოლიტიკურ, ეკონომიკურ თუ სოციალურ პლანში. ბრ შეიძლება, მაგალითად, პოლიტიკურ სფეროში პროგრესის შეფასება თუ არ გავითვალისწინებთ მოსახლეობის ეკონომიკურ და სოციალურ მდგომარეობას, ერთ სულ მოსახლეზე საშუალო ეროვნულ შემოსავალს, მათ მატერიალურ და სულიერ მოთხოვნილებათა დაკმაყოფილებას. ასევე მხედველობაში უნდა მივიღოთ ეროვნული და რასობრივი ურთიერთობანი. ომისა და მშვიდობის საკითხისადმი დამოკიდებულება, მილიტარიზაცია და განიარაღება. ყოველივე ამას უდიდესი მნიშვნელობა ენიჭება განსაკუთრებით მეცნიერულ-ტექნიკური რევოლუციის ეპოქაში.

მეცნიერულ-ტექნიკური რევოლუციის შედეგად კიდევ უფრო გაიზარდა წინააღმდეგობა სხვადასხვა სოციალურ სისტემებს შორის. მეცნიერულ-ტექნიკური რევოლუციის მონაპოვარი ჩვენ ქვეყანაში გამოიყენება ხალხის საკეთილდღეოდ, ხოლო ბურჟუაზიულ საზოგადოებაში მეცნიერულ-ტექნიკური რევოლუცია კიდევ უფრო აღრმავებს კლასობრივ დიფერენციაციას. წინააღმდეგობა იზრდება ასევე „მდიდარ“ და „ღარიბ“ ქვეყნებს შორის. ერთი შეხედვით იქმნება შთაბეჭდილება თითქოსდა მსოფლიოს ასეთი დიფერენციაცია მოსვენებას არ აძლევს დასავლეთის მეცნიერებს. ისინი გამოდიან მოწოდებით შეიქმნას ახალი მსოფლიო წყობა, რომელიც გადაჭრიდა იმ ზოგადსაკაცობრიო პრობლემას, რომელიც საფრთხეს უქმნის მთელ მსოფლიოს. დასავლეთის მეცნიერთა აზრით, ეს პრობლემა უნდ გადაიჭრას მდიდარი ქვეყნების მეცადინეობით. მაგრამ, ყველასათვის ნათელია, თუ რა უნდა იყოს ის „დახმარება“, რომელსაც „დასავლეთის ცივილიზაციის დროშას ამოფარებული იმპერიალისტური ქვეყნები უწევენ „მესამე სამყაროს“ .

„სამოცდაათიანი წლების შუახანებში, — აღნიშნავს ლ. ი. ბრეჟნევი, — ყოფილმა კოლონიურმა ქვეყნებმა წამოაყენეს საკითხი ახალი საერთაშორისო ეკონომიკური წესების შესახებ. დემოკრატიულ საფუძველზე, თანასწორუფლებიანობის საწყისებზე საერთაშორისო ეკონომიკური ურთიერთობის გარდაქმნა ისტორიულად კანონზომიერია. აქ ბევრი რამ შეიძლება გაკეთდეს და კიდევაც უნდა გაკეთდეს. მაგრამ, რა თქმა უნდა, არ შეიძლება, როგორც ეს ზოგჯერ ხდება, საკითხი მხოლოდ „მდიდარ ჩრდილოეთსა“ და „ღარიბ სამხრეთს“ შორის განსხვავებით ამოვწუროთ. ჩვენ მზად ვართ ხელი შევუწყოთ და პრაქტიკულად ვუწყობთ კიდეც ხელს სამართლიანი საერთაშორისო ეკონომიკური ურთიერთობის დამყარებას.

არავის არ უნდა შეეპაროს ეჭვი, ამხანაგებო: საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტია კვლავაც თანმიმდევრულად განახორციელებს ქვეყნებთან სსრ კავშირის თანამშრომლობის განვითარების, მსოფლიო სოციალიზმისა და ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის კავშირის განმტკიცების კურსს"[162].

მეცნიერულ-ტექნიკური რევოლუციის განხორციელებამ კაცობრიობას მოუტანა ახალი ეკოლოგიური პრობლემები.

საბჭოთა კავშირში უდიდესი როლი ენიჭება ბუნების — მისი ფლორისა და ფაუნის, მინერალური რესურსების დაცვას. მაგრამ ეს ამოცანა არ შეიძლება განხორციელდეს მხოლოდ ერთი ქვეყნის მეცადინეობით. იგი მოითხოვს მთელი კაცობრიობის ძალთა მობილიზაციას.

კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა სახელმწიფოს ყურადღების ცენტრშია ბუნებრივი რესურსების კომპლექსური და რაციონალური გამოყენებისა და ბუნების დაცვის პრობლემები. მათი განხორციელება ხდება თანამიმდევრულად და მიზანდასახულად. უკანასკნელ წლებში ამ საკითხთან დაკავშირებით სკკპ ცენტრალურმა კომიტეტმა, სსრ კავშირის უმაღლესმა საბჭომ და მისმა პრეზიდიუმმა, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭომ მიიღო მრავალი ახალი დადგენილება და კანონპროექტი.

მეცნიერულ-ტექნიკურმა რევოლუციამ უფრო გაამკვეთრა დეშარკაციული ხაზი სოციალისტურ და კაპიტალისტურ სისტემებს შორის.

საბჭოთა მეცნიერთა მიერ შედგენილ წიგნში „სოციოლოგია და თანამედროვეობა" ღრმად არის გაშუქებული მეცნიერულ-ტექნიკური რევოლუციის არსი. მასში აღნიშნულია: „მეცნიერულ-ტექნიკური რევოლუციის არსი შეიძლება გავიგოთ მხოლოდ სოციალურ რევოლუციასთან მიმართებაში. მტრ აჩქარებს ობიექტურ წინამძღვრებს მსოფლიო მასშტაბით სოციალიზმიდან კაპიტალიზმზე გადასასვლელად, მისი სრულყოფილი განვითარება დაჟინებით მოითხოვს წარმოების საშუალებებზე საზოგადოებრივი საკუთრების დამყარებას და მეურნეობის გეგმაზომიერ განვითარებას. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, მისი ღრმა და თანმიმდევრული განვითარება მშრომელი მასების ინტერესების სასარგებლოდ შესაძლებელია მხო-

---

[162] ლ. ი ბ რ ე ჟ ნ ე ვ ი, დასახ. ნაშრომი, გვ. 24.

ლოდ სოციალიზმის დროს. ამიტომაც, მეცნიერულ-ტექნიკური რევოლუციის მიღწევათა გაერთიანება სოციალისტური სისტემის მეურნეობის უპირატესობებთან საკვანძო პრობლემაა"[163].

შრომის პროცესში ადამიანები თავიანთი სურვილისაგან დამოუკიდებლად შედიან გარკვეულ წარმოებით ურთიერთობებში. როგორც აღნიშნავდა კ. მარქსი: „თავიანთი ცხოვრების საზოგადოებრივი წარმოებისას ადამიანები ერთმანეთთან ამყარებენ განსაზღვრულ, აუცილებელ, მათი ნებისაგან დამოუკიდებელ ურთიერთობას, — წარმოებით ურთიერთობას, რომელიც მათ მატერიალურ მწარმოებლურ ძალთა განვითარების განსაზღვრულ საფეხურს შეესაბამება. ამ წარმოებით ურთიერთობათა ერთობლიობა შეადგენს საზოგადოების ეკონომიურ სტრუქტურას, რეალურ ბაზისს, რომელზედაც იურიდიული და პოლიტიკური ზედნაშენი აღიმართება და რომელსაც საზოგადოებრივი ცნობიერების განსაზღვრული ფორმები შეესაბამება"[164].

ბურჟუაზიული მეცნიერები შორს დგანან იმ აზრიდან, რომ მნიშვნელოვანი ფუნქცია დააკისრონ წარმოებით ურთიერთობებს. ეს უკანასკნელი განსაზღვრავს საზოგადოების ცხოვრების ყველა მხარეს და სწორედ მისი უგულველყოფით უნდა ავხსნათ, რომ დასავლეთში ვერ ახერხებენ კრიზისების გამომწვევი მიზეზების დადგენას, შესაბამისად მათ აცილებას.

თუკი პირველ ხანებში კრიზისი მოიცავდა მხოლოდ ფინანსურ სფეროს, ახლა წინა პლანზე დგება სამრეწველო კრიზისი, ხოლო ფინანსური უკანა პლანზე ინაცვლებს.

„...XX საუკუნის მთავარმა ბურჟუაზიულმა ეკონომიკურმა დოქტრინამ კეინსიანიზმმა მარცხი განიცადა, — წერს ა. ისკენდეროვი,—ამ თეორიამ და მასთან დაკავშირებულმა სახელმწიფოთა ეკონომიკურმა პოლიტიკამ მოახლოებული კრიზისის წინაშე სრული უძლურობა გამოიჩინა"[165].

გახანგრძლივებული ეკონომიკური კრიზისი, რომელშიც აღმოჩნდა კაპიტალისტური სამყარო, აიძულებს მათ მმართველ წრეებს მოუხშირონ შეხვედრებს. უმაღლეს დონეზე ჩატარებულ ამ შეხვედრათა ერთ-ერთი მნიშვნელოვანი მიზანია განიხილონ ეკონომიკური

---

[163] Социология и современность, т. 2, изд. «Наука», М., 1977, с. 8.

[164] კ. მ ა რ ქ ს ი, და ფ. ე ნ გ ე ლ ს ი. რჩეული ნაწერები ორ ტომად, თბ., 1963, ტ. I, გვ. 406.

[165] Журн. «Рабочий класс» № 3, 1978, с. 22.

პრობლემები და გამოძებნონ ამ ჩიხიდან გამოსავალი გზა. ეს შეხვედრები ჯერ კიდევ ხდება იმავე „ატლანტიზმის“ პრინციპზე.

გაზეთმა „The New York Times“ მსხვილი იმპერიალისტური ქვეყნების თანამედროვე ეკონომიკური კრიზისი შემდეგნაირად დაახასიათა, ისინი „იმასაც კი ვერ ახერხებენ, რომ ერთი აზრი შეიმუშაონ იმის შესახებ, თუ რა უნდა გააკეთონ, უფრო მეტიც, მათ არა აქვთ ერთიანი აზრი ამ მოვლენათა მასშტაბების შესახებ, რომელიც ვითარდება (მცირე) ევროპაში. ისინი მხოლოდ იმაზე არიან ერთიანი აზრის, რომ ყველას შეუძლია განახორციელოს არა უმეტეს იმისა, რაც შეეხება წესრიგის დამყარებას საკუთარ სახლში და იცხოვროს უკეთესი მომავლის იმედით... არსებობს საერთო აზრი, რომ წამოჭრილი სიტუაცია... გამოწვეულია უფრო მეტად ფსიქოლოგიური უძლურობით, ვიდრე მოვლენათა მართვის ფაქტობრივი შესაძლებლობის დაკარგვით, ერთგვარი ნებისყოფის დაკარგვით“[166];

მართალია, ბურჟუაზიული მეცნიერები ამტკიცებენ, რომ მეცნიერულ-ტექნიკური რევოლუციის შედეგად გაუმჯობესდა მასების ცხოვრების პირობები, მაგრამ ცალკეულ უბანზე მდგომარეობის გაუმჯობესების შესახებ ვ. ი. ლენინი წერდა: „კრიზისი ცხადჰყოფს, რომ მუშები ვერ დასჯერდებიან ბრძოლას კაპიტალისტების მხრივ ცალკეული დათმობებისათვის: მრეწველობის გაცხოველების დროს ასეთ დათმობათა მოპოვება შეიძლება, მაგრამ იწყება კრახი, და კაპიტალისტებს არათუ უკანვე მიაქვთ თავიანთი დათმობანი, არამედ მუშათა უმწეო მდგომარეობითაც სარგებლობენ ხელფასის კიდევ უფრო შესამცირებლად. და ეს მუდამ ასე იქნება მანამდე, სანამ სოციალისტური პროლეტარიატის არმიები არ დაამხობენ კაპიტალისა და კერძო საკუთრების ბატონობას“[126].

„გაკვეთილები კრიზისისა, — წერს ვ. ი. ლენინი — რომელიც ააშკარავებს საზოგადოებრივი წარმოების კერძო საკუთრებისადმი დაქვემდებარების მთელ შეუსაბამობას, იმ ზომამდე ჭკუის სასწავლია, რომ ახლა ბურჟუაზიული პრესაც კი მოითხოვს ზედამხედველობის გაძლიერებას — მაგ., ბანკების მიმართ. მაგრამ კაპიტალისტებს ვერავითარი ზედამხედველობა ვერ შეუშლის ხელს მრეწველობის გაცხოველების დროს დააარსონ ისეთი საწარმოები, რომლებიც შემდეგ აუცილებლად კოტრდებიან“[168].

---

166 «The New York Times», April 12, 1976

167 ვ. ი. ლ ე ნ ი ნ ი, თხზ., ტ. 5, გვ. 104.

168 იქვე, გვ. 105.

ისეთი სოციალური მოვლენა, როგორიცაა უმუშევრობა, კატასტროფულად იზრდება. სწრაფი ტემპით ძვირდება ცხოვრება. როგორც აღნიშნავენ პროგნოზისტები, არავითარი გაუმჯობესება არ არის მოსალოდნელი.

საფინანსო-სამრეწველო სფერო ერთადერთი არ არის, სადაც დაისადგურა კრიზისებმა. დღევანდელი დღისათვის განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ის ფაქტი, რომ კრიზისმა მოიცვა პოლიტიკური სფერო. ისეთი პერტურბაციები, როგორიც მოხდა იტალიის, საფრანგეთის, იაპონიის მმართველ პარტიებში, ნათლად მოწმობს კაპიტალიზმის ძირითადი პარტიების არაპოპულარობაზე.

დღითიდღე ნათელი ხდება საბჭოთა სოციალისტური სისტემის უპირატესობა კაპიტალისტურთან შედარებით. ჩვენ დროში მსოფლიო სოციალურად არაერთგვაროვანია, იგი შედგება სხვადასხვა საზოგადოებრივი წყობილების მქონე სახელმწიფოთაგან, ასეთია ობიექტური ფაქტი,— აღნიშნავს ლ. ი. ბრეჟნევი, — მსოფლიოს სოციალისტური ნაწილი თავისი შინაგანი განვითარებით და საერთაშორისო ურთიერთობების მიმართ თავისი დამოკიდებულებით კარგ მაგალითს იძლევა იმისა, თუ როგორი გზით არის უმჯობესი კაცობრიობის წინაშე მდგარი დიდი პრობლემების გადაჭრა. მაგრამ მთელი კაცობრიობისათვის ამ პრობლემის გადაჭრა მას, რა თქმა უნდა, არ შეუძლია. აქ აუცილებელია ყოველი ქვეყნის მიზანდასახული მეცადინეობა, აუცილებელია ყველა ქვეყნის, ყველა ხალხის ფართო და კონსტრუქციული თანამშრომლობა[169].

ფრანგული გაზეთი „ლუმანიტე" აღნიშნავდა: „ტყუილად საუბრობენ ვიღაც-ვიღაცეები კომუნისტების „ჩასვენებაზე". ყოველდღიურად სულ უფრო და უფრო ნათელი ხდება, რომ კომუნისტური იდეები კვლავაც წარმოადგენენ მთავარ საფრთხეს კაპიტალისტური ბატონობისათვის ჩვენს ქვეყნებში. ამაში მდგომარეობს მთავარი საზრუნავი ყველა ჯურის „ევროპული პარტიებისა"[170].

ორი სისტემის დაპირისპირებულობა და ბრძოლა გულისხმობს იდეოლოგიურ დაპირისპირებულობასა და ბრძოლას. განვითარების ყველა ეტაპზე დასავლეთში მიმართავენ ახალ ცდას — შექმნან ახალი, მძლავრი იდეოლოგია, რომლის მთავარი მიზანია ჰქონდეს დიდი პოლიტიკური აქტივობა.

---

[169] იხ. Л. И. Брежнев, Ленинским курсом, т. 6, с. 598.

[170] გაზ. «L'humanité», juillet 4, 1978.

ბურჟუაზია, — წერდა ფ. ენგელსი, — ყველაფერს აქცევს საქონლად და, შესაბამისად, ისტორიასაც. თავისი ბუნებიდან, თავისი არსებობიდან გამომდინარე მისთვის დამახასიათებელია ყოველგვარი საქონლის ფალსიფიცირება: მან ისტორიის ფალსიფიცირებაც მოახდინა. ყველაზე მაღალ შეფასებას ღებულობს ის თხზულება, რომელშიც ისტორიის ფალსიფიკაცია ყველაზე მეტად შეესატყვისება ბურჟუაზიის ინტერესებს[171].

საზოგადოების ისტორიული და, განსაკუთრებით, განვითარების პერსპექტივების შესწავლა მრავალ ასპექტში დიდ თეორიულ შრომასთან არის დაკავშირებული. ამ საკითხების გარკვევას ბურჟუაზიული მეცნიერები ცდილობენ ისეთი ცნებების გამოყენებით, როგორიცაა ევროპოცენტრიზმი, ნაციონალიზმი, ინტეგრაცია და ა. შ., რაც ძირითადად ემსახურება ისტორიის ფალსიფიკაციასა და იმპერიალისტური პოლიტიკის განმტკიცებას. ამ ცნებათა რიცხვს მიეკუთვნება „დემოკრატიაც". ამ უკანასკნელიდან გამომდინარეობს მსჯელობა „ადამიანის უფლებების" შესახებ. უკანასკნელ წლებში დასავლეთში მოდაში შემოვიდა მსჯელობა ამ საკითხის გარშემო. ამას აქვს თავისი გარკვეული მიზანი — მოადუნოს საზოგადოებრივი ყურადღება, გადაიტანოს იგი არსებითისაგან შორს, რათა ჩრდილში დარჩეს ისეთი უმნიშვნელოვანესი საკითხი, როგორიცაა კაპიტალისტური სამყაროს კრიზისი. ეს დემარში ადამიანის უფლებების დასაცავად ხორციელდება დემოკრატიის დროშის ქვეშ. თუმცა, არ შეიძლება არ აღვნიშნოთ ამ ფაქტის პარადოქსულობა — ადამიანთა უფლებებით იმპერიალისტები დაინტერესებული არიან არა თავიანთ საზოგადოებაში, არამედ სოციალისტურ ქვეყნებში. რა უფლებებზე შეიძლება იმსჯელონ მათ, როდესაც საკუთარი სოციალური სისტემა ანტაგონიზმზეა აგებული. დისკრიმინაცია — რასობრივი, სქესობრივი, ასაკობრივი — ეს მაგალითები ნათლად მეტყველებენ, რომ საზოგადოებაში, რომელშიც ადამიანთა შორის ურთიერთდამოკიდებულება არაჰუმანურ პრინციპებზეა აგებული, ლაპარაკი რაიმე უფლებებზე ზედმეტია.

„დასავლეთის ცივილიზაცია" ამაყობს თავისი დემოკრატიულობით. უწინ, როდესაც დასავლეთი მდიდრდებოდა კოლონიებისა და ნახევარკოლონიების ექსპლუატაციის ხარჯზე, შესაძლებელი იყო გარკვეული დემოკრატიულობის დაცვა შინ, რა თქმა უნდა, ამ სიტ-

---

[171] იხ. «Архив Маркса и Энгельса», X, М., 1948, с. 104.

ყვის ბურჟუაზიული გაგებით. ისე, როგორც დასავლეთის ცივილიზაცია, დასავლეთის დემოკრატიაც ითვლებოდა „სანიმუშოდ“ მსოფლიოს სხვა არაევროპული ხალხებისათვის.

დღეისათვის ლოზუნგი დასავლეთის ცივილიზაციის სრული დემოკრატიზმის შესახებ დემაგოგიას წარმოადგენს. დასავლეთში დემოკრატია არსებობს საზოგადოების მხოლოდ უმცირესი ნაწილისათვის, ხოლო მშრომელი ადამიანებისათვის არ არსებობს უკეთესი მომავლის პერსპექტივა.

სრულიად სხვა მდგომარეობაა სოციალიზმის პირობებში, სადაც მოქმედებს 1948 წლის 10 დეკემბერს გენერალური ასამბლეის მიერ მიღებული დეკლარაცია „ადამიანის უფლებების“ შესახებ. ახალი კონსტიტუციის მე-5 და მე-6 თავები ეთმობა „ადამიანის უფლებების“ საკითხს, რომლის არსიც სოციალისტური დემოკრატიის შემდგომი ზრდის ნათელი დადასტურებაა.

თანამედროვე ეპოქა შეიძლება კვალიფიცირებულ იქნეს როგორც კაპიტალიზმიდან სოციალიზმზე გარდამავალი ეპოქა. ჩვენი ქვეყნის მიზანია უზრუნველყოს სახალხო მეურნეობის დინამიკური, გეგმაზომიერი და პროპორციული განვითარება, დააჩქაროს მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესი, აამაღლოს წარმოების ეფექტურობა და სამუშაოს ხასიათი. აამაღლოს ხალხის კეთილდღეობა და კულტურული დონე, დაიცვას ადამიანის უფლებები და თავისუფლება, ყოველნაირი პირობები შეუქმნას ადამიანს ყოველმხრივი განვითარებისათვის.

მომავალი ცივილიზაციის ბედი დამოკიდებულია იმაზე, თუ რამდენად მოახერხებს ესა თუ ის სახელმწიფო ყველა ზევით ჩამოთვლილი ამოცანის განხორციელებას და ცივილიზაციებს შორის მიმდინარე შეჯიბრების შედეგიც განისაზღვრება ამ ხაზით განხორციელებული მეცადინეობით.

„მხოლოდ იმ საზოგადოებრივ სისტემას, რომელსაც შესწევს უნარი პასუხი გასცეს და ეფექტურად გადაჭრას თანამედროვეობის წინაშე მდგარი მწვავე პრობლემები, აქვს უფლება • მიიჩნიოს თავისი საზოგადოება ზოგადსაკაცობრიოდ, საყოველთაო დემოკრატიული ინტერესების დამცველად“[172], — წერს მ. მჩედლოვი.

წერილში „რუსეთში გლეხთა განთავისუფლების შესახებ“ კ. მარქსი აღნიშნავდა, რომ გლეხთა აჯანყების შედეგად რუსეთის ისტორიაში დადგება შემობრუნების პუნქტი — დაემხობა აზიელ

---

[172] იხ. გაზ. «Правда», 7 декабря, 1977.

მემამულეთა ბატონობა და პეტრე დიდის მიერ შემოტანილი ბოჩვენებითი ცივილიზაციის ნაცვლად შეიქმნება ჭეშმარიტი და საყოველთაო ცივილიზაციაო[173].

როგორც ვხედავთ, ჯერ კიდევ კ. მარქსი მიუთითებდა ზოგადსაკაცობრიო ცივილიზაციის შექმნის აუცილებლობაზე. „დასავლეთის ცივილიზაციის მოდელით“ შექმნილ ცივილიზაციას ის „ბოჩვენებით“ ცივილიზაციას უწოდებს.

ჩვენ ქვეყანაში ახალი, სოციალისტური სისტემის დამკვიდრებასთან დაკავშირებით ვ. ი. ლენინმა ყურადღება გაამახვილა ახალი ცივილიზაციის შექმნის საკითხებზე. იგი აკრიტიკებდა გ. მიხაილოვსკისა და სხვ. ბურჟუაზიულ-რეფორმისტულ თეორეტიკოსებს, რომლებიც ქადაგებდნენ სხვა ცივილიზაციების საფუძველზე ახალი ცივილიზაციის შექმნას.

გ. მიხაილოვსკი წერდა: „ჩვენი ამოცანა ის კი არ არის, რომ აუცილებლად „თვითმყოფი“ ცივილიზაცია აღვზარდოთ საკუთარი ნაციონალური წიაღიდან, მაგრამ არც ისაა, რომ მთლიანად გადმოვიტანოთ ჩვენზე დასავლეთის ცივილიზაცია ყველა მისი წინააღმდეგობით: რაც კარგია, ყოველი მხრიდან უნდა ავიღოთ, საიდანაც კი შეიძლება, ხოლო ჩვენი იქნება ეს კარგი თუ სხვისი — ეს უკვე პრინციპის საკითხი კი არ არის, არამედ პრაქტიკული მოსახერხებლობისა. თითქოს, ეს იმდენად მარტივი, ნათელი და გასაგებია, რომ ლაპარაკიც კი ზედმეტია“[174].

ამ ფილოსოფიას ვ. ი. ლენინი მეტაფიზიკურს უწოდებდა: „ეს ფილოსოფია წმინდა მეტაფიზიკურად უცქერის საზოგადოებრივ ურთიერთობას, როგორც ამა თუ იმ ინსტიტუტების უბრალო მექანიკურ აგრეგატს, ამა თუ იმ მოვლენების უბრალო მექანიკურ შეკოწიწებას“[175].

ჩვენი საზოგადოების მიზანი იყო თვისებრივად ახალ პოლიტიკურ და სოციალურ საფუძველზე ცივილიზაციის ახალი დონის შექმნა. რა თქმა უნდა, ეს დიდ დროს მოითხოვდა და მოითხოვს, მაგრამ ეს არის ჩვენი პერსპექტიული ამოცანა. ჩვენი მომავალი მსოფლიოს მოდელი ასეთია — კომუნისტური ცივილიზაცია.

თუმცა, დასავლეთს არ სურს დაკარგოს წინამძღოლის პოზიცია მსოფლიო განვითარების ისტორიაში, ამიტომაც ცდილობენ „დასა-

---

173 იხ. К. Маркс, и Ф. Энгельс. Соч., т. XII, с. 701.
174 იხ. ვ. ი. ლენინი, თხზ., ტ. 1, გვ. 213.
175 იხ. იქვე, გვ. 214.

ვლეთის ცივილიზაციის“ აპოლოგეტები ამ პირველობისათვის ბრძოლაში ცივილიზაციის ცნების გამოყენებას ფარად. თანდათანობით ნათელი ხდება, რომ დასავლეთის პოლიტიკა, რომელიც ემყარებოდა ატლანტიზმის პრინციპებს, მოძველდა. შესაბამისად, წარმოიშვა ახალი პოლიტიკა, რომელიც ემყარება წყნარი ოკეანის პრინციპს. მართალია, ამ ახალმა პოლიტიკამ ვერ შეცვალა ძველი, მაგრამ ისინი ახლა გვერდიგვერდ არსებობენ[176].

იდეა ატლანტიკური ცივილიზაციის, როგორც მსოფლიო ცივილიზაციის შესახებ, რომელიც საუკუნეების განმავლობაში იკიდებდა ფეხს, საბოლოოდ უსუსური აღმოჩნდა (როგორც ცნობილია, ეს კონცეფცია უარყოფდა რუსეთის რაიმე წვლილს დასავლეთის „უნივერსალურ“ ცივილიზაციაში). ოქტომბრის რევოლუციამ დასაბამი მისცა ახალ ეპოქას კაცობრიობის ცივილიზაციის განვითარების პროცესში.

„დიდი ოქტომბრის სოციალისტურ რევოლუციას განსაკუთრებული ადგილი უკავია კაცობრიობის ბედისათვის წარუშლელი მნიშვნელობის მქონე მოვლენათა შორის, — წერს ვ. ზაგლადინი, — მსოფლიო ისტორიას მან აუწყა ახალი ეპოქის დასაწყისი, პრინციპულად ახალი ცივილიზაციის წარმოშობა. დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის სწორედ ამ კუთხით განხილვა იძლევა შესაძლებლობას სრულად დავინახოთ, გავიგოთ, ვიგრძნოთ მისი ჭეშმარიტად მსოფლიო-ისტორიული ხასიათი.

კაცობრიობის ისტორია — კანონზომიერი პროცესია. დიალექტიკური მატერიალიზმის კანონები, მკაცრად რომ ვთქვათ, სწორედ ისტორიის მსვლელობის განზოგადებაა, კარგად გამოხატავენ მის ზოგად დინამიკას და მისი მიმდინარეობის სპეციფიკურობას: მარტივიდან — რთულისაკენ, დაბალიდან — მაღლისაკენ, რაოდენობრივი ცვლილებებიდან — თვისებრივი ცვლილებებისაკენ, ევოლუციიდან რევოლუციისაკენ, უსასრულო რიგს წინააღმდეგობებისა, რომლებიც წარმოიქმნებიან და აღმოიფხვრებიან მოვლენათა მსვლელობის პროცესში. მიუხედავად ყველა ზიგზაგისა და გადახრისა, მუდმივად მიემართება წინ და მაღლა, პროგრესის ახალი სიმაღლეებისაკენ ცხოვრების ყველა სფეროში“[177].

---

[176] იხ. A. Toynbee, Experiences, p. 75—76.

[177] Журн. «Мировая экономика и международные отношения». № 11, 1977, с. 27.

ჩვენ ქვეყანაში განვითარებული სოციალიზმის აშენებამდე სოციალისტური ცივილიზაციის ყოველგვარი მეცნიერული ანალიზი ვერ გასცდებოდა თეორიას. თანამედროვე ეტაპზე, როდესაც ჩვენმა სისტემამ შრომითი მიღწევებით დაამტკიცა თავისი უპირატესობა კაპიტალისტურ სისტემაზე, ჩვენ გაგვაჩნია სრული საფუძველი იმისათვის, რომ ვისაუბროთ ახალ, სოციალისტურ ფორმაციაზე, როგორც მსოფლიო ცივილიზაციის განვითარების პროცესში თვისებრივად ახალ ეტაპზე

სოციალისტური ცივილიზაცია ეს არის პრინციპულად ახალი ცივილიზაცია, რამდენადაც მას გააჩნია კაპიტალისტური ცივილიზაციისაგან განსხვავებული ღირებულებათა სისტემა და ნორმები. ერთი მხრივ, ვამტკიცებთ რა, რომ სოციალისტური ცივილიზაცია რადიკალურად ახალი ცივილიზაციაა, მეორე მხრივ, არ უნდა დავივიწყოთ, რომ ყველა ცივილიზაციას გააჩნია განვითარების საერთო კანონები, ეგრეთწოდებული, ზოგადსაკაცობრიო კანონები, რომლებიც ვრცელდება დროისა და სივრცის ყველა მონაკვეთში.

„ზოგადსაკაცობრიო — ეს ის ფაქტორები და წინამძღვრებია, ის ღირებულებებია, რომლებიც ჭეშმარიტად ხელს უწყობენ კაცობრიობის ერთიანობის შემდგომ განვითარებასა და გაძლიერებას, იმ შემთხვევაშიც კი, თუ ეს ღირებულებები არ არიან საზოგადოდ აღიარებული ხასიათისა. სწორედ ამის გამო, არაკანონიერია ზოგადსაკაცობრიოსა და სპეციფიკური ფორმაციულის აბსოლუტური, მეტაფიზიკური დაპირისპირება. სწორედ ამიტომ დიალექტიკური ერთიანობა ზოგადსაკაცობრიოსა და სოციალისტურის აისახება არა მარტო იმაში, თუ რა არის საერთო სოციალიზმისა და წინარე (და თანაარსებადი) ფორმაციებისათვის, არამედ იმაშიც, თუ რა არის მისი სპეციფიკური განსაკუთრებულობა, მათ შორის ისეთებიც, რომლებიც კაცობრიობის შემდგომი განვითარების პროცესში შეიცვლება უკეთესით, მაგრამ დღეისათვის ყველაზე მეტად და ყველაზე უკეთ ასახავენ კაცობრიობის ინტერესებს“[178], — წერს მ. მჩედლოვი.

ამხ. ლ. ი. ბრეჟნევმა მარქსისტულ-ლენინური თეორიის შუქზე მეცნიერულად გააანალიზა სოციალისტური საზოგადოების დამსახურება ზოგადსაკაცობრიო პროგრესში და სოციალიზმის ეპოქას მისცა ახალი კვალიფიკაცია, როგორც ახალი ტიპის ცივილიზაციას.

---

[178] Журн. «Вопросы Философии», № 5, 1976, с. 51.

სკკპ XXVI ყრილობაზე ლ. ი. ბრეჟნევმა მიუთითა ჩვენი ქვეყნის, ჩვენი ხალხის მიზნებზე: „დიდებულია ჩვენი მიზანი — კომუნიზმი. და ყოველი შრომითი წარმატება, საგმირო საქმეთა ყოველი წელი, ყოველი ხუთწლედი გვაახლოებს ამ მიზანთან. ამ თვალსაზრისით აფასებს პარტია მომავალ ხუთწლეულსაც. ბევრი საქმე მოგველის. დიდია, რთულია გადასაწყვეტი ამოცანები. მაგრამ ჩვენ გადავწყვეტთ მათ, და გადავწყვეტთ აუცილებლად.

დიახ, საბჭოთა ადამიანები რწმენით შეჰყურებენ ხვალინდელ დღეს. მაგრამ მათი ოპტიმიზმი ბედის ნებიერთა თავდაჯერება როდია. ჩვენმა ხალხმა იცის: ყველაფერი, რაც მას აქვს, საკუთარი შრომით შექმნა, საკუთარი სისხლით დაიცვა. და ჩვენ ოპტიმისტები ვართ იმიტომ, რომ გვწამს შრომის ძალა. იმიტომ, რომ გვწამს ჩვენი ქვეყანა, ჩვენი ხალხი. ჩვენ ოპტიმისტები ვართ იმიტომ, რომ გვწამს ჩვენი პარტია, ვიცით, რომ გზა, რომელსაც იგი გვიჩვენებს, ერთადერთი სწორი გზაა“![179]

---

[179] ლ. ი. ბ რ ე ჟ ნ ე ვ ი. სკკპ ცენტრალური კომიტეტის საანგარიშო მოხსენება საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XXVI ყრილობაზე და პარტიის მორიგი ამოცანები საშინაო და საგარეო პოლიტიკის დარგში. გამომცემლობა „საბჭოთა საქართველო“. თბ., 1981, გვ. 134.

КРИТИКА БУРЖУАЗНЫХ КОНЦЕПЦИЙ «ЗАПАДНОЙ ЦИВИЛИЗАЦИИ»

Резюме

Понятие «западная цивилизация» интенсивно используется западной прессой. Понятие это очень модное и вместе с тем абстрактное. Оно применяется не как философская категория, а как средство пропаганды, цель которой агитировать преимущество Запада перед остальным миром.

В буржуазной философии истории доминирует мысль, что история является соотношением качественно разных цивилизаций в историческом пространстве, что каждая цивилизация имеет внутреннюю твердость, собственную специфику эволюции, а взаимодействие цивилизаций носит лишь поверхностный, во многом случайный характер. При этом отрицается философская эквивалентность цивилизаций.

Особое место среди этих «неэквивалентных» цивилизаций занимает западная цивилизация. Для историков-теоретиков Запада свойственна идеализация европейской цивилизации, точнее — западноевропейской цивилизации, как высшей формы организации человеческого общества. Она функционирует как модель, эталон по отношению к другим современным цивилизациям («русской ортодоксальной», мусульманской, индийской, китайской, японской).

Основной признак современной западной цивилизации — модернизация. Своеобразная демаркационная линия между эпохами пролегает, по мнению западных ученых, не на стыке общественно-экономических формаций, а у истоков так называемых модернизаций.

От теории модернизации они приходят к европоцентризму. В огромном «поле» цивилизаций западно-европейская ци-

вилизация занимает центральное место, является ядром, а остальные — «периферниями», освещаемыми исходящей от Западной Европы «радиацией».

Нетрудно понять, почему буржуазные ученые противопоставляют концепцию цивилизаций марксистско-ленинскому учению об общественно-экономических формациях. В рамках цивилизаций развитие общества зависит не от уровня производительных сил и характера производственных отношений, а от модернизаций. Если это так, то все язвы капитализма вполне излечимы в рамках буржуазного общества эволюционным путем, ибо плюрализм социальной системы всегда позволяет сменить одно правительство на другое, не меняя самой основы социальной организации, что должно обеспечить динамичность этой последней, ее прогресс без социальных потрясений. К тому же не следует нарушать «нормальный» ход истории: поток культуры и цивилизации всегда шел с Запада на Восток, а не наоборот. Поэтому, не удивительно, что понятия «модернизация» и «вестернизация» представляются однозначными, почти идентичными.

Концепция модернизации, которая дает готовую модель капиталистической эволюции Западной Европы для сегодняшнего мира, в особенности для стран «третьего мира», неадекватна. Имитация такого рода без учета ряда национально-этнических факторов завершается крахом. Примером может служить Иран.

Многие западные ученые приходят к мнению, что отдельные государства должны решать проблемы, стоящие перед ними, с учетом их специфических условий, а не по модели западной цивилизации.

Демаркационная линия, которая пролегает между цивилизациями на основе разных субкультур, не дает нам права считать эту линию трансисторичной. Буржуазные идеологи проповедуют, что якобы неполноценность разных цивилизаций лежит в самой их природе и появилась одновременно с ними.

Мир — это единое и неделимое целое. Его целостность и системность являются реальностью. Следовательно, явление общечеловеческого значения, которое имело место в опреде-

ленном промежутке времени и пространства, не может исчезнуть без следа. Оно распространится и станет достоянием всего мира.

Главное для буржуазной науки найти решение социальных проблем современности вне революционных путей, в рамках капиталистического общества.

С этой целью внимание обращается на «новые институты», возникшие в XIX столетии и способствующие процессу модернизации. К таковым относятся национализм, индустриализация, демократия. Все это продиктовано классовыми интересами господствующих кругов капиталистических стран, стремлением отвлечь внимание широких народных масс от решения насущных социальных проблем и доказать динамичность буржуазной общественной системы, якобы способной решать любые общественно-экономические и политические проблемы.

Старые теории об «уникальности» западной цивилизации, о ее «несовместимости» с восточными и другими цивилизациями устарели. Вместе с тем изменилось соотношение «центровых сил» внутри самой «западной цивилизации». Новые тенденции, которые появились на международной арене после Второй мировой войны — ослабление позиций империализма, углубление общего кризиса капитализма, обострение межимпериалистических противоречий, усиление конфронтации между империалистическим и «третьим миром» — вынудили капиталистические государства предпринять решительные меры, выработать общую программу для ослабления этих процессов. И не удивительно, что оказавшись фактически в тупике, США явились инициаторами сплочения главных центров мирового капитализма: США — Западная Европа — Япония. Как видим, рамки западной цивилизации расширились: в ней оказалась страна, не имеющая никакого отношения к берегам Атлантики (Япония), что еще раз подчеркивает социально-политический характер западной цивилизации.

В связи со всем вышесказанным дихотомия «передовая Европа versus отсталая Азия» начинает терять смысл. Если раньше «западная цивилизация» рассматривалась как сооб-

щество, в которое входили лишь «передовые» западные страны, то теперь ее рассматривают не только как европейское сообщество, а более глобально. Под вывеской «западной цивилизации», согласно буржуазным теориям, выступают и те государства, государственный строй и уровень благосостояния которых приближается к европейскому.

Раздел проходит сегодня не между цивилизациями (она едина и общечеловечна), а между социальными системами, а это далеко не одно и то же. И тем не менее на Западе в понятие «западной цивилизации» вкладывается не культурно-исторический, а скорее социально-политический, антикоммунистический смысл. Отсюда и стремление устанавливать контакты, а зачастую и вмешиваться во внутренние дела, поучать и диктовать нормы поведения другим «цивилизациям», и, в первую очередь, социалистическим странам с позиции превосходства «западной цивилизации», т. е. капиталистической системы. Эта политическая установка ощущается и в науке, особенно в области прогнозирования будущих путей развития, которые определяются не с учетом смены общественно-экономических формаций, а в рамках все того же «неувядающего» капитализма.

Заметный экономический рост в определенный послевоенный период (целая серия «экономических чудес» в Западной Германии, Японии, Италии и других странах) оказал влияние и на развитие научной мысли на Западе, где появились новые концепции, апологетизирующие достижения НТР при капитализме. Появились утверждения о стирании граней между «гетерогенными» цивилизациями на базе универсального индустриального общества, которое в конечном итоге трансформируется в единое «современное (т. е. капиталистическое) общество», внутри которого проблема конфликта между цивилизациями может быть решена на основе унификации их модели.

Надежды западных ученых на унификацию «цивилизаций», слияние социальных систем или, точнее говоря, восстановление капиталистических отношений в глобальном масштабе не могут, разумеется, привести к решению общечеловеческих проблем ни в биосфере, ни в социальной области.

Поэтому знамя «западной цивилизации», под которым сегодня на Западе ведут борьбу во имя «супериндустриального» будущего, превращается фактически в фиговый листок, не способный прикрыть обнаженные немощи дряхлеющей капиталистической системы.

На современном этапе, когда социалистическая система экономическими достижениями утвердила свое превосходство над капиталистической системой, мы имеем полное право говорить о социалистической формации как о качественно новом этапе в процессе развития мировой цивилизации.

Социалистическая цивилизация является принципиально новой цивилизацией. Она имеет свою систему ценностей и свои нормы. Утверждая, что социалистическая цивилизация радикально новая цивилизация, мы не должны забывать вместе с тем, что все цивилизации имеют общие законы развития, нак называемые, общечеловеческие законы, которые действуют во все периоды.

На торжественном заседании ЦК КПСС, Верховного Совета СССР и Верховного Совета РСФСР, посвященном 60-летию Великой Октябрьской социалистической революции, Л. И. Брежнев подчеркивал: «Отмечая годовщину революции, мы каждый раз вновь осмысливаем значение Октября, силу его воздействия на ход истории, на судьбы мира.

Октябрьская революция, естественно, решала прежде всего проблемы нашей страны, проблемы, поставленные ее историей, ее конкретными условиями. Однако в своей основе это были проблемы не локальные, а общие, выдвинутые ходом общественного развития перед всем человечеством. И всемирно-историческое значение Октябрьской революции как раз в том и состоит, что она открыла путь к решению этих проблем и тем самым — к созданию на земле нового типа цивилизации»[1].

---

[1] Газета «Правда», 3 ноября 1977 года.

შინაარსი

„დასავლეთის ცივილიზაციის“ ცნების არსი 3
„დასავლეთის ცივილიზაციის“ ცნების თანამედროვე მოდიფიკაცია . 44
„დასავლეთის ცივილიზაციის“ დაპირისპირება სოციალისტურ სამყაროსთან 83
Критика буржуазных концепций «западной цивилизации». Резюме 107

Нана Иосифовна Авалиани

КРИТИКА БУРЖУАЗНЫХ КОНЦЕПЦИЙ
«ЗАПАДНОЙ ЦИВИЛИЗАЦИИ»

(на грузинском языке)

ИБ 1979

დაიბეჭდა საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის
სარედაქციო-საგამომცემლო საბჭოს დადგენილებით

რეცენზენტები: ფილოს. მეცნ. დოქტ. ო. ჯიოევი,
ისტ. მეცნ. დოქტ. გ. მარგიანი

გამომცემლობის რედაქტორი ლ. კოტრიკაძე
ტექრედაქტორი ც. ქამუშაძე
მხატვარი გ. ლომიძე
კორექტორი ე. ჩხარტიშვილი

გადაეცა წარმოებას 28.12.1981; ხელმოწერილია დასაბეჭდად 21.4.1982;
ქაღალდის ზომა 60×90¹/₁₆; ქაღალდი № 2; ნაბეჭდი თაბახი 7.0;
სააღრიცხვო-საგამომცემლო თაბახი 5.7;
უე 00780; ტირაჟი 2000; შეკვეთა № 395;
ფასი 70 კაპ.

გამომცემლობა „მეცნიერება“, თბილისი, 380060, კუტუზოვის ქ., 19
Издательство «Мецниереба», Тбилиси, 380060, ул. Кутузова, 19

Типография АН Груз. ССР, Тбилиси, 380060, ул. Кутузова, 19
საქ. სსრ მეცნ. აკადემიის სტამბა, თბილისი, 380060, კუტუზოვის ქ., 19